

140 /
1972/2

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՅՈՒՆԻՎԵՐՍԻՏԵՏ




Հ Ա Մ Ե Ն Ն Ա

2
1972

**აეაოქელოთ ენეურის ჰიდროელექტროსადგურის
სიმაღლეები და პარსიის ჰიდროელექტროსადგურის
ქასკალის პირველი ელექტროსადგური. დაიწყო
ერთ უნივერსალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის მუ-
ნებლობა.**

სკკ XXIV პრილოზის დირექტივებიდან.



არავეის ხეობა.
სამხედრო გზა.
ეს გზა, როგორც ათასი სხვა გზა, მდინარის ნაპირს მიჰყვებოდა უხსოვარი დროიდან.
არავეი თოვლიანი კავკასიონის მწვერვალებთან იწყებს სიცოცხლეს. სწორედ იქამდე მდის გზაც. გადაღმით კი უკვე „თერგი რბის, თერგი ღრიალებს“ და გზაც თერგის ხეობას მიჰყვება.
არავეის ხეობას მიჰყვებოდა ოდი-თვე სავაჭრო გზა. აქედანვე გადადი-ოდნენ ქართველ მეფეთა მალეშრ-ბოლები ალანთა თუ ყივჩაღთა მთა-რებთან. ამ ვიწროებში მტერ-მოყ-რის დასახვედრად შენდებოდა ცი-ხე-სიმაგრეები, კლდე-კარები. ასე გაჩნდა ანახური, თამარის ციხე, ბებ-რის ციხე, ჟამთა სვლით იავარქმნი-

ლი ყინვალდი. აქ, მტკვრისა და არავეის შესართავთან აღმართულმა „ჯვარმა“ შთააგონა ლერმონტოვს „მწირო“.
არავეის ხეობის გავლით გადაი-არეს კავკასიონი თერგდაღეულებმა. ამ ხეობით ჩამოდიოდა ცხენზე ამ-ხედრებული სულმნათი ვაჟა.
სწორედ აქ, სადაც ერთურთს ჩა-კონებული ხევსურეთისა და ფშაის არავეი მტკვრისკენ მიავიწოდებენ ბროლნამსხვრეე ტალღებს, მეცხრე ხუთწლედის დირექტივებით, უნდა აიგოს ყინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსი.

მშენებლობის უფროსზე უკეთეს მეგზურს ვინ ინატრებს და, მეც ყინ-ვალქვის მშენებლობის უფროს გი-ზო ჩუბინიძესთან ერთად გავცქერი მომავალი კაშხალისა და წყალსაცა-ვის მიდამოებს, მაინტერესებს რას მისცემს ეს ელსადგური ჩვენს სა-ხალხო მეურნეობას. ვცდილობ წარ-მოვიდგინო როგორი იქნება ქართვე-ლი კაცინათვის ესოდენ ძვირფასი ეს არემარე 5-6 წლის შემდეგ.

— პატივცემულო გიზო, როგორც ვიცით, ხრამის ელსადგურის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში დიდი ჰიდროტექნიკური ნაგებობა აღარ

არავეის-სალსის


აშენებულა. ძირითადი მშენებლობები დასავლეთ საქართველოში მიმდინარეობს. გთხოვთ „პიონერის“ მკითხველებს უამბოთ, რა არის ამის მიზეზი?

— ცოტა შორიდან უნდა დავიწყო. საქართველო, განსაკუთრებით კი დასავლეთი საქართველო, ძალზე მდიდარია ჰიდრორესურსებით. ომის შემდგომ პერიოდში დიდი მშენებლობები გაჩაღდა რიონის ხეობაში. რიონის სადგურს გუმათისა და ლაჩანურის ელსადგურებიც შეემატა. ამასთან, ლაჩანურის უნიკალურმა

ზე ანელებდა ტალღების მოქმედებას. უნდა ვეცადოთ არ დავარღვიოთ ბუნების მიერ ათასწლეულების მანძილზე შექმნილი კანონზომიერება. თუ არა და უნდა დავეხმაროთ მას.

— ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ დასავლეთ საქართველოში აღარ აშენდება ელექტროსადგურები?

— ცხადია, არა! აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ელექტროენერჯის ხარჯი დაახლოებით თანაბარია, ელექტროენერჯის წარ-



გიორგი კუზნიცევი, ენვალქესის მშენებლობის უფროსი.

40000
**კექტარი შინა მოიხწყვა-
კა კაბაჰის ნულით თბი-
ლისის მილაგობაში.**

სადგურმა რიონის დებატიც გაზარდა, რადგან გვირაბის საშუალებით ლაჩანურის ხეობაში იქნა გადმოსროლილი ცხენისწყლის ნაწილი. ამგვარად, რიონზე კიდევ უფრო კარგი პირობა შეიქმნა ჰიდროტექნიკური ნაგებობისათვის. აქ ორი გარემოება არის გასათვალისწინებელი (თუმცა, ცხადია ეს არ არის გამომწყვვტი). ჯერ ერთი, არ არის სასურველი მჭიდროდ დასახლებული რაიონების დატვირთვა წყალსაცავით, მეორეც — დაგუბებული მდინარე იქვე ლეჩქავს ლამისა და სილის დიდ ნაწილს და შავ ზღვაში ვეღარ ჩააქვს იმდენი ნალექი. შავი ზღვა კი, როგორც ცნობილია, ინტენსიურად უტევს სანაპირო ზოლს (ამის შესახებ უმაღლესი საბჭოს ამსწინანდელ სესიაზეც იყო ლაპარაკი), ანგრევს მას. მდინარეთა მიერ ჩამოტანილი ლამი, სილა და ქვა-ლორღი კი საუკუნეების მანძილ-

მოების 80 პროცენტი კი აღმოსავლეთ საქართველოზე მოდის, ამიტომ ენგურის შემდეგ მშენებლები ვარციხეს, კოდორის ზემო დინებასა და უფრო მოგვიანებით ალბათ ცხენისწყლის სათავეებს მიაშურებენ სულ მალე კი, მწყობრში ჩადგება ჰიდროსადგური ლალიძგაზე.

— რამ განაპირობა მდინარე არაგვზე დიდი ელექტროსადგურის მშენებლობა?

— ენვალქესი მარტო ელექტროენერჯის წარმოების მიზნით როდი შენდება. გაიხსენეთ შარშანდელი ზაფხული. მაისიდან მოყოლებული გვიან შემოდგომამდე ციდან ცვარი არ გადმოვარდნილა. დაშრა, დაიწრია მდინარეები, სულ დაილია მტკვარი — აღმოსავლეთ საქართველოს ძირითადი არტერია. გაჭირდა მოსახლეობის წყლით მომარაგება. ველმინდვრებს მოაკლდა სარწყავი წყალი.

თბილისის ზღვა ვეღარ აუვიდა თბილისის შემოგარენის მორწყვას, ბარე თორმეტი მეტრით დაიწია ზღვაზე წყლის დონემ. ეს 1971 წელს მოხდა, მაგრამ სად არის იმის გარანტია, რომ ასეთი რამ არ განმეორდება? ესეც რომ არა, თბილისისა და რუსთავის მოსახლეობის ზრდა, მრეწველობის ინტენსიური განვითარება ისედაც მოითხოვს წყლის პრობლემის შემდგომ გადაჭრას. ასე, რომ ენვალის მშენებლობა კომპლექსურად გადაწყვეტს სამ ძირითად საკითხს.

— გთხოვთ დაწვრილებით გვიამბოთ ენვალის ელექტროსადგურზე.



ენვალა

2
თბაკაპალი
1972

საპროდუქციო კომპლექსი
და ვ. ი. ლენინის სახელობის
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
და სოციალური საზოგადოებრივი
მეცნიერებების ინსტიტუტი

ბათუმის 1926 წლიდან

სამ. კვ მ-ის
გამომცემლობა

საქსსურსი





13 ●●●●●

**კ. სათ ქაქტიკონა-
ბიას მისევეს სხალსო
მეურნეობას ნელინაღვი
ქინაღვის კიღკონაღსაღ-
ბუკი.**



— სოფელ ქინვალთან, ორი მთის შესაყართან, აიგება მიწაყრილის კაშხალი, მაგრამ კაშხალის აგებამდე უნდა გაიჭრას ეგრეთ წოდებული ამქცევი გვირაბი, რომ მომავალი კაშხალის არე არაგვის წყლისგან განთავისუფლდეს. ბეტონის კაშხალისაგან (ლაჭანურჭესი, ენგურჭესი) მიწაყრილის კაშხალი (სიონჭესი) იმით განსხვავდება, რომ ორ მთას შორის არე ბეტონის თაღოვანი კედლით კი არ იკეტება, არამედ მიწაყრილით; ორი ბუნებრივი მთა 5 500 000 კუბური მეტრი მოცულობის მიწის ხელოვნური მთით გადაეგდება ერთმანეთს. ამ მთის სიმაღლე 101 მეტრი იქნება. ეს საკმაოდ დიდი სიმაღლეა, მაგრამ წყლის დაცემის კიდევ უფრო გაზრდის მიზნით, ელსადგური კაშხალთან 80 მეტრის სიღრმეზე მიწაში აიგება. ასე რომ, ტურბინები დაახლოებით 180 მეტრის სიმაღლიდან მიიღებს წყლის ნაკადს. ამუშავდება ოთხი მძლავრი ტურბინა და ჩვენი სახალხო მეურნეობა, ქალაქები და სოფლები წელიწადში 130 000 კილოვატ ენერჯიას მიიღებენ. ეს კი მეტად დიდი საქმეა, რადგან საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერჯიის გამომუშავების დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება საერთო-საკავშირო საშუალო მაჩვენებელს.

ეს რაც შეეხება ელექტროსადგურს. როგორღა გადაწყდება სასმელი და სარწყავი წყლის საკითხი?

უზარმაზარი კაშხალი წინ აღუდგება ფშავისა და ხევსურეთის არაგვს. შეიქმნება წყალსაცავი. შემოდგომაზე, ზამთარში და გაზაფხულზე ეს წყალსაცავი 520 000 000 კუბურ მეტრ წყალს მოაგროვებს. საგანგებო ჭაურით წყალი ქვემოთ დაეშვება, ამუშავებს ელექტროტურბინებს, გაჰყვება რვანახევარი კილომეტრი სიგრძის გვირაბს, შემდეგ, საგანგებო ნაგებობებით, გავა არაგვის მარცხენა სანაპიროზე, გაივლის საგურამოს, წიწამურს, აკჰალას და თბილისის ზღვამდე მივა. იქ აიგება გამფილტრავი ნაგებობანი, რის შემდეგაც თბილისი და რუსთავი წაშში 4,6 კმ მეტრ წყალს მიიღებენ (ეს, დაახლოებით, იმის ნახევარია, რასაც ახლა იღებს თბილისი), დანარჩენი წყალი შეივსებს თბილისის ზღვას და 40 000-მდე ჰექტარ ველ-მინდორს მორწყავს.

— წყალსაცავი ალბათ მოითხოვს ჩვენი ულამაზესი სამხედრო გზის ნაწილის გადაადგილებას, სოფლების გასახლებას; კერძოდ, როგორი იქნება ციხე-სიმაგრე ანანურის ბედი?

— მე ეგვიპტეში ასუანის სადგურის მშენებლობაზე ვახლდით და ჩემი თვალთ ვნახე, ნილოსის დასატბორ ტერიტორიაზე როგორ მოუარეს ისტორიულ ძეგლებს. ზოგი დაშალეს და გადაიტანეს, ზოგიც ადგილზე დატოვეს... დიახ, თავის ადგილზე დატოვეს. წყალი სოფელ ანანურამდე

აღწევს და ნაწილობრივ მისწვდება ციხე-სიმაგრეს. ამიტომ, ნაგებობის ირგვლივ აიგება ბეტონის კედელი და ჩვენი ისტორიული ძეგლი სიმედოდ იქნება დაცული. რაც შეეხება სოფელ ანანურს და კიდევ რამდენიმე პატარა სოფლის მოსახლეობას, მათთვის კაშხალის ქვემოთ უკვე შენდება კომფორტაბელური ბინები, ასე რომ, ისინი კვლავაც იმავე რაიონში იცხოვრებენ. წყალსაცავს ლათინური ასო „V“-ს ფორმა ექნება. ნაწილობრივ დაიტბორება როგორც ხევსურეთის არაგვის ხეობა, ისე ფშავის არაგვის ხეობა. ეს იქნება ტურიზმისა და დასვენების დიდებული კერა, კიდევ უფრო გალამაზდება და დამშვენდება აქაურობა. უკვე დაწყებულია ახალი გზის მშენებლობა. სამხედრო გზა მზარმარცხნივ მთებს შეუყვება და ანანურის ზემოთ შეუერთდება ძველ გზას (არანის — ანანურის ხაზი); მეორე გზა, ფშავ-ხევსურეთის გზა (სოფელ პაველურიდან — თვალთვალამდე) მდინარისპირა ჭალებს ქვემოთ დატოვებს და ტყე-ტყე გაუყვება ჩარგლისა და ბარისახოსაკენ. საერთოდ კი, 12 კილომეტრი ახალი გზის გაყვანაა გათვალისწინებული, სადაც 200 000 კუბური მეტრი კლდის საშენობები შესრულდება.

— როგორც თქვენი ნამბობიდან ჩანს, ეს საკმაოდ რთული და მნიშვნელოვანი მშენებლობაა. როდისთვის არის მისი დამთავრება გათვალისწინებული?

— ჩვენი უპირველესი ამოცანაა, წყალი მივაწოდოთ თბილისის მოსახლეობას, ამიტომ, სანამ კაშხალი აიგებოდეს, განზრახულია აიგოს წყალსადენის ხაზი. მძლავრი ტუმბოების საშუალებით წყალი თბილისის ზღვისკენ უნდა გადმოიქაჩოს. ეს საშენობები 1972 წლის ბოლოსათვის უნდა დამთავრდეს. თვით ძირითადი ნაგებობები — კაშხალი და ელსადგური დიდ შრომატევად სამუშაოს მოითხოვს და ხუთწლეულის დირექტივებით 1975-76 წელში უნდა დასრულდეს. ასე რომ, „პიონერის“ დღევანდელ მკითხველებს, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, საშუალება ექნებათ ჩაებან ამ მშენებლობაში და საკუთარი მარჯვნივ შექმნან ქვეყნის მომავლისათვის საჭირო ენერგეტიკული ბაზა.

4.6

**კ. ვებრ პიპონის
სასაღ წყალს პიი-
ღვს ნაგვი თიღი-
სი.**





ტრონის მხიარულ შუქში თეთრად ელავდნენ გუთნის ფრთები და ჩვენს გარშემო ღამის პეპლები ცეკვავდნენ. თეზო და ლალე ხელიხელ გადახვეულები ისხდნენ კოფოზე და რაღაცას მღეროდნენ, ძალიან ლამაზად მოჩანდნენ. ვუყურებდი და მიხაროდა, რომ ყველაფერი ასე კარგად მოეწყო. ლექსას სამხედრო ხალათი ეცვა, დიდრონი მკლავები საქვეზე დაეწყო და აქეთ-იქით ატრიალებდა. თბილი ჰაერი სახეში მცემდა. ტრაქტორზე ადრეც ვმჯდარვარ და ყოველთვის მსიამოვნებდა ახალი ხნულისა და ტრაქტორის სუნი.

— საით გიმოგზაურიათ? — ლექსა ოდნავ შემობრუნდა ჩვენკენ. — გამოდის, რომ სწავლა მიატოვეთ და ვაჭრობაზე გადახედით არა? — ამბობდა უკან მოუხედავად და თან ხიდზე გადაჰყავდა ტრაქტორი.

— რისი ვაჭრობა, სამხედრო დავალებას ვასრულებთ. — უთხრა შუქომ.

— ვითომ?
— სატანკო კოლონის აგებაში ვმონაწილეობთ. — უთხრა რამიზმა.

ლექსას ხმა აღარ ამოუღია, ჩუმად მართავდა ტრაქტორს.

— სერიოზული ხალხი ყოფილხართ, ბოდიშს ვიხდი, რომ შეურაცხყოფა მოგაყენეთ. — ვვითხრა, ტრაქტორი წამით შეაჩერა, ბიჭებს გასძახა, არ ჩაგვიძინოთო, და კვლავ ზურგი შეგვეპოცა. — აბა თქვენ იცით, იქნება მომისწოთ, სანამ ფრონტზე წავალ... რა ქენით, ჩამოზიდეთ ნახერხი?

შუქო აცმუკდა, ლექსას მხარზე ჩამოეყრდნო და ყურში ჩასძახოდა:

— საჭიდაოა, რომა, კაცი ვერ იტყვის უკეთესსა. ეგა თქვი, ვინ უნდა იჭიდაოს, თორემ ნახერხი ბლომათა ყრია. პატრაჭალებს შემოლუთვლიათ. ეხლა დაგვიდგადარიო, უნდა ამოვიდეთ და ერთმანეთს უნდა ვაფაროთ ვაკეთებდით... უხ, რატო ცოტა დიდი არა ვარ, მაგათ ვაჩვენებდი სეირს. სულ მაგათზე ვიყრიდი დილანდილ ჯავრსა... რომ იცოდე, რა გვიყო ერთმა დიპიანმა რკინიგზელმა. ეგრე აღარ გაიცინებდი...

რამიზმა მუჯღუგუნნი წაჰკრა. ქვეყანა ნუ შეყარეო, და შუქოც მამინვე გაჩუმდა.

რუზე გადავიარეთ და წყალი დახევეა. ლექსამ ტრაქტორი გააჩერა და ლალეს გასძახა, დაწყვიტეო.

— იმათებურ ფუმურას უთქვამს, სათითაოდ ვისაც გამომიყვანენ, ყველას დაფენცხავო. — წამოიწყო ისევ შუქომ.

— დაფენცხავს კიდევცა, — გაეპასუხა ლექსა. — ვინ უნდა გაუყვანო? ეს ჩვენი კანტუზიანი კულა დამდგარა და წვრილფეხობას ავარჯიშებს, სოფლის მთელი ნაყარა ნუყარი მოუგროვებია.

— შენ არ იჭიდავებ? — ჰკითხა რამიზმა.

— ჩემი საჭიდაო შორს არის აქედან, — ამოიხბრა ლექსამ. — თავმჯდომარემ ძალით დაატოვებინა ჩემი თავი კონისარსა... სასიმიინდეების ხენას მოვრჩები და წავალ...

— მნამდე ხომ აქ იქნები, მეზობელი რომ წაგიტყინონ, არ გახვალ?..

— ფეხი მტკივა, ბიჭო, ფეხი... ჯერ ჭრილობა რივიანად არ შემხორციბია. კოჭლი მოჭიდავე გინახავთ სადმე?

სოფელში ისე შემოვვდივით, ხმა აღარ ამოგვიღია. ლექსამ ტრაქტორი კალოსთან გააჩერა და, აბა, ახლა შინისაკენ მოუსვითო, გვითხრა.

ფარის შუქზე დევივით დატორტმანებდა, ვუყურებდი და მეგონა, რომ მისი დამმარცხებელი არავინ იქნებოდა ქვეყანაზე.

— ლექსა ძია, კვირას უნდა იჭიდაო? — ჰკითხა ახ-

ლა ლალემ. — კულას თურმე შენი იმედი...
— რა მეჭიდავება, დღე და დამე მოსვენება არა მაქვს, — თქვა და გაბრუნდა. — ეხ, ბავშვებო. ბავშვებო, — ბუტბუტებდა თავისთვის, — ცარიელ ტომარას რა დააყენებს ფეხზე.

გული დამწყდა ამის გამგონეს. უცებ აზრად მომივიდა, მივსულიყავი და რამე მეთქვა, ნუგეში მეცა ან მადლობა გადამეხადა...

ხელში როგორ ჩაეუდე გაქონილი ქაღალდი, არ მახსოვს.

— არა. ბიჭი. არა, მაგიტომ კი არ დაეჩივლე. — მეუბნებოდა უხერხულად.

— აილე, აილე, ტიპყინა თევზია, სულ რომ არაფერი. წყლის სმით გაგებრავს. — იცინოდა ლალე.

— სხვამ გვაჩუქა, ფული კი არ მიგვიცია. — შესცინოდნენ ბიჭები.

გაუბედრავად ჩამომართვა ქაღალდი და ტრაქტორზე აბობლდა.

სახლში აურზაურით დაგვხვდნენ. სად დაიკარგენითო, რამიზის დედა ჩვენსას მისულიყო და იქ გველოდებოდა.




— როცა რამიზთან არის ჩემი ასმათი, რატომღაც არატრის დარდი არა მაქვს ხოლმე... ჩემი კიმოს ჭუჭუ აქვს ნაწოვი... დედა მოუკვდეს იმასა. — ამბობდა დედა.

— ვანდა მასწავლებელს როგორ გინდა დაეჩახვო? — მითხრა რამიზმა.

დედის ალერსმა და კერძის სიტომ ყველაფერი მიმზიდველი გახადა. სკოლაც და სახედაკობილი ვანდა მასწავლებელიც. მიუბრუნდი და იმედიანად შეესცინე. როგორცა ჭუხს ისე არა წვიმს-მეთქი, ვუთხარი.

— მიქელაძიანთ დღეს დეპემა მოუვიდათ... იქ დავი-



ნახე თქვენი მასწავლებელი. — გვიტხრა რამიზის დედა. — წარბი არ შეურხევია, ისე იდგა მუმიასავითა.

— გულმაგარი ხალხია რუსები, ტირილი ალბათ წესად არა აქვთ. — უპასუხა დედამ და მარილის კვინტი ჩააგდო როდინში დასანაყად.

რამიზს ხელები დავაბანინე, ლამაზი ქაშანურის სურვიდან ვუსხამდი. იმ სურას ჩემი სახელი ეწერა ზედ და ძალიან მიყვარდა. ძერე რამიზმა გამომართვა, თან წყალს მისხამდა და თან სურას ათვლიერებდა, შენც ამასავით ლამაზი ხარ, მაგრამ უზარდელა ხარ, ვერ იქნა და ტანი ვერ აიყარავ, მიუბნებოდა.

სველი ხელი ავუქნიე და გავწუწუე. დედამ ტყუილი ჩიხირთმა დაგვისხა ჯამებზე და თითო ნატები ქერის პური ჩამოგვირივა.

— ამათი მასწავლებელი რას ინდვლის, ქმარსა აღრევე ვაპყრია, იმისი არც ავი იცის და არც კარგი, შვილისაგან კი ყოველკვირა მოსდის წერილები. — ამბობდა რამიზის დედა. — დმერთმა ყველას კარგი მისცეს, განა მშურს, მაგრამ, ვგრე გულქვა არ უნდა იყოს... სულ არავინ ებრალება.

— რომ იცოდე, ნინო დეიდა, ვანდა მასწავლებელი სულაც არ არის გულქვა.

დარუშხულმა შემომხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

რამიზი რომ წავიდა, მთელ საღამოს მასწავლებელთან სვლინდელ შეხვედრაზე ვფიქრობდი. რამიზი კი ვახუშტემე, მაგრამ მე თვითონ მეშინოდა...

გულქვა კი მარც არ იყო ვანდა მასწავლებელი. მის მაგიერ მე დავიფიცებდი, რომ არ იყო. რვა მარტს ჩვენი კლასელი გოგონები ყოჩივარდას მოსაკრებლად წავედით. დაკრფილი ყვავილები ლამაზ თაიგულებად შევკარით და წილი ვყარეთ. მე ვანდა მასწავლებელი მერგო — მისთვის უნდა ბიძელოცა... მაშინ პირველად ვნახე ახლოს და სულ სხვანაირი მეჩვენა. ამ ერთი კვირის წინ კი... ვისაც უნდა ვუთხრა, არავინ დამიჯერებს... ნამტირალევი ვნახე.

ქართულის მასწავლებელმა დილაადრიან წერილი გამატანა მასთან. ეტყობოდა, პირველი გაკვეთილები არ ჰქონდა, საშინაო იყო გამოწყობილი. ხელი რომ გამომიწოდა წერილის ჩამოსართმევად, მაშინ შევხედე. გაძვალტყავებული ხელი უკანკალებდა. მკვდრის ფერი ედო სახეზე. პირი ამარბდა, თითქოს ერცხვინებოდა, რომ ასეთ დროს შევესწარი. ვიდრე პასუხს დამიწერდა, მოვასწარი დამენახა მაგიდაზე ვორებად დამდგარი რვეულები, ლურჯ საყვავილეზე მიყუდებული სამხედრო მფრინავის სურათი და გახსნილი წერილი...

რა ვუყოთ, რომ მკაცრია, ალბათ ომმა, ოჯახის აწეწვამ, მშობლიური კუთხის დაკარგვამ გახადეს ასეთი. თქვენი მასწავლებელი ლტოლვილებს ჩამოჰყვავო რუსეთიდან, გვიტხრა დირექტორმა, როცა ვანდა მასწავლებელა შემოიყვანა კლასში. აბა თქვენ იცით, როგორც მოექცევითო.

დილით ადრე მივედი სკოლაში, რომ მომესწრო და გაკვეთილები რამენაირად მესწავლა. მარტო აზა დამხვდა, ჩვენი რაზმის საბჭოს თავმჯდომარე.

— სად დაიკარგე, გოგო, სულ შენ ხსენებამია ვანდა მასწავლებელი.

ყურადღება არ მიმიქცევია, მის მერხთან მივედი და რვეულები გამოვალაგე. ქიმიის რვეულს ვეძებდი.

ვიდრე მე რვეულს ჩაკვირებდები, მოსწავლეები მოკროვდნენ.

— გაიგეთ, ბავშვებო, რა უქნიათ აჭარელ მოსწავლეებს?! — ეკითხებოდა აზა, — სატანკო კოლონის ტონდში ათასობით მანეთი შეუტანია თითოეულს. აგერ, გაზეთში წერია.

მოსწავლეები გაშლილი გაზეთის გარშემო შეგროვდნენ. მის გულმა ველარ მომითმინა, კითხვას თავი დავანებე და მათკენ წავედი.

— მოსწავლეებს სად ექნებოდათ მაგდენი ფული? — იკითხა თათიამ.

— აქ წერია, რომ კოლმეურნეობიდან რაც შრომადღეებზე ერგებოდათ, მთლიანად შეუტანიათო. — მომესმა რამიზის ხმა. — ჩვენც კი გვერგება, მაგრამ სირცხვილით სად გამოაჩენ... ღარიბია ჩვენი კოლმეურნეობა. ძერე კიდევ, წლის ბოლომდე ვინ მოგვცემს.

— რატომაც არ მოგვცემენ. თუკი კოლექტივის წევრებით ყოველდღე აქეთ-იქით დაგვარბენინებენ, კიდევ უნდა მოგვცენ, ჩვენთვის ხომ არ გვინდა. — ამბობდა უკან მდგარი ზორბეგა და თან მალლიდან დასცქეროდა გაშლილ გაზეთს.

ზარის ხმა ვერ გავიგეთ, მასწავლებელი უცაბედად წამოგვადგა თავზე.

გაკვეთილი დაიწყო.

მესამე ვანდა მასწავლებლის გაკვეთილი გვექონდა. დასვენებაზე პიონერთა ოთახში გავედით. ხელმძღვანელი გიბარებსო, მითხრეს. ასმათიც გამომყვა.

— როგორ მოეშვი, რამიზ, როგორ მოეშვი, ატყობ?... სად არის შენი სამკლავე ნიშანი? — დამიწყო საყვედურები, ხელმძღვანელმა. — ამბობენ, კლასის ორგანიზატორიც ემხრობაო მეორე რგოლს და, საითაც მოეპრიანება, იქით მიჰყავსო მოსწავლეები. მართალია? — მიუბრუნდა ახლა ასმათს.

ასმათმა თავი ჩაღუნა. მეც არაფერს ვამბობდი, ხელმძღვანელის გაქერცლილ ფეხსაცმელებს დავცქეროდი. ფერდაკარგულ ფეხსაცმელებს მშიერი ზახალებივით დაეღოთ პირი.

გაქირვებისაგან ზარმა გვიხსნა, მაგრამ გაკვეთილზე უარეს ცეცხლში ჩავცვივდით. სად გყავდა რგოლიო, ჩამაცივდა ვანდა მასწავლებელი. რომ აღარ მომეშვა, ავდექი და ვუთხარი, ტყეში-მეთქი. მელსი, იცოდა, რომ ავად იყო, კლასს გადახედა და ასმათი მოძებნა.

— ასია, გდე ტი ბილა? — ასმათმაც არც აცია დ არც აცხელა: — ვ ლესუ.

ვანდა მასწავლებელმა წარბები ასწია. კლასში დუმილი ჩამოწვა. მასწავლებელი გაოცებული იდგა მაგიდასთან, ძერე მერხებშუა დაიწყო სიარული; ეტყობოდა, აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

— დასხედით. — გვიტხრა ბოლოს. რვეულები ამოიღეთო. ბრძანა და საშინაო დავალების შემოწმება დაიწყო.

ვისაც დავალება არ ჰქონდა, ფეხზე დგებოდა და თავს ქინდრავდა — ასეთი იყო წესი რუსულის გაკვეთილზე.

— ახსნაზე არ ვიყავი და... — წამოიზღაუნა ზაქრო. მასწავლებელმა წარბი შეიკრა.

— ეს ორი დღეა, აღარც შენ ჩანხარ, სადა ბრძანდებოდი?

ზაქროს თითქოს რაღაც უზაროდა, რაღაც ეამაყებოდა, ადრინდელივით აღარ გვერიდებოდა. ყველას გვიკვირდა, ღღეს ასე რამ გამოცვალაო, და ახლა მასწავლებელთან ერთად ეკლოდით პასუხს... ასე უცბათ რამ გამოცვალა ზაქრო!



— მამა ჯარში წაიყვანეს და... — შესცინა მასწავლებელს.

— ყოჩაღ. — თქვა მასწავლებელმა ზაქროს მამის მიმართ. — ბოლოს მაინც გაბედა ხომ? — მოსწავლე დასვა და დაფისკენ წავიდა.

ზაქრო მთვარესავით გაბადრული იჯდა მერხზე, ნაკვერჩხლებივით უღვივოდა დაუღაჟა ლოყები. ეტყობოდა, გულზე მოეშვა, ახლა ხომ ველარავინ წამოსძახებდა, მამამენმა თავი გამოისყიდაო. ენაქარტალა თათია განგებ იტყოდა ხოლმე მის გასაგონად: ყველა ვირია, ვინც დეზერტირიაო.

— მამა ჯარში წავიდა და... — ამბობდა ზაქრო და კლასს უბრალებდა თვალებს, ახლა რაღას მიზამთო.

— აი, ხედავთ, ბავშვებო? ჩვენ ყველანი ჯარისკაცები ვართ, როცა სამშობლოს სჭირდება; ზოგი გვიან, მაგრამ მაინც ხომ ხვდება, ესეც კარგია...

გაკვეთილის მერე დღერეფანში გვქონდა თათბირი. ზორბეგას ველოსიპედი ვთხოვე და გადავწყვიტეთ გაკვეთილების შემდეგ ლაღე გაგვეგზავნა პატრა ჭალაში ფულის ამოსატანად.

კრება მეორე დღისთვის გადაიდო.

ბოლო გაკვეთილზე სისუფთავის კომისიამ ჩამოუარა კლასს. გოგოები თავილობდნენ, უარობდნენ, როცა ექთანს თმის გასინჯვას დაუპირებდა. ახლაც ერთი ყრამული ატეხეს.

მე მელსისკენ გამექცა ფიქრი. მელსის ერთხელ ხუწუწები უბოვნეს ხელზე და სკოლაში აღარ მოუშვეს. უნდა მოირჩინოო. სოფელში მუნი იყო გავრცელებული, მაგრამ განა მელსი უსუფთაო იყო?... ექთანმა თქვა, სულაც არ არისო მელსის ბრაღი. სანახავად რომ ვიყავი, ახლოს არ გამოკარა, შორიდან მელაპარაკებოდა. მაინც შევამჩნიე თითებშუა ყვითელი ლაქები... გოგირდის სუნიც ალბათ იმ წამალს ასდიოდა...

გოგოები ყველაზე ძალიან წილიან თმას თავილობდნენ, მელსისთვის არავის უთქვამს, წილიანი ხარო... მამ რატომ გადაჰკრიჭეს?..

დედამისს უთქვამს, მუცლის თმა იყო და როდისმე ხომ უნდა გადამეკრიჭაო, აქ კი რაღას არ მიედ-მოედება კუდაბზიკა თათია.

სულ ბოლოს რომ ვნახე, ჩითის ჭრელი ხილაბანდი ეკრა მელსის, შუბლზე ჰქონდა ჩამოფხატული...

— რამიზ, წამო თუ გინდა, ახლავე გავიაროთ კანტორისაკენ. — შუქო მადგა თავს.

კლასიდან გამოვედით. გზაზე გოგოები შემოგვიერთდნენ, ასმათიც მათთან იყო.

— ბარემ მელსიც ვნახოთ, — მითხრა ჩუმად, — საწყობში მუშაობს, სათესლე სიმინდს ახარისხებენ ჩვენი ქალები.

მოანგარიშე ქუცას ნაწერზე რჩებოდა ჭიქის თვალი, ისე გველაპარაკებოდა. სატანკო კოლონას ჩვენც კი ვაგებთ, კოლმეურნეები, მაგრამ ეგეთი რამე არსად გავვიგიაო. შრომადღეებზე ქერი, პური და სიმინდი გერგებათ, მე ფულად როგორ უნდა გიქციოთო. საღი თვალი ჩავვიკრა და მხრები აიჩეჩა, რა გიყოთო. რაკი აღარ მოვეშვივით, კარგიო, დაგვეთანხმა, თავმჯდომარესთან შევალ, აბა რას მეტყვისო.

ასმათმა დრო იხელთა და საწყობისკენ წავიდა სის სანახავად.

ამასობაში ქუცაც დაბრუნდა. ნუ გეზინიათ, ბიჭებო, ყველაფერი რიგზეაო, მხარზე ხელი დაგვიტყაპუნა. ახლა სია მომეციო, რამდენნი ხართ და სუყველას დაკიანგარიშებთო.

სიის წერას ვამთავრებდი, რომ ასმათიც მოიჭრა ქაქანიო.

— აბა ვნახო, რამდენი გოგოა. — სია ჩათვალაიერ და მითხრა: — მელსიც ჩაწერე.

კანტორიდან მაშინვე წამოვედით. გზის გასაყართან სულ ბოლოს ზორბეგა დაგვშორდა მე და ასმათს.

— მელსი ნახე? — შევეკითხე. ასმათს გაეღიმა.

— იცი, როგორი თმა გაზრდია? შავი ხავერდივით უბზინავს. ორშაბათს აპირებს სკოლაში მოსვლას.

მეორე დღეს სკოლის საგულშაგოზე ემორიგებოდი. ყურბავეცილი, კოპჩია ლილებზე შეკრული ბუდიონურა მესურა და აირწინალის ჩანთა მხარილოვ მქონდა გადაკიდებული. რაც შუქშენილბვა მოიხსნა, მასწავლებლები აღარაფრად აგდებდნენ ჩვენს საგულშაგოს. მოგვხსნიდნენ ზოლმე საგულშაგოდან და გაკვეთილზე გვიკრავდნენ თავს. ახლაც ასე მიყო ვანდა მასწავლებელმა.

მერხზე მელსი დამიხვდა, დარცხენილად შემობხედა და მაშინვე თვალი ამარიდა. მეც არაფერი მითქვამს, თუმცა არც იყო საამისო დრო, მასწავლებელი უკვე მაგიდასთან იჯდა.

— რა ქენით, მზადა ხართ კრებისათვის? — იკითხა, სანამ გაკვეთილს დაიწყებდა.

ყველას მაგიერ აზამ გასცა პასუხი, გაკვეთილების შემდეგ ვაპირებთო კრების ჩატარებას.

დასვენებებზე სულ ახალ-ახალ ამბებს ვიგებდით. ზორბეგას სამი ათასი მანეთის შემოტანა განეზრახა; ზაქრო უფრო მეტს აპირებდა, ამბობდნენ. ბოლო დასვენებებზე პიონერხელმძღვანელი შემოვიდა, ხელში ფურცელი ეკავა და გვეუბნებოდა:

— აბა, ჩაიწერეთ, ვის რამდენი გერგებათ კოლმეურნეობიდან. ეს სია ახლა მოიტანეს კანტორიდან.

ყურს ვუგდებდი, ვის რამდენი ეკუთვნოდა. ჩემი რიგიც დადგა. ათას ოთხას ოცდაათი მანეთი მერგო, ყველაზე მეტი. მაშინვე ანგარიში დავიწყე. პატრა ჭალიდან ამოტანილ ფულში ორას სამოცი მანეთი ერია ჩემი... ათი მანეთილა მაკლდებოდა, რომ ათას შვიდასად შემეგრელებინა.

იმ წუთში მთელი კლასი ანგარიშით იყო გართული. ვინ თავისას ანგარიშობდა, ვინ — მეზობლისას.

ბოლო გაკვეთილი გავვიცდა და კრება აღრე დავიწყეთ. პიონერხელმძღვანელმა ცაში აგვიყვანა ქებით, თქვენა ხართ ჩვენი მთავარი ძალო, ჩვენი შვიდწლედის სიამაყეო; გამოსაშვები კლასი ხართ და მაგალითი თქვენ უნდა მისცეთო მთელ სკოლას. მორჩა თუ არა ლაპარაკს, აზამ მაშინვე ზაქროს მისცა სიტყვა. ზაქრო ზღაზვნით წამოდგა და მაშინვე წამოჭარხლდა.

— რაღა უნდა ვთქვა, ხუთი ათასი მანეთი შემომამქვს. ეგ არი და ეგა.

არ დასვეს, ვის იწვევო, ჩააცივდნენ. ზაქრომ უმწეოდ მიმოიხედა და უცბად ასმათისკენ გაიშვირა თითი.

— სატანკო კოლონის მშენებლობის ფონდში შემომამქვს... — ასმათს ეუხერხულა მცირე თანხის დასახელება, — რვას ორმოცდაათი მანეთი და ვიწვევო...

მე გადმომხედა. მაშინვე ფეხზე წამოვდექი.

— სატანკო კოლონის ასაგებად შემომაქვს ათას...
ორი ათასი მანეთი...

მერე ჩვენი ბიჭები დგებოდნენ ზედიზედ და პი-
ონერულმძღვანელს პირი ღია დარჩა ვაკეირებისაგან;
ეტყობოდა, საკუთარ ყურებს არ უჯერებდა.

სკოლიდან მზიარულ ვუნებაზე ვბრუნდებოდით
შუა სოფელში. სადალაქო კედელზე წითლად აქი-
ყნილი აფიშა იყო გამოკრული.

— ხედავთ. ამ კვირას ყოფილა ჭიდაობა. — ლალე,
ხარბად ათვლიერებდა აფიშას. ცალ მხარეს პატრაქა-
ლელების ვვარება იყო ჩამოწერილი, მეორეზე — ჩვენ-
სოფლელებისა.

— აი ჩვენი ლექსა სულ თავზე სწერია. „ა. გიორგა-
შვილი“, — ამოიკითხა შუქომ.

— ზორბეგაცა სწერია... ლახიანიცა, ძიბუაცა! —
უყვირდათ ბიჭებს.

— ჰაი დედასა, ბედაურები დაიხოცნენ და ვირებს
დარჩათ მოედანით, — ჩაიბურტყუნა დალაქმა დათამ და
განსნილი სამართებლით ჩვენიც წამოვიდა, აბა მოუს-
ვით აქედანა, თანჯარას ნუ მიბნელებით.

აფიშას კი შოვშორდით, მაგრამ არ დაეშლილვართ.
რა უნდა იჭიდაოს საწყალმა ლექსამაო, ჩიოდა ლალე,
დღე და ღამე მშვირი მუშაობს მინდორშიო. თეზომ თქვა:
თუ გინდათ, მე ლორს ვიშოვი, ღორის ლორს, თქვენ კი
პური მოავროვითო. მაშინვე დავტრიალდით.

სალამოს უკვე კარგად იყო შებინდებული, რომ შუ-
ქო და თეზო ტურებივით მიიპარებოდნენ გიორგაანთ
ორღობეში. მე და ლალე მოთვალთვალეებად ვიდექით.

ლექსას მამას ბანიანი სახლა ჰქონდა, ბანზე ოქრო-
ცოცხა ამისულოყო, ერთ კუთხეში კი ლობიოს ბრე-
ლო იყო კოშკივით დაზვიენული.

ქალაღში გახვეული ღორის დიდი ნაჭერი და ტა-
ფაზე დამცხვარი უღვიარი მჭადები შუქოს პიჯაკის ქვეშ
ჰქონდა ამოფარებული.

თანდათან ჩამობნეულა. ჩქამი აღარ ისმოდა ორღო-
ბეში. ქვემოდან ვეღაც წამოვიდა. ლალემ დასტინა და-
აპირა, მაგრამ მაშინვე ტყაპატყუპით გამოქცეული ბი-
ჭების ფეხის ხმა გავიგონეთ.

— მაგიდაზე დავდეთ. წერილიც იქვე დავტოვებო.

წერილი კი ზეპირად ვიცოდი. ჩემი შედგენილი იყო.
„ეაენსად მიიღე იმ მოხაჯლის ანგარიშიდან, შენი ნახნა-
ვიდან რომ მოვიღით. წინ, სრული გამარჯვებისაქენს!“

ორღობეში ხვწემით მოდიოდა თეთრთმბიანი კაცი.
ლექსას მამა არ იყოს და არ გვიცნოსო, შორიდანვე
კუვანეთ.

პიონერთა ოთახში დაგვიანებდა შევიკრიბეთ. კედ-
ლის ვახეთის სპეციალურ ნომერს ვამზადებდით. „სამ-
შობლოსათვის, სტალინისათვის“ — ეწერა დიდი სათა-
ური. მის ქვემოთ კი გამწილი პიონერული ყელსახვევი
ეხატა.

ვკითხულობდი რედკოლეგიაში შემოსულ წერილებს
და გულში ვეღარ ვიტყვდი სიხარულს: ჩვენ ძლიერები
ვართ, აი რამდენი შეგვიძლია, რამხელა თანხა შევაგრო-
ვეთ. ალბათ არც სავა სკოლები ჩამოვკრჩებოიან... რამიზ-
მა ნეტავ როგორ უნდა იშოვოს სამას ათი მანეთი, რაც
დააკლდა?

ღიტი ვატაკებით ხატავდა მაგიდაზე გადამლილ ვა-
ხეთზე, პიონერული ყელსახვევი მალა დაფრიალებდა.
ქვემოთ კი ერთიმეორის მიყოლებით თეთრკარსკვლავი-
ანი მწვანე ტანკები მივრიალებდნენ. ზედ პატარა მებრ-
ძოლები ისხდნენ. „სატანკო კოლონა საქართველოს
ნორჩი პიონერი“ — ეწერა ქვეშ.



— დიდთახნიანები პირველ რგოლში არიან მეტი სა-
ერთო თანხა კი მეორესი უსწრებს, მაგრამ აქვე უნდა
აღინიშნოს, რომ მეორე რგოლი უღისციპლინობას იჩენ-
და თანხების მობილიზაციის დროს, — ამბობდა აბა. —
გაკვეთილებს აცდენდნენ.

— შენ იცი, რის ფასად დაუჯდა მეორე რგოლს მაგ
თანხის მოგროვება? — ჰკითხა პიონერულმძღვანელ-
მა. — თუ არ იცი, ავიკ ასმითა ჰკითხე.

მე ხმა ვეღარ ვიშოვე მღელვარებისაგან. კენჭი უყა-
რეს და საეურო ვადაწყვეტილებით ჩვენი რგოლი დას-
ვეს მოწინავე ტანკზე. თითქოს განგება, შუაში ვოგონა
იყო დახატული. აქეთ-იქით კი ბიჭები ისხდნენ.

წერილებს გადაწერა მე მომანდეს.
უკვე შეიბინდებული იყო, როცა ვახეთი გამოვკიდეთ.

მეორე ღილით კა. ვიდრე ვაკვეთილები დაიწყებოდა.
ტევა აღარ იყო მის გარშემო.

რამიზ გვიან მოვიდა. შორიდან შეათვალერა გაზე-
თი და უჩუმრად გაბრუნდა. შევატყვე, რომ მოეწონა. ვი-
ცოდი მისი ხასიათი, ისეთ დროს ნახავდა და წაიკითხავდა.
როცა გვერდით არავინ ეყოლებოდა. თითქოს რცხვენო-
და, როცა კარგ რამეში შენიშნავდნენ.

ზარი დაირეკა. ეანდა მასწავლებელი შემოვიდა და
ღირეკციის სახელით მადლობა გამოუცხადა კლასს, მე-
რე რამიზის რგოლის წევრები წამოაყენა ფეხზე, ალბათ
უნდა შეექო, მაგრამ რაკი დაინახა, ლალე აკლდა, წარბი
შეიკრა და მე მომიბრუნდა, რატომ აკლიაო.

რა უნდა მეპასუხა?

ლალე მთელ დღეს არ გამოჩენილა ბიჭებმაც მოისაკ-
ლისეს, მაგრამ ცამ ჩაყალაა თუ მიწამ უყო პირი, არავინ
იცოდა. მერე ზორბეგაც გაქრა თვალსა და ხელს შუა.

— ალბათ კულასთან წავიდნენ სავარჯიშოდ, დღეს
ხომ შაბათია, ხელისთვის მოემზადებიან. — თქვა ზაქ-
რომ. — ან დაისვენებენ.

— ლექსას კი არ უნდა დასვენება? აბა, შეხედეთ
ღილის აქეთ წუთით არ გაჩერებულა ტრაქტორი. —
რამიზი ნაფუზრის ველებსკენ იშვრდა ხელს.

ავანზე ვიდექით, ლექსა ეენახებს ზემოთ გრძელ
მინდორზე მუშაობდა, მზრალად ნახნავს ომავდა. აოში-
ლი მიწა მექ ზოლებად მოჩანდა.

— შეიძლება სულაც არ აპირებს ჭიდაობას, აღრიც

ხომ თქვა. არ ვიჭიდავებო. — თეზომ რამიზს შეხედა.
— ჭკუასთან ახლოა. მაშინ უნდა წავიდეთ და რამე-
ნაირად შეგავალიანოთ. — თქვა რამიზმა დაფიქრებით.
ბიჭები სოფლისკენ წავიდნენ. მეწყინა, რომ არავის
გავახსენდი. შორიახლო ავედევნე. მერე დრო ვიხელთე
და, როცა რამიზმა მოიხედა, ვანიშნე, მეც წამოვალ-
მეთქი. ხელი დამიქნია.

ტრაქტორი ზემო საქცივისკენ მიდიოდა. ქვემო საქ-
ცივთან კი კაკლის ჩრდილში ორნი ჭიდაობდნენ. როცა
ახლოს მივედი, ლექსა და ზორბეგა ვიცანით. ლექსას
პირი გაეპარსა და გალამაზებულიყო. დასვენებული და
გამოძინებული ჩანდა. გორაობა რომ მოსწყენოდა, ახლა
ზორბეგას ავარჯიშებდა, იღეთებს ასწავლიდა. იქვე ახ-
ლოს ლობიოიანი ხელადა-ჯამები ეყარა.

ცხადი იყო, ლექსა შეეცვალათ; ტრაქტორზე სხვა
დაესვათ, რომ ლექსას დაესვენა. რა კარგი კაცი ყოფი-
ლა თავმჯდომარე! ბიჭები კი იძახდნენ, საჭიდაოს დაშ-
ლას უპირებს. ხალხი მიცდებო. ამ ფიქრებში ვიყავი,
რომ ტრაქტორიც მოახლოვდა. ტრაქტორისტი მაისურის
ამარა იყო, ერთიანად მტკვრში ამოგანგლული. ეტყობო-
და, გვიცნო, თეთრ კბილებს აჩენდა და რალაცას გვე-
ძახდა.

— ლალე, ბიჭო! ჩვენი ყურებდალარძული ლა-
ლე! — აყვირდა შუქო და ტრაქტორისკენ გაიქცა.

ძალიან მინდოდა უკან გავყოლოდი, მაგრამ ლექსასი
მთმეროდა. ლალემ საქციევზე გამოიყვანა ტრაქტორი და
წამით გააჩერა.

ვედროს წყალი მომირბენინე შენს გაზრდას, — გად-
მოსძახა თეზოს.

თეზოს გაეცინა. არაფერი უთქვამს, ვედროს ხელი
დაავლო და საგუბარისკენ გაიქცა. ლალე ტრაქტორიდან
წამოვიდა და დონჩემიოყრილი დადგა ჩვენ წინ. რაზე
შეწუხებულხართ ამ სიცხეშიო. გვეკითხებოდა. ნამდვი-
ლი ტრაქტორისტავით ნესტოები მაზუთით ჰქონდა მოს-
ვრილი.

კერ ზორბეგას ვარჯიშს ვუყურეთ, მერე კი ერთ შე-
მოვლაზე ლალეს გავყვივით რიგრიგობით. უკვე მოსალა-
მოებულნი იყო, როცა სოფელში დავბრუნდით.

ბიჭები ჰირდაპირ საქციდაოსკენ წავიდნენ. იქ უკვე
დიდი მზადება მიმდინარეობდა.

მეზურნე წაბლა დილაადრიან დამთვრალიყო და ვე-
ნახებისაკენ წასულიყო კაკლის ჩრდილში დასაძინებ-
ლად. კულამ ყველა მხარეს გაგვგზავნა ბიჭები მის მო-
საძებნად. შუადღე უკვე გადასული იყო, როცა სოფელ-
ში მოვბრუნდით. პატრაქალელები მოსულიყვნენ. ხალ-
ხის ტევა აღარ იყო. მეზურნეები დამბალ ყამიშებს წუწ-
ნიდნენ. ყამიშის ყოველ დაწოვებაზე ყურებს ცქეტილ-
დნენ ნახერხში ამოგანგლული პატარა ბიჭები. მედროლე
ჭუტალა შოთნია ჰყავდათ.

როგორც კი დამკვრილები გაიმართნენ, კულა შუა
წრეში გამოხანხალდა. და მალა ასწია აკანკალებული
ხელი. ვისაც არ ენახა მისი ჭიდაობა, ვერ დაიჭერებდა,
რომ ადრე იგი ცნობილი ფალავანი იყო.

— ჩვენი ჯარების, ჩვენი შავტუხა ბიჭების პირველ
წარმატებებს ეძღვნება ეს პირველი საქციდაო. მოგიკ-
დეთ კულა, თუ ფალავნებისაგან დაწრეტილ სოფელს
პირველად იმან არ აადგმევინოს ფეხი ქართულ ჭიდა-
ობაში თუ კაცი მჭვიან, ამას გავაკეთებ ჩემი სოფლის-
თვინა, ჩემი ხალხისთვის... — ამბობდა თავის რაცრა-
ციით. ნასვამი ჩანდა.

ძლივს დახანხალებდა. ამბობდნენ, მის ახლოს დიდი

ბომბი აფეთქებულია და ცოცხლად დაეძრება. ბიჭები
ტიდან ახალი ჩამოსული იყო.

— შენ დაუკა! — დაიძახა კულამ და — სასტვენს
ჩააბერა.

აბრაგუნდა დოლი. მეზურნეებმა ერთმანეთს მიადეს
თავები და ზურნის ხმამ შესძრა მიყრუებული სოფელი.
ხალხი წრეს მოაწყდა, უკან მდგომებმა ყელ-ყელაობა
დაიწყეს. წრეში არავინ ჩანდა. ეს მხოლოდ შესავალი
იყო. კულამ მეზურნეები შეაფიცა და ხალხიც გულის-
ხმაში ჩააგდო, იწყებო. მსხვილი ძაფით ამოთვრილი
ყისინის ჩოხები ეჭირა და ფაციფუციით დადიოდა. მერე
მეზურნეებს ანიშნა, გაჩერდითო. და რიხით გამოაცხადა
პირველი წყვილი.

ჩვენებური ქონდრისკაცს ჰგავდა. ძლივს დაგორავდა
ნახერხზე.

— უწყლო ქვეყანაშია გაზრდილი და... იცინოდ-
ნენ პატრაქალელები.

მერე ზორბეგამ იჭიდავა. ღონით სჯაბნიდა ჭალელს.
მაგრამ ვერაფერი დააკლო. ორივენი კარგი ბიჭები არი-
ანო, გამოაცხადა კულამ.

პატრაქალელებს მტკვრის სიღინჯე ჰქონდათ გამო-
ყოლილი, თანაც ჩანიანები ჩანდნენ. — მარტლაც სულ
დაფენცხეს ჩვენებურები.



კულა იხტიბარს არ იტებდა წაქცივა კაცს არ წა-
ახდენსო. ანუგეშებდა დამარცხებულებს და თან სიმწრის
ოფლი დასდიოდა ატყავებულ შუბლზე. მერე მუჯლუ-
გუნების კვრითა და ხვეწნით ტრაქტორების ყარაული
მიშა შემოიყვანეს ბიჭებმა და, როგორც იყო ჩააცვეს
ჩოხა. ბიჭები წამით არ სცილდებოდნენ გვერდიდან
აგულიანებდნენ.

ერთი თავლიდა ბიჭი გამოუყვანეს. ჩალა არ გადაე-
ლებოდათ. დაუკრეს ზურნა და შექეზებული მიშა ხტუნ-
ვით წავიდა ჭალელისკენ. მიდი, ხვედა. არ შეგაშინოსო,
თავის მხრივ აქეზებდნენ ჭალელებიც შეცბუნებულ
ბიჭს. მიშა ფიცხობდა, ძირს დააგდებდა ხვედას და ცეკ-
ვით უვლიდა წრეს, გავიშარჯვეო. ასე ქნა რამდენჯერმე.
მაგრამ აი ხვედამ გარეთა სარმა შემოპკრა და ჰაერში
ამოატრიალა. მერე ისღა დავიჩახე. გულაღმა გაშხლარ-
თული მიშა ნახერხზე ევლო და ულოხოდ ასხმარტაობ-
და ფეხებს. თიკლები შუბლქვეშ ჰქონდა შებრუნებული...

წყალი დაასხეს, როგორც იყო წამოაყენეს და გაიყ-
ვანეს წრიდან. ხალხის ყიყინამ იკლო. ბავშვები გაიკრიფ-
ნენ და წყაროსთან წამოწოლილ მიშას შემოხვივნენ.

კულა ისევ მობრუნდა. მეზურნეებს ანიშნა, განაგრ-
ძეთო და ჩვენებურ მილიციელს ეცა. ახლავე გაიხადიო.
მილიციელი ერთი ავლაყულა კაცი იყო. მიდი, კორა...

მიდით, ეძახდნენ აქეთ-იქიდან. ყორამ ნახევარი გამარ-
ჯება მოუტანა კულას გუნდს.

— საუკეთესო წყვილი, თქვენგან მარცხნივ ქალა-
მაზშიშვილი, მარჯვნივ გიორგაშვილი — ყოჩი ვაკეთი-
საი. შენ დაუკა! — გამოაცხადა კულამ ჩამოვარდნილ
სიჩუმეში და დამხმარე ბიჭებს ანიშნა, განზე გასწიეთ
ხალხი.

პატრატალელი მხარბეჭიანი, მაღალი კაცი იყო, შეე-
გვრემანი სახე უფრო ჩამავებოდა, რადგან კაი ხნის ვა-
უპარსავი გახლდათ. ერთი ყრიაძული მამინ ატყდა, ტან-
ზე რომ გაიხადა — ერთიან ჩაგრიტ იყო დაფარული.

— შენ უყურე, ტყის კაცს არა ჰვავს! მავას, ძმავ,
უნდა გაუკრა ხელ-ფეხი და ქალაქის სამხეცეში ჩაიყვან-
ნო. — ამბობდა მეფურნე ლუკა. მეფურნე კი ერქვა,
მაგრამ ფურნე აღარ ჰქონდა, ომის დაწყებისთანავე
დაეკეტეს.

— სამხეცეში ვინ გაგატანს, ხომ ხედავ ჩარშიც ვერ
წაუყვანიათ, ალბათ იკბინება. — იციხობდა ვილაც ჩემს
უკან.

ლექსამ ნახერხი მოფშვნიტა ხელისგულზე და ღიმი-
ლით წავიდა ჯაგრიანისკენ. ორჯერ შეეჩახნენ, მაგრამ
ძვრა ვერ უყვეს ერთმანეთს. ლექსამ უკან დაიხია, მერე
სწრაფად მისწვდა ჩოხაში და ცერი გამოჰკრა. ჯაგრიანი



მოცელილივით დაეცა ძირს, მერე მძიმედ წამოდგა და
ორივე ბეჭით ნახერხი ააყოლა.

კულა მამინევი მივარდა ლექსას და მარჯვენა ხელი
აუწია მაღლა, რაღაცას ამბობდა. მაგრამ ხალხის ღრიალ-
ცელში არაფერი ისმოდა. ჯაგრიანი ზღაპრით იხდოდა
ჩოხას, თმიდან ნახერხი ჩამოიბერტყა და თავჩაღუნული
გავიდა წრიდან.

ახლალა შევხედე კარგად ლექსას. ჯარისკაცური შარ-
ვალი ეცვა. მუხლთან შესიებულივით მოუჩანდა მარცხე-
ნი ფეხი, ეტყობოდა, ბანდი ჰქონდა შემოხვეული. წელ-
ზევით შიშველი იყო და, როცა ჩვენკენ შემობრუნდა,
მამინ შევამჩნიე, მხართან ორ ადგილას ჰქონდა შეკბე-
ჩილი მარჯვენა მკლავი. ათას რამეს ეძახდნენ აქეთ-იქი-
დან, აქებდნენ, აქეზებდნენ, მაგრამ არაფერი ყურადღებას
არ აქცევდა, იდგა და მორიგ მეტოქეს ელოდა.

წრის იქით დიდხანს ჩოქლოდნენ რკინიგზელები.
ბოლოს ერთმა ვეება ტანის კაცმა შემოარღვია ხალხი
და თავისით ჩაიკვია ჩოხა. კულამ ქამარი შემოარტყა და,
იქით დადექიო, ანაშნა. ლექსაზე ორჯერ განიერი ვაჟკაცი
ჩანდა, კიდევ ერთხელ შევადარე და შემეშინდა ლექსას
მაგიერ.

პირველი შეჩახებისთანავე ქამრები შემოაწყდათ. მე-

რე ვილაცამ მკვიდრად ნაგრეხი აპურები მოარბე-
და. ახლა ის შემოარტყეს ორივეს.

— ჰაი დედასა, სადა ხართ, ბიჭებო! — ოხრავდა კა-
ლაც. — ევეც რომ წაგვიქციონ, ვინ გინდა გამოუყ-
ვანო?..

ლექსა ჯიქურად მიიწვედა ქალელისკენ. ვარეთა სარ-
მით ორჯერ ძირს დაანარცხა, მაგრამ მესამედ რომ სცა-
და, თვითონ წამოიგო მის ფანდზე და ცალი ბეჭით და-
ასკდა ნამიან ნახერხს.

— ოპო-პო-პო! — ამოიგმინა ხალხმა
ლექსამ ღიმილი გადაიკრა სახეზე და კვლავ მიიწია
მეტოქეზე.

— ნატყენმა ფეხმა უღალატა. სწორედ იმაში გამოჰ-
კრა მავ სახეძალმა.

— განი უყავით, ხალხო, განი!

ქალელმა კიდევ ერთხელ მოსდო სარმა ნატყენ ფეხ-
ზე და ჰაერში ამობრუნებული ლექსა პირქვე დაეცა
ნახერხზე.

— ჭილაობა, ჭილაობა. ვერაფერში შეედავები.
ამბობდა ხალხისკენ ამობრუნებული კულა და თან მხრებს
იჩეჩავდა, რა ვქნაო.

ახლა უკვე ქალელი გადავიდა შეტევაზე. კისერზე
მარწუხივით მოსდო ხელი და ლამის მუხლამდე დააღუ-
ნინა თავი ლექსას. ჩანდა, ჯანითაც სძალავდა.

— რო დასჭიდე, თვალები სადა გქონდა, რა მაგის
შემფეროა. — ეძახდნენ კულას. — გააშველე, ხომ არ
უნდა მოაკვლევინო.

ლექსამ სწრაფი მოძრაობით გაითავისუფლა თავი.
მაგრამ იმავე წუთს ხელმეორედ წამოედო კისერზე მარ-
წუხი და კვლავ დაბლა დაახრევიან თავი.

პატრატალელები სტვენდნენ და იცინოდნენ.

ლექსა უცბად თითქოს დაჰყვა გოლიათის ნებას, ან
თუ თვითონ მიიტაცა გოლიათმა ლექსა? ვერაფერი გა-
ვიგე. ლექსა მკლავებში ჩაუვარდა გოლიათს. თვალების
დახუჭვას ვაპირებდი, მაგრამ აი, ლექსამ ერთი დაგმი-
ნა, მაღლა ასწია ის ვეება კაცი და...
— კისრული! — იგრილა ხალხმა.

ჰაერში ასხმარტალიებული ქალელი გულადმა გაიშხ-
ლართა ზედ ჩვენს ფერხითით.

ღრიანცელმა იქაურობა შესძრა. არ ვიცოდი, როგორ
გავჩნდით შუა წრეში. ლექსას ვეხვეოდით მე, თეზო, ლა-
ლე, ზორბეგა და შუქო. მერე ვილაც-ვილაცებიც მოც-
ვიდნენ. ძლივს გავკრეკეს არენიდან.

კულამ მეორედ აუწია ლექსას მარჯვენა ხელი, გადა-
ეხვია და ლოყაზე აკოცა. მერე ჩოხა გახადა და მორიგ
წყვილს დაუწყო ძებნა.

ლექსა მამინევი წავიდა საჭიდაოდან. შუქომ თვალის
მიყო და უკან გაყვებით, ლექსა საბჭოს შენობისკენ მი-
დიოდა, საგრძობლად კოჭლობდა მარცხენა, ფეხით. ბა-
ლის კართან მივუსწართო.

— რა გინდათ, ქაჯებო, რას ამდევნებინართ? —
გვკითხა ალურსიანად. ვაშლის ხის ქვეშ დაჯდა და მაღლა
შეიშვირა მარცხენა ფეხი, ხის ძირს მიაყუდა. კარგა ხანს
ასე იწვა.

— ძალიან გაწუხებს? — შეეკითხა შუქო.

— არც ისე. — გვითხრა და ნაძალადეგად გაგვი-
ღიმა, — წადით, თორემ ქვეყანა აქ მოგროვდება.

ბალიდან რომ გამოვედით, ასმათი და მეღსი შემოგ-
ვეფეთენ. ასმათს კაბა ეცვა და თმაც საგანგებოდ ჰქონ-
და დაფარცხნილი. მეღსი კი მერე დავიხანხე. კუპრივით
შავი თმა რის ამბით მიეწვდინა კეფამდე და თეთრი ბაბ-
თით შეეკრა. ასმათზე გაცილებით მაღალი ჩანდა.

— მოხდა რამე? — იკითხა ასმათმა.

რა უნდა მომხდარიყო-მეთქი, გავივირე, დაიღალა და ისვენებს-მეთქი.

— იცით, ბიჭებო, ვანდა მასწავლებელიც მანდ არის, საჭიდაოს ესწრება. — თქვა მელსიმ. — ერთი გენახათ, როგორ ვანიცდის...

— სისულელაა, მაგის ქვა გულს რა ააღვლებს ჩვენს სათვალთვალოდ არის წამოსული. ზორბეგას ორშაბათი გაუთენდება, თქვენი მოწონებული. — ჩაიციხა შუქომ და საჭიდაოსკენ წავიდა.

მეორე დღით, სანამ ზარი დაირეკებოდა ბიჭები ბირთვის ყრავში ვვარჯიშობდით. შუქო ღერძზე აცოცდა, ზედ ჩამოჯდა და იქიდან მსაჯობდა.

— ბიჭებო, იცით, ტრაქტორი ალარ მუშაობს ნათესურებში. — გადმოგვძახა მალლიდან.

ქვევითკენ დავიწყეთ ცქერა. ტრაქტორი სულაც არ ჩანდა ნახნავის სიახლოვეს.

— შეიძლება ფეხმა შეაწუხა და ადგომა ველარ შესძლო.

- ისე კი ძან ვაეკაცურად იქიდავა არა?
- მართლა ამოგვყარა რკინიგზელების ჯავრი.
- საწყალ მიშას კი რა უყვეს, არა?

ერთმანეთს არ აცდიდნენ ბიჭები.

ზარმა დაგვაშველა, მაგრამ ყოველ დასვენებაზე, აივანზე გამოვცვივდებოდით ხოლმე და ნათესურისკენ ვინებოდით, ტრაქტორი გამოჩნდა თუ არაო.

— ნამდვილად ავად გახდებოდა. — დარდობდა ლალე.

რუსულის მასწავლებელი ზარის დარეკვამდე შემოვიდა. ლამის ყურები ააგლიჯა ლალეს და ზორბეგას, შაბათს სად იყავითო, მერე გაცვეთილიც დაიწყო და მელსი ვაგზაუნა თავისას რვეულების ამოსატანად. ალბათ შეცდომების გასწორებას თუ აპირებდა. მელსი მალე გაბრუნდა და გაბუსხული დამიჯდა გვერდით. ნამტირალევი ჩანდა. ვიფიქრე, ალბათ რვეულები გზაში გასინჯა, ცუდი ნიშანი უწერია და იმიტომ გაუფუჭდა-მეთქი გუნება.

მასწავლებელმა დაფაზე სათაური დაწერა და რვეულების დარიგება დაიწყო. რვეულს გადაშლიდა, ნიშანს გამოაცხადებდა და ზოგიერთი შეცდომის განმარტებას იძლეოდა. მელსის არც ერთი შეცდომა არ აღმოაჩნდა, „ფრიალი“ ეწერა.

მე შეცდომებს ვასწორებდი, მელსი კი თავჩაქინდრული იქდა. ისე იყო ფიქრით გართული, რომ წიგნიც კი არ გადაუშლია.

— რა მოგივიდა, არ იტყვი? — შევიკითხე, როცა გაცვეთილი დამთავრდა.

არაფერი მიპასუხა, სწრაფად წამოდგა და გამეცალა. მე აივანზე გავედი, რომ მინდვრისკენ გამეხედა.

შუადღემდე ვუთვალთვალეთ, მაგრამ ტრაქტორი არ გამოჩენილა ნათესურში.

გაცვეთილების შემდეგ ჭიშკართან შევგროვდით და ლექსასთან დავაპირეთ წასვლა. გოგონები უკვე გავიდნენ ეზოდან. სულ ბოლოს მელსი გამოვიდა საკლასო ოთახიდან. კიდევ იტოა, ცრემლებს იშვრალებდა და თავჩაღუნული მიდიოდა. მინდოდა გამეგო რატომ ტიროდა, მაგრამ ბიჭებს თავს ხომ ვერ დავანებებდი. ჭიშკართან შეჩერდა და უკან მოიხედა, მივხვდი, რომ მასაც უნდოდა მეკითხა რამე.

— მელსი, მომიცადე ერთი წუთით! — გავძახე.



ანზორ
ჩხიკვაძე

ისევ



ის შორეული და მახლობელი ტყე — კურთხეული მზით და ამინდით, გაბრწყინებული მანათობელით დგას ვით კანკალა, მწვანე კედელი. დამწყალობებს საღამო ხანსე ტყეს ნამეხარი მუხა — ბებერი.

და მდუმარება დახრილ ტოტებში წოლით დაღლილი აღსდგება მკვდრეთით. მაგრამ ვერასდროს ვერ დაოკდება ტინსე ხმაური მოწყვეტილ წვეთის.

პეზიაჩემა

ალიონი დადის სოფლად მამლის ყვილით. ჩემთ მოხუცო, არ დაგცდენია დღემდე ბედსე ჩივილი. ადგები უხმოდ, ჩაუკიდებ ჩვეულად თორხეს. — შვილიშვილები ამ კვირია უთუოდ მოვლენ.

ცომის გუნდებით გაასებ ორომს, აუტყვე ვარცლთან მორეულ ქათმებს. ოხვრას გაატან, მოხუცო, სათქმელს და წყლიან თვალებს შეგომშრალებს თავსაფრის ბოლო.

ომკავახედი კონსენსი



ჩვენი თანამემამულე ევგენი ტოპრაკაშვილი პიონერი იყო, როცა დიდი სამამულო ომი დაიწყო. 11 წლის ბიჭუნა ბებოს ანაბარად დარჩა. მას იმედი ჰქონდა, რომ ომი მალე დასრულდებოდა და გამარჯვებული მშობლები კერას დაუბრუნდებოდნენ. მაგრამ მათ მაგივრად ოჯახში შავი ქალაღი მოვიდა.

ევგენი ფაშისტების უსაზღვრო სიძულვილით განიმსქვალა, გადაწყვიტა მამასავით თვითონაც მეზღვაური გამხდარიყო და შური ეძია მტერზე. ერთ დღით ბებომ ასეთი წერილი იპოვნა მაგიდაზე: „ძვირფასო ბებია! არ იღარდო, მე მეზღვაურებთან მივდივარ, იმათთან ერთად უნდა ვიბრძოლო, ვიდრე ფაშისტებს სულ არ გავანადგურებ. გკოცნი, ევგენი“.

დაობლებული ევგენი შავი ზღვის ფლოტის ერთ-ერთი კატარღის ეკიპაჟმა იზვილა.

იმ დღიდან გულადმა პიონერმა ბიჭუნამ ბრძოლის დიდი ქარცეცხლი გამოიარა, სადაც გამოავლინა პიონერის დამახასიათებელი თვისებები: გამბედაობა, ნებისყოფის სიმტკიცე და სამშობლო უსაზღვრო სიყვარული. მამაცმა პიონერმა მკერდს ორდენებითა და მედლებით დაიმშვენა: წითელი დროშის ორდენი, სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენი, მედლები — „საბრძოლო დამსახურებისათვის“, „ოცდსის დაცვათვის“, „სევასტოპოლის დაცვისათვის“, „კავკასიის დაცვისათვის“, „ბუღაევშტის აღებისათვის“, „ვენის აღებისათვის“, „ბელგრადის განთავისუფლებისათვის“... ეს ჯილდოები თავისთავად მოგვითხრობს პიონერი ბიჭუნას სახელოვან საბრძოლო გზაზე. ბელგრადის განთავისუფლებისათვის ბრძოლა კი უფრო განსაკუთრებით იმიტომ ახსოვს ევგენის, რომ ამ დროს კომკავშირის რიგებში მიიღეს.

ვიდრე ბუდაპეშტის აღებას მოვიგონებდეთ, უნებლიეთ მაგონდება ჩემი პირველი საბრძოლო ნათლობა, რომელიც რუმინეთის ქალაქ კონსტანცის აღების დროს მოხდა. ქალაქის პორტი დაგვცნებდა. მას რუმინელები უკვე აღარ იცავდნენ, მხოლოდ გერმანელები არ ჰყრიდნენ ფარხმალს. მე მაშინ 18 წლისა ვიყავი და სადარაჯო ჩავშნოსან კატარღა „სკ-0105“-ზე ვმსახურობდი, პორტში პირველები ჩვენ შევედით, გადმოვსხით დესანტი, 245-ე საზღვაო ქვეითი ბრიგადის ცალკეული ოპერატიული ბატალიონები; დავიკავეთ კონსტანცის პორტი და ხელთ ვიგდეთ რუმინეთის

ომგადახდილი ჯაბუკი პირნათელი დაუბრუნდა თავის კერას, მაგრამ ერთადერთი ბებო ცოცხალი არ დახვდა.

ომი დამთავრდა, საბრძოლო ჯილდოებით კი შექმდგომაც ჯილდოვდება ომის ვეტერანი: მედალი „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვების ოცი წელი“, „საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების 50 წელი“, „საპატიო ვეტერანი“...

სამამულო ომის მეტბოლო პიონერი ამჟამად თბილისის ელექტროცენტრალში მუშაობს კადრების განყოფილებაში უფროსად და შესისხლბორცებული ჯარისკაცის თვისებები მას მშვიდობიანი შრომის დროსაც კეთილსამსახურს უწევს. ვ. ი. ლენინის დაბადების მე 100 წლისთავის საიუბილეოდ იგი დააჯილდოვეს მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“.

არტეკში არის დიდების ზეივანი, სადაც პოლკის შვილობილების სამი ბიუსტი დგას, რომლებიც არტეკის განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ. მათ შორის ერთი — ევგენი ტოპრაკაშვილის ბიუსტია.

ყოველივე ზემოთქმულის მერე, აბა, რა გასაკვირია, თუ ომგადახდილი წითელუელსახვევიანი ბიჭუნა ასე ძვირფასი მეგობარი გახდა ჩვენი პიონერებისა. პატივცემულ ევგენის ხშირად ნახავთ თბილისის 22-ე და 27-ე სკოლების მოსწავლეებთან, სადაც იგი საპატიო პიონერად არის არჩეული. ნახავთ „ცისკრის“ მონაწილე პიონერებთან, როგორც გამოცდილ მრჩეველსა და მსწავლეებელს; იგი სულ ახლახანს იყო არტეკშიც, სადაც ბანაკის პიონერებმა შეხვედრა მოუწყეს პოლკის შვილობილებს.

გთავაზობთ ომის ვეტერანის ევგენი ტოპრაკაშვილის ერთი საბრძოლო ეპიზოდის მოგონებას.

ბუდაპეშტის კონსენსი

სამეფო ფლოტის დიდი ნაწილი: წყალქვეშა ნაგები, კატარღები და სხვ. კონსტანცში მე 20 გერმანული შეიარაღებული კატარღა ეიპოვე, რაც

მაშინვე დივიზიონის უფროსს ვაცნობე.

ამ ქალაქიდან 20 კილომეტრის დაშორებით დუნაი ერთვის შავ ზღვას. ულამაზესი სანახავია მდინარისა და ზღვის ლივლივი ჩვენი კატარღა დუნაის აპუვა...

ჩვენს მარად ახალგაზრდა, წითელდროშოვან, ნახრმოვისა და კუტუშოვის ორდენოსან დუნაის ფლოტილიას, რომელსაც სახელგანთქმული მხედართმთავარი ვიცე-ადმირალი ს. გორსკოვი მეთაურობდა, ჯერარნახული ბრძოლები გადახდა ბუდაპეშტთან.

დუნაი უნგრეთის დედაქალაქს ორ

ნაწილად ჰყოფს. წითელმა არმიამ 1941 წელს მდინარის მარცხენა ნაპირზე პეშტამდე წაიწია და იქ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში ჩაება. დუნაის თავზე სქელი ღრუბელი მკვრივ ფარდასავით ეფარა და ჰაერს სინესტიტ უდენთავდა.

მარჯვენა ნაპირზე ჭერ ისევ მტრის ხელთ იყო იუგოსლავიის ციხე-სიმაგრე ილოკი. ნოემბრის ბოლოს მესამე უკრაინის ფრონტი ბეზდან-ბატინის მიდამოებში დუნაის ნავტიკის ხიდით ლახავდა ილოკის ზემოთ, მაგრამ კატარღას მინც არ ჰქონდა საშუალება დუნაის აპყოლოდა, რადგან მთელი მარჯვენა ნაპირი ბატინსა და ილოკს შორის ჰიტლერელებს ჰქონდათ დაპყრობილი და კარგა გვარიანად იყვნენ გამაგრებული.

ფლოტილის მეთაურის ს. გორშკოვის ბრძანებით, საჯარისო შენაერთების მაგალითით, შემოვლითი მანევრირება დავიწყეთ. უკან მოვიტოვეთ მტრის ხელში მყოფი დუნაის ნაწილი და კატარღებით ბატინამდე მდინარე ტისას კლარა-პეტრეს არხით მივიდით. რთული ვითარება შეიქმნა. კატარღები გულმოდგინედ უნდა შეგვენიღბა. არხის მიდამოებში მტრის ავიაცია მოქმედებდა. ტისას გაცურვით ძველ ბეგის რაბამდე მივადწიეთ, აქედან კი არხით უნდა გაგვეგრძელებინა გზა. არხი მონაგვანებული იყო, ზოგან მისი სიგანე ხუთ-ექვს მეტრს აღწევდა, სიღრმე კი — 80 სანტიმეტრამდე. ასე რომ, ზოგჯერ კატარღა ფსკერზე მიცოცავდა. ამ დროს ძრავას ჩავაქრობდით

ხოლომე და კატარღას მეზღვაურები, ბურლაკების მსგავსად, ბაგირით ეწეოდნენ. ჩვენი ჯგუფი, რომელსაც ჯავშნოსან კატარღათა მეორე ბრიგადის შტაბის უფროსი, მესამე რანგის კაპიტანი მიულეიკოვი მეთაურობდა, დუნაის ნავსადგურ ბაიაში მშვიდობიანად ჩამოვიდა. ადგილზე გაჩერებისთანავე ჩვენთვის ცნობილი გახდა რა ახალი ამოცანა დაგვისახა ფრონტის სარდლმა: უნდა დესანტი გადმოგვესხა ნავსადგურ ჩერიენში, გადაგვეჭრა სექსარდ-დუნაფელტბესის გზა და დაგვეკავებინა პლაცდარმი დუნაიზე ჭარის შემდგომი გადმოყვანისათვის, რომელსაც ბრძოლა უნდა გაეჩაღებინა ნაპირზე ბალატონის ტბასთან და ქალაქ სეკეშფეხერვართან. დესანტის გადმოსხმას მეთაურობდა კაპიტან-ლეიტენანტი სალიანიკოვი. № 888 კატარღაზე ვიმყოფებოდით. ჩვენი კატარღა წითელდროშოვან, სუვოროვის ორდენოსან, საზღვაო ქვეითი ბრიგადის ბატალიონის გადმოსხმას შეუდგა. მის მეგრძოლებს ჩვენ ჯერ კიდევ 1941 წელს დავუმეგობრდით, როცა ისინი ნოვოროსიისკთან, მლაშე ტბასთან გადმოვიყვანეთ. გადმოსხმის დროს ჩერემენტან ძალიან გაგვიჭირდა. გერმანელებმა გააფრთხილებული ბრძოლა აგვიტხეს, დაგვიშინეს ქვემეხებიდან, ტყვიამფრქვევებიდან...

გადმოიხსას დესანტი! — ასეთი იყო განკარგულება.

დუნაის ნაპირს მოადგნენ ტანკები, თვითმავლები, ჯავშანტრანსპორტი-

ორები, მოდიოდნენ მძიმე დატვირთული „ზისები“, „დოქტორი“, „სტუდაბეკერები“, ტყვია-წამლითა და საწვავით დატვირთულები. განიერ მდინარეში წინ მიიწვედნენ წითელი არმიის ნაწილები. ყინულებშუა მიკვლევდნენ გზას, მიდიოდნენ დუნაის მამაცი ფლოტილის კატარღებიც. მათ განუწყვეტლევ, დღეცა და ღამეც, გადააყვავდათ და გადმოაყვავდათ ჭარის ნაწილები.

14 წლის ბიჭისათვის რაღაც დიდი, უსიამოვნო სიზმარი იყო ეს ბრძოლა. მაგონდება ერთი მომენტი: ჩვენს კატარღას გამობმული ტვივით მარჯვენა ნაპირზე გადააყვავდა მეგრძოლი ქალები. გადაცურვის დროს მტერმა დაბომბვა დაიწყო. ყუმბარა ტივს კი ასცდა, მაგრამ აფაფრებულმა ტალღამ გადააყვარავა. ჩვენ მაშინვე გადავეჭირით ბაგირი, რომ ჩვენი კატარღაც არ ჩაძირულიყო, და იმის ფიქრს შევეუდექით, როგორ გადაგვეჩინა წყალში ჩაცვივნიული მეგრძოლი ქალები. კატარღაზე ყველას თავისი საბრძოლო დავალება ჰქონდა და პოსტის მიტოვება არ შეიძლებოდა. მე, როგორც ყველაზე უფრო თავისუფალი (რადგან მეორე ნომერი მეგრძოლი ვიყავი), შევეუდექი მათ შეველას. გავწევი გემბანზე და იქვე ახლოს ჩაძირულ ორ ქალს თმებში ჩავავლე ხელი. ასე მეჭირა ისინი იქამდე, ვიდრე მეგრძოლებმა მოხმარება არ შესძლეს. ორივე ქალი ვიხსენით დაღუპვისაგან. ერთი მათგანი — ლილია გულაოვა, დღეს ნოვოროსიისკში ცხოვრობს, მეორისა კი აღარაფერი ვიცი.

ჩვენი პატარა საბრძოლო კატარღის საჭიროება იმდენად დიდი იყო, რომ ფრონტის სარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის ტოლბუხინისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლის, არმიის გენერალ პეტროვის ბრძანებით, მას ბუდა-პეშტის ახლოს ყველა გადასალახავ ადგილებზე მზად ხვდებოდნენ მესანგრეთა ასეულები; ისინი ადგილობრივ მოსახლეობასა და მეზღვაურებთან ერთად აგებდნენ ხიდებს, გვივანი ევპანი ტოპრაპაშვილი სტუმრად არტამილ პიონერებთან.



ჰიბნი თავსუფლებს არბიას!

მუხამედჯან რაჰიმი

თარგმანა ბ. პაპაბაძემ.

ტაჯიკი პოეტი

I

მთვარის ათასი კარავით
განათებულია მინდორი,
ხეუბს გრიალით აყრუებს
ტალღები დიდრონ-დიდრონი...
აქედან, როგორც ოცნებას,
ვხედავ მაღალ კრემლს სხივოსანს,
მზე დიდებულად დაჰნათის
იმის კედლებს და ლიბოსა.

ჩემს სამშობლოში, ვით ძმა ძმას,
კაცი კაცს ისე შეჰხარის,
ამ ძმობის ძალამ დათრგუნა
მტერი ცბიერი, მკვებარა.
მათი დროშები ჩრებვივით
მოსკოვის ფერხთით ეყარა, —
ბედნიერია, მძლავრია
ჩვენი საბჭოთა ქვეყანა.

მტერი მიწას დაანარცხეს
საბჭოთა ადამიანებმა.
ბნელი ნათლით დაამარცხეს
საბჭოთა ადამიანებმა!
მონობისგან იხსნეს თავი
საბჭოთა ადამიანებმა!
მზეს გაუსხნეს გულის კარი
საბჭოთა ადამიანებმა.

ვარსკვლავთა რიცხვსა სიზუსტით —
აბა ვინ იტყვის, რომელი,
ვერც მარწყვს დაითვლი მინდორში,
რაც უნდა იყო მდომელი, —
ასე ბევრი გეყავს მამულში
გმირი ლაჩრობის მგმობელი, —
ეს არის ჩვენი არმია,
წყვდიადის დამამხობელი!

ქალაქებში და სოფლებში.
ზეიმია და ხალისი,
უფრო ლამაზი სამზერი
რა უნდა იყოს თვალისთვის,
მზით განათებულ მინდვრებზე
შრომის სიმღერა გაისმის, —
ძალუმიად ამონთებულა
ჩემი სამშობლოს აისი!..

რესპუბლიკების კავშირი —
ეს არი ძმობა ხალხთა, —
ჩვენ ვართ შვილები შრომის!
სადაც არ უნდა წავიდეთ —
ეს გრძნობა მუდამ გვახლავს, —
ჩვენ ვართ შვილები შრომის!
დიად ოჯახის ცხოვრებას
ერთად ვაშენებთ ახალს, —
ჩვენ ვართ შვილები შრომის!
გონების შუქი მიგვიძღვის

მაღლა, მაღლა და მაღლა, —
ჩვენ ვართ შვილები შრომის!

II

იმ დღეს თვით მიწაც ამღერდა,
ცას გაუბრწყინდა თვალები
და დიდებულად აქლერდნენ
კრემლის მაღალი ზარები,
მიწაზე შუქი იღვროდა
ზეცის შვიდივე კარებით, —
პარადზე „ვამას“ გრგვინავდა
გამარჯვებული ჯარები!

დღეს სამშობლო ჩვენი
ნათელი გზით მიდის, —
ვუმადლოთ პარტიას, ლენინს!
მომავლისკენ გავდეთ
დიდებული ხიდი, —
ვუმადლოთ პარტიას, ლენინს!
მტერს ექნება მუდამ
ხალხთა ძმობის რიდი, —
ვუმადლოთ პარტიას, ლენინს!
ბრძოლის გზაზე მარად
წინამძღოლად ვთვლიდით
პარტიას,
ლენინს!

გმირთა საფლავთან წამიერ
საბრძოლო დროშა დავხაროთ,
მივიდეთ; ახალ-ახალი
გამარჯვებები ვახაროთ,
მათი სახელის დიდებამ
ავსოს მთელი სამყარო,
იდიდე გმირთა მშობელო, —
საბჭოთა მიწაც მაღალ!

მშვიდობისათვის ბრძოლებში
გამოწრთობილი ხალხი ვართ
ჩვენ — თავისუფლების არმია!
სათაყვანებელ სამშობლოს
ვარს ფოლადივით ვარტყივართ
ჩვენ — თავისუფლების არმია!
ვინმემ თუ რამე გაბედა —
თავს დავატყდებით ქარიშხლად
ჩვენ — თავისუფლების არმია!
დიად საბჭოთა ქვეყანას
ვიცავდით, მარად დავიცავთ
ჩვენ — თავისუფლების არმია!



პოეტის შვილობილი 1941 წლიდან
1947 წლამდე. ბუდაპეშტის ალების
მონაწილე.

თავისუფლებდნენ გზას. ყოველივე
ამის შემწეობით დესანტი დანიშნულ
ადგილზე გადმოვსხით. ნაპირზე
ბრძოლა გაიმართა. ჩვენ დესანტს
საპასუხო ცეცხლით ვიფარავდით. ამ
დიდ ბრძოლაში ჩემი პატარა წვლი-
ლი ის იყო, რომ მებრძოლებს დრო-
ზე ვაწვდიდი ტყვია-წამალს...

ბუდაპეშტის ახლო მისადგომებ-
თან დესანტის გადმოსხმის აუცი-
ლებლობა აღარ იყო, ამიტომ ჩვენ-
მა ბრიგადამ მოიერიშე არმიის
ფლანგს წააშველა ხელი საარტილე-
რიო ცეცხლის დაშენაში.

1945 წლის 13 თებერვალს ბუდა-
პეშტში შევედი. წითელი არმიის
დარტყმით სულს დაფავდა დიქტა-
ტორ სალოშის ფაშისტური ბუდე.

საბჭოთა არმიის დუნაის ამ სახე-
ლოვან ბრძოლაში, რომელშიც მონა-
წილეობა მიიღეს ჩვენი დიადი სამ-
შობლოს სხვადასხვა ეროვნების მე-
ბრძოლებმა, ფასდაუდებელი წვლილი
შეიტანეს შავი ზღვის მეზღვაურებ-
მაც — წითელდროშოვანმა დუნაის
ფლოტილიამ, რისთვისაც იგი და-
ჭილდოვდა უმაღლესი მთავარსარდ-
ლის მაღლობით და სიგელებით. ბუ-
დაპეშტის გადასასვლელებთან გა-
დახდილი ბრძოლები სამუდამოდ
დამკვიდრდა დიდი სამამულო ომის
მატიანეში, როგორც საბჭოთა მეომ-
რების გმირობის ერთ-ერთი სანი-
მუშო ფურცელი.



**ალექსანდრა
გაბაგაძე**

მხატვარი
ზურაბ მემამარიანი
მ. თ. ხ. რ. ბ. ა.

პაპანაჭება სიცხეა.
ცხელა და ცხელა.
უშველებელი ავტობუსი გზატკეცილზე მიჰქრის. გახურებული ბორბლები გამდნარ ასფალტს ეკვრება და საშინელი შხუილი ისმის.
ავტობუსი ხალხით არის გაჭედილი. ქალები ოთხად გაკეცილი გაზეთებით იგრილებენ სახეს. კაცები ჩვრადქცეულ ცხვირსახოცებს კისერზე იფენენ და წამდაუწუმ ქშინავენ. ბავშვები კი სულ ერთთავად წყალს ითხოვენ და ნაყინზე ოცნებობენ.
სულ ბოლო რიგზე გამხდარი ქალი ზის. გვერდით მისი ბიჭუნა მოკალათებულია. ბიჭს ხვია ჰქვია. მაგრამ ტოლფე

ბი სკვინჩას ეძახიან. ხვიას სულაც არა სწყინს ეს. „სკვინჩას“ რა უშავს, მის კლასში ზოგს ყურმას ეძახიან, ზოგს კი — ფუნთუშას.
ხვია შვიდი წლისა და ცხრა თვისაა. თვეებს თვითონ ასხენებს ხოლმე, თორემ სხვები მაინც იმას ამბობენ, შვიდი წლისააო.
ზის სულ ბოლო რიგზე ხვია და მგზავრების გარდა ვერავის და ვერაფერს ვერ ხედავს. მარჯვნივ დედა უზის. დედის გვერდით ერთი ახმაინი კაცი აჭყარებია ფანჯარას. მარცხნივ კიდევ ორი მოხუცი ქალი ზის. ქალებს მუს-

ლებზე იმხელა კალათები უდგიათ, ფანჯარას კი არა, ავტობუსის ჭერსაც ვერ ხედავს ხვია.
გზაც რომ აღარ თავდება!
ხვია ზის მოწყენილი და არ იცის რა ქნას. ამ სიცხეზე ლაპარაკით ხომ გული გააწყალეს! რაიმე საინტერესო ამბავს მაინც მოჰყვებოდეს ვინმე, მოუსმენდა, გულს გადააყოლებდა. ასე რომ სტოდნოდა, სულ არ წავიდოდა სოფელში და არდადებებს ეზოს ბანაკში გაატარებდა.
მაგრამ ახლა გვიან არის ყველაფერი. ზის მოწყენილი და ხან დედის კალთაზე თავმიდებული თვლემს, ხან ნახატებიან წიგნს ფურცლავს. მაგრამ ყველაფერი მალე სწყინდება, ცალკე კიდევ — წყურვილი აწუხებს...
ავტობუსს „გოლგა“ წამოეწია. საყვირის ხმაზე ხვიამ უკან მიიხედა. „გოლგამ“ სწრაფად ჩაიქროლა. ახლა ღია ყავისფერი „პობედა“ წამოეწია ავტობუსს. საჭესთან სათვალისანი კაცი იჯდა. მის გვერდით ხვიას ტოლი ბიჭუნა წამოსკუპებულიყო, უკანა სავარძელზე მსხდომი ორ ხანში შესულ ქალს კი თავები სასურგისთვის მიეყრდნოთ და ეძინათ.
ბიჭმა ხვიას ხელი დაუქნია და გაუცინა. „პობედა“ კიდევ უფრო მიუახ-

**პიონერული
ცნოვრების
მატიანე**



1928 წლის აპრილში რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XII ყრილობამ აღნიშნა ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის დიდი მნიშვნელობა. ყრილობამ პარტიულ ორგანიზაციებს მიუთითა დახმარებოდნენ ნორჩ პიონერთა მოძრაობას.
1928 წლის 19 ნოემბერს გაიხსნა მოსკოვის ჯუბერნიის პიონერთა კონფერენცია. თავისი მუშაობის დასაწყისში კონფერენციამ მოისმინა ცნობა ლენინის ჭანმრთე-

ლობის მდგომარეობის შესახებ. კონფერენციამ მიიღო მიხეილ ავანეს ძე კალინინის მისაღმება, სადაც იგი წერდა: „მივესალმები ნორჩ პიონერებს, რომლებმაც თავი მოიყარეს მოსკოვის საგუბერნიო კონფერენციაზე, როგორც ჩვენს იმედს და საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინტერესებისათვის მომავალ მებრძოლებს“.
1924 წლის 21 იანვარს გარდაიცვალა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.

კაცობრიობის უდიდესი ადამიანის ცხედარი გორკადან საბჭოების სახლის სვეტებიან დარბაზში გადასვენეს. ცხედართან საპატიო ყარაულში მოსკოველი პიონერებიც იდგნენ.
1924 წლის იანვარს პიონერებისადმი, პროლეტართა ყველა ბავშვისადმი მისაღმებაში, რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა:
„გარდაიქმნას საბჭოთა კავშირის ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციები ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა — ბავშვთა ჯგუფებად“.
1924 წლის 28 მაისს წითელ მოედანზე, პიონერული ორგანიზაციისათვის ვ. ი. ლენინის სახე-

ლის მინიჭებასთან დაკავშირებით შედგა პიონერთა პარადი, რომელიც მიიღეს რუსეთის კ(ბ) XII ყრილობის დელეგატებმა. პიონერებმა ფიცი დადეს, დიდი ლენინის საქმის ერთგულნი-ვიქნებითო.
1924 წლის 10 ივლისს გამოვიდა საბავშვო ჟურნალ „ვოჟატის“ პირველი ნომერი.
1924 წლის 31 აპრილს ლენინგრადში გამოვიდა მოსწავლეთა და პიონერთა პირველი საბავშვო გაზეთის — „ლენინსკოე ისკრის“ პირველი ნომერი.
1924 წლის 15 სექტემბერს ერევანში შედგა სომხეთის პიონერთა პირველი შეკრება. შეკრებაზე დასასწრებად ბავშვების უმეტესობამ ფეხით გაიარა 150-200 კილომეტრი.



ლოდა ავტობუსს. ხვიჩა უკან შებრუნდა, მუხლებით დადგა სავარძელზე და ბიჭს დააცქერდა. შედგამოჭრილი ყურშა იყო, ის ყურშა, მის წინ რომ იჯდა პირველ კლასში. ხვიჩამ არ იცოდა რა ერქვა ამ ბიჭს და გუნებაში ყურშა დაარქვა.

ყურშამ რომ გაიცინა, ხვიჩამაც გაუცინა და ხელის მალა აწვეით სალამი მისცა. ყურშამ არ დააყოვნა და გაშლილი ხელი საფეთქელთან მიიტანა — მხედრულად მიესალმა: ხვიჩასაც ეს უნდოდა — სიცხეც დაავიწყდა და წყურვილიც. საპასუხოდ გაშლილი ხელები ერთმანეთს მიატყუპა, ცხვირთან მიიტანა და დინჯად დაუკრა თავი. ყურშამ ჯერ არ იცოდა რით ეპასუხა, მერე ალბათ რომელიღაც ფილმიდან გაახსენდა, როგორ ესალმებოდნენ შაპებს — ფეხები გადააჯვარდინა, მარცხენა ხელი გულზე დაიდო, თავი დახარა და მარჯვენა ხელი სამჯერ აიქნია ჰაერში. ორივე გულიანად ხარხარებდა.

— ოდნავ აგრილდა და ბიჭიც გამხიარულდა! — ეუბნებოდა ფანჯარას აფარებული ახმაზი ხვიჩას დედას, თან სველი ცხვირსახოცით შუბლს იწმენდა.

ავტობუსში კი ისევ ცხელოდა, მგზავრებიც ისევ აუტანელ სიცხეზე ლაპარაკობდნენ.

ხვიჩამ ფანჯრიდან რომელიღაც სოფლის სტადიონი დაინახა და ყურშა იქით გაახედა. წუთით ორივე სტადიონზე გაჩნდა ფიქრით. აი, მინდორზე გახურებული თამაშია. ხვიჩამ წარმოიდგინა: მისი გუნდი სამარცხვინოდ აგებს ვიღაც ხუთი-ექვსი წლის ბიჭებთან. ხვიჩამ ცენტრში მიღებული ბურთი წინ გაიგდო და კარისაკენ დაიძრა. მირბის, მიაქვს ბურთი და წინ ვინც ხვდება, ყველას ატყუებს. აგერ, კარს რამდენიმე ნაბიჯილა ამორებს. გაქანებულმა ღონივრად დაარტყა ბურთს, ბურთი ძელს მოხვდა და უკან დაბრუნდა. ხვიჩა ადგილიდან მოსწყდა და ჰაერში გაფრინდა, მანამდე იფრინა, სანამ არ მოსწყდა ბურთს და თავი არ დაარტყა... ხვიჩამ შუბლი ფანჯარას სდრუნა და კინალამ ჩაამტვრია, მერე ხელი შუბლზე იტაცა და ახარხარდა ყურშაც სიცილით იგუდებოდა და თვალებიდან ცრემლებს იწმენდა.

უცებ „პობედას“ თვითმცლელმა მანქანამ გაუსწრო. ავტობუსისთვისაც უნ-

დოდა გასწრება, მაგრამ შემხვედრი მანქანა გამოჩნდა და „პობედას“ და ავტობუსს შორის ჩადგა.

ერთხანს ხვიჩა და ყურშა ერთმანეთს ვედარ ხედავდნენ.

მერე შემხვედრმა მანქანამ ჩაიჭროლა და თვითმცლელიც წინ გაავარდა.

ბიჭებს ისევ გაეზადრათ სახეები.

ხვიჩამ ნახატებიანი წიგნი ამოიღო და ყურშას აჩვენა, წაკითხული თუ გაქვსო. ყურშამ სახე მანქანის მინას მიაბჯინა და გაფართოებული თვალებით მიაშტერდა წიგნს. ხვიჩა ყურშას დააცქერდა და სიცილი აუტყდა. რა გაციინებსო, იკითხა ყურშამ. ხვიჩამ საჩვენებელი თითი ცხვირზე მიიტოხა და ანიშნა, აი ასე გაქვს ცხვირი გატყელეტილიო. ყურშამ მარჯვენა ხელი მალა აიქნია, რა დროს უგ არისო, და კიდევ უფრო მაგრად დაატყიტა თვალები. როგორც კი „პობედა“ ავტობუსს მიუახლოვდებოდა და ყურშა წიგნის ყდაზე ერთ-ორ ასოს გაარჩევდა, ხან ავტობუსი, ხან მათი მანქანა უსწორო გზაზე გაივლიდა და ასობეც ერთმანეთში აირეოდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, ხარზე ამხედრებულ ბიჭს მოჰკრა თვალი, ტაში შემოჰკრა და „წიქარაო!“ — დაიძახა თავისთვის.

— გაარჩიე? — ხელებით თუ თვალებით ჰკითხა ხვიჩამ.

ყურშამ ჯერ თავი დაუქნია. მერე ორივე ხელის საჩვენებელი თითები თავზე ამართა და უხმოდ, მხოლოდ ტუჩი-

ბის მოძრაობით ანიშნა, წიქარაო. **წიქარაო!**
— წაკითხული გაქვს? — ისევ ხელებით თუ თვალებით ჰკითხა ხვიჩამ.

ყურშამ ახლა ცერა თითი გაჭიმა ჰაერში, — აი, ასეთიაო.

ხვიჩამ აღარ იცოდა რა ეკითხა, ან რითი გაეცინებინა ყურშა. აღარც ყურშამ იცოდა რა ეთქვა უცებ ორივეს ერთდროულად რაღაც, რა თქმა უნდა, სულ სხვადასხვა რამ გაახსენდა და ხელების ქნევა დაიწყეს. ხვიჩა თავისას ჰყვებოდა და ხარხარებდა, გოჩაც თავისას ჰყვებოდა და სიცილით იგუდებოდა. მერე მოლაპარაკება გამართეს, ჯერ ერთი მოჰყვეს, მერე მეორეო. აი, კიდევ შეთანხმდნენ და ის იყო ხვიჩას უნდა დაეწყო, რომ ავტობუსი ერთი სიფლის გადასახვევთან გაჩერდა. უკანა კარი გაიღო და ის ფანჯარასაფარებული ახმაზი კაცი ჩავიდა. ხვიჩამ უკან რომ მიიხედა, „პობედა“ აღარ ჩანდა. სწრაფად შემობრუნდა და წინ გაიხედა. ხეობაში შემავალ გზატკეცილზე ძლივს მოჩანდა ბაცი ყავისფერი მანქანა. მაინც გაარჩია: ყურშა ფეხზე იდგა, უკან იცქირებოდა და ხელს იქნევდა. ხვიჩას ტირილი მოუნდა, თვალებში ცრემლები მოაწვა და ნიკაპი აუქანკალდა.

— დაგცა, შვილო? — ჰკითხა დედამ და ქოჩორზე ხელი გადაუსვა.

ხვიჩა ხმას არ იღებდა, იჯდა და წინ იცქირებოდა. მერე დაინახა: ავტობუსის მძღოლმა ყურშას ზანტად დაუქნია ხელი, ალბათ ეგონა, პატარა ბიჭი მე მიქნევს ხელსო.

„პობედა“ მოსახვევში შევიდა და თვალს მიეფარა.

ავტობუსში აუტანლად ცხელოდა





რადიკალიზაცია ხშირად იღვას ფორმულას, რომელთა ავტორებს აინტერესებთ თუ რას სწავლობს გეოლოგია და რა საკმარისობას ეწოდება გეოლოგები. ამ საკითხზე გასაუბრებლად ინჟინერ-გეოლოგი თენგიზ მკვირილი.



ასეთია გეოლოგების ქორეა

ალბათ ბევრი გასმენია ან წაგიკითხავთ გეოლოგების კვლევებსა და საქმიანობაზე: შეიძლება კიდევაც გინახავთ ჩაქურჩით და კომპასით შეიარაღებული კაცი, რომელიც ქვის ნატეხებს ათვლიდნენ, სინჯავს გულდასმით, კომპასის საშუალებით მეტად თავისებურად ზომავს, ხშირად ქანის ნატეხს სათუთად ახვევს ქაღალდში და თან მიაქვს.

ამ წერილში გვინდა მოკლედ გესაუბროთ, თუ რას წარმოადგენს ჩვენი დედამიწა (რა თქმა უნდა, დედამიწის ქერქს ვგულისხმობთ. დედამიწის ღრმა ნაწილების აგებულებას უკვე იცნობთ პროფ. ალ. ბუნნიკაშვილის წერილით — „ჩვენი დედამიწა“ „კონტინენტი“, 1971 წ. № 9), რა მიზანი აქვს მეცნიერების მეტად საინტერესო დარგს გეოლოგიას და რა საქმიანობას ეწევიან გეოლოგები.


როგორც თქვენთვის გეოგრაფიიდან ცნობილია, დედამიწის ფართობის $\frac{1}{3}$ კონტინენტებს, ხოლო $\frac{2}{3}$ ზღვებსა და ოკეანეებს უჭირავს. ჩვენ საუბარი გვექნება კონტინენტების, მისი ქანების შესახებ.

ამჟამად გეოლოგები კონტინენტებზე არსებულ ქანებს სამ დიდ ჯგუფად ყოფენ. ესენია: დანალექი ქანები, მაგმური ქანები და მეტამორფული ქანები.

მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

დანალექი ქანები. თუ კარგად დააკვირდებით მდინარეებს, ადვილად დაინახავთ, თუ რა დიდ სამუშაოს აწარმოებენ ისინი. მათი „საქმიანობა“ განსაკუთრებით კარგად მთიან ქვეყნებში ჩანს და ამ მხრივ საქართველო შესანიშნავი მხარეა. მდინარეები, თავისი დიდი ენერჯის წყალობით, ანგრევენ კლდეებს, თან წარიტაცებენ მომსხვრეულ მასალას და გზადაგზა აქუცმაცებენ და ამრგვალებენ მას. მთიდან დაქანებულ მდინარეს დიდი ძალა აქვს და ამიტომ დიდი რაოდენობითაც მოაქვს ეს დამსხვრეული მასალა. სამაგიეროდ, მოვაკებულ ნაწილში ვეღარ ახერხებს მთელი მასალის ტარებას და მის ნაწილს თავისი დინების გასწვრივ ტოვებს, დანარჩენი კი ზღვებსა და ოკეანეებში ჩააქვს. გარდა დამსხვრეული მასალისა, მდინარე დიდი რაოდენობით შეიცავს წყალში გახსნილ მასალასაც, რომელიც თანდათან ილექება ზღვის ფსკერზე და წარმოიქმნება თავისებური, წყლით გაუღებელი მასები. ეს პროცესი დიდი ხნის მანძილზე მიმდინარეობს (ასეული ათასიდან ათეული მილიონი წლის განმავლობაში). ზღვა ივსება მდინარეების მიერ მოტანილი მასალით და დგება ე. წ. „ზღვის კვდომის“ დრო. ზღვა სამუდამოდ სტოვებს ამ მხარეს და მის სანაცვლოდ სხვა, უფრო ხელსაყრელ ადგილას იწყებს განვითარებას, ხოლო მის პირვანდელ აუზში დალექილი მასალა თანდათანობით ჰკარგავს წყალს, მყარდება და იღებს იმ სახეს, რა სახითაც ამჟამად ვხვდებით. ამ ქანების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია შრიობრიობა, რაც სწორედ მდინარეების მიერ მოტანილი მასალის ზღვის აუზში თანდათანობით დალექვის მაჩვენებელია. თქვენც ალბათ ხშირად ამჩნევთ ბუნებაში ამ შრეების განლაგებას, რომელიც ხან ჰორიზონტალურია, უფრო ხშირად კი სხვადასხვა მიმართულებით არის დაქანებული. დედამიწის გეოლოგიურ ისტორიაში ხშირია ზღვების აუზების განვითარება ადრე უკვე არსებული ზღვების რაიონებში (ესე იგი იქ, სადაც უფრო ადრე ზღვის აუზი იყო, რომელიც ნალექებით ამოივსო). ამრიგად, ერთიმეორის მიყოლებით ჩნდება სხვადასხვა შემადგენლობის ქანები. აღნიშნული კანონზომიერების საშუალებით გეოლოგები ახერხებენ განსაზღვრონ ამა თუ იმ დანალექი ქანის ასაკი (ხნოვანება).

მაგმური ქანები. იმისათვის, რომ მაგმურ ქანებზე წარმოდგენა ვიქონიოთ, უნდა გავისხენოთ ვულკანები, მათი მოქმედების თავისებურებები. თქვენ კარგად იცით, რომ საბჭოთა კავშირში კამჩატკაზე და კურილიის კუნძულებზე არსებობს უამრავი ვულკანი, რომლებიც ამჟამად მოქმედებენ და გავარჯარებულ ლავას (ლავა, პირობითად, გამდნარი ქანია) ანთხევენ მიწის ზედაპირზე. ეს ამონახველი მასა ციფდება და ამრიგად ყალიბდება ქანი, რომელსაც, ზღვების აუზებში დალექილი ქანისაგან განსხვავებით, შრიობრივი აღნაგობა აღარ გააჩნია. ახლო წარსულში (დაახლოებით 1 მილიონი წლის წინათ) კავკასიონზე ორი უდიდესი ვულკანი იყო: იალბუზი და მყინვარწვერი. ორივე მწვერვალი სწორედ ასეთი გზით მიღებული ქანებისაგან არის აგებული და ამავე ქანებით არის დაფარული საკმაოდ დიდი ფართობები (მაგალითად, მყინვარწვერის ლავებისაგან დაფარულია 200 კვ კმ ფართობი).



გეოლოგიური ქანები

მიწის ღრმა ნაწილიდან წამოსული გამლვალ მასა ხშირად ვერ პოულობს გამოსავალს მიწის ზედაპირს და პირის შედარებით ახლო ნაწილებში ცივდება. ამ გზით მიღებულ ქანებს თუ დავაკვირდებით შევამჩნევთ სხვადასხვა ფერის და ზომის მარცვლებს. ამ ქანებიდან ძალიან გავრცელებულია გრანიტები. ამრიგად, მაგმური ქანებიდან ჩვენ კიდევ ორი ქვეჯგუფი გამოვყავით: მიწის ზედაპირზე გაცივებული ქანები, რომლებსაც გეოლოგები მშუშნიურ ქანებს უწოდებენ, და მიწის სიღრმეში გაცივებული ქანები, რომლებსაც ინტრუსიული ქანები ჰქვია.

მეტამორფული ქანები. სიტყვა „მეტამორფოზა“ ბერძნულია და ნიშნავს სახეცვლას. მაშასადამე, არსებობს ე. წ. სახეცვლილი ქანების ჯგუფიც. ამ ტიპის ქანები ჩნდება დანალექი ქანების და მაგმური ქანების სახეცვლის შედეგად აღნიშნული ქანების მეცვლა მეტად რთული ბუნებრივი პროცესების შედეგად და მალაღობი ტემპერატურის და წნევის პირობებში ა. მდინარეობს.

მეტამორფული ქანები ხშირად მარცვლოვანია და ზოლებრივი აღნაგობა ახასიათებთ.

ახლა, როცა გავეცანით დედამიწის ამგები ქანების ძირითად სახეებს, იბადება კითხვა: რატომ და რისთვის სწავლობენ გეოლოგები ქანებს და რას ემსახურება ბუნების მეცნიერული მეცნიერება გეოლოგია?


იმისათვის, რომ გეოლოგების წინაშე დასმულ პრაქტიკულ ამოცანებში გავერკვეთ, საჭიროა ჩვენთვის უკვე ცნობილი ზოგიერთი რამ გავიხსენოთ.

დედამიწის წიაღში არსებობს უამრავი მანძილი დანაგრძობები, ურომლისოდაც წარმოუდგენელი იქნებოდა კაცობრიობის განვითარება, დღევანდელი ჩვენი ცხოვრება. აბა ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ აღარ გვაქვს რკინა — ეს იმას ნიშნავს, რომ აღარ გვაქვს მანქანები და ტრაქტორები, რკინიგზები... შეჩერდება ყოველგვარი მშენებლობა, მოსახლეობის კომუნალური მომსახურების ყველა ფორმა და სხვა იგივე შეიძლება ითქვას სპილენძის, ტყვიის, ალუმინის, მანგანუმის, ქვანახშირის, ნავთობის და სხვათა შესახებ.

აღმიაწისათვის დიდი ხანია ცნობილია საჭირო წიაღისეული საბადოები, რომელთა გარკვეული ნაწილი უკვე დამუშავებულია. თანამედროვე ცხოვრება კიდევ მეტი რაოდენობით მოითხოვს ნედლეულის წარმოებას. ამისათვის კი საჭიროა ახალი საბადოების აღმოჩენა და შესწავლა. საბარგებლო წიაღისეული, ისევე როგორც ჩვეულებრივი ქანი, მიწის ქერქის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და დანალექი, მაგმური ან მეტამორფული ქანების შემადგენლობაში ურევია. ე. ი. მანძილი სხეულიც განუყოფელი ნაწილია დედამიწის ქერქისა. მაშასადამე, როცა ჩვენ გვეცოდინება, რა პირობებში ყალიბდება ესა თუ ის სხეული, მაშინ მისი მოძებნა უფრო ადვილია. დღეს გეოლოგებისათვის ცნობილია სასარგებლო წიაღისეულის ამა თუ იმ ტიპის ქანებთან კავშირის მრავალი კანონზომიერება. მაგალითისათვის განვიხილოთ ორი საკმაოდ გავრცელებული წიაღისეული: მანგანუმი და ქვანახშირი.

დედამიწის გეოლოგიური ისტორიის მანძილზე ხშირად ხდება ერთი და იგივე სასარგებლო ნამარხის, (მაგალითად, მანგანუმის, ქვანახშირის, რკინის და სხვ) საბადოების ჩამოყალიბება სხვადასხვა გეოლოგიურ ეპოქაში. ამ მხრივ საკმაოდ საინტერესოა მანგანუმის საბადოები, რომელიც რამდენიმე გეოლოგიურ ეპოქაშია წარმოქმნილი. ამ ეპოქებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ე. წ. ოლიგოცენური ეპოქა (ეს ეპოქა დაახლოებით 30 მილიონი წლის წინათ არსებობდა). სწორედ ამ ეპოქაში ჩამოყალიბდა ჭიათურის, ნიკოპოლის (უკრაინა), ურალის ჯგუფის, საფრანგეთის, იტალიის და სხვა ქვეყნების საბადოები. მანგანუმის საბადოების ჩამოყალიბება ხდება ზღვების აუზებში მდინარეების მიერ ჩატანილი მასალის ხარჯზე, ე. ი. დაკავშირებულია დანალექი ქანებთან.

როდესაც დგება ზღვის კედლის დრო, ზღვის სრულ გაქ-



რობამდე ყალიბდება ცალკეული, ერთმანეთისაგან გათიშული უფრო მცირე ზომის და მცირე სიღრმის აუზები, რომლებსაც ლაგუნებს უწოდებენ. თუ ამ ლაგუნების გარშემო ხე-მცენარეთა დიდი მასივები არსებობს, მოსალოდნელია ნახშირის საბადოების ჩამოყალიბება. ხის მასები ამ ლაგუნურ აუზებში რომ მოხვდება, იწყება მათი გახრწნა. ხის მასების განახშირების პროცესს ხელს უწყობს ჟანგბადის სიმცირე. ქვანახშირის საბადოებიც მრავალ გეოლოგიურ ეპოქაშია ცნობილი.

1848



დომ
პლაჟკორია

მხატვარი
ელ. აბოთაძე

ყელსაზევი

მომონება

მზე ყოველდღე ამოდის. ყოველ წელს დგება გაზაფხული, ამოდის ია და ამოაქვს მადლიერი მიწის სურნელი. მაგრამ არსებობს რაღაც ძალიან ძვირფასი, რაც აღარ მეორდება.

იმ დღესაც ჩვეულებრივად ამოვიდა მზე. გაანათა ლურჯი ანუელა, კობწია უძრ და მთელი სოფელი გაათბო. სწორედ გაზაფხულის იმ საამო დღეს გამოგვიცხადეს: პიონერთა რიგებში უნდა მივიღოთ. თეთრ ზედატანებს ჩაიცვამთ, წითელ ყელსაზევეებს წამოიღებთ და ამა და ამ დღეს პიონერთა კლუბში მოხვალთ. — გვითხრა პიონერბელმძღვანელმა. მე და მარიკამ გახარებულვით ერთმანეთს გადავხედეთ, ხელი ხელს ჩავკიდეთ და შინისაკენ გამოვიქცით. გზის გასაყარზე, სადაც ერთმანეთს ვემშვიდობებოდით, მე და ჩემი შეგობარი შევეფიქრიანდით: როგორ ვიმოვნოთ ყელსაზევი?

— წამო ჩემთან. — ვუთხარი მე გამოცხადებულ რამეს. — ეზოში გაფენილი საბნისპირი მომაკონდა. ვიცოდი, ყელსაზევი მალაშაში არ იყიდებოდა, არც წითელი ქსოვილი იშოვებოდა. 1930 წელი იდგა. გაჭირვება იყო.

დედას ჩვენი სიხარული გავუხარე და დახმარება ვთხოვე.

— წითელი ნაჭერი რომ არაფერს გვაქვს შეილო? — ჩაფიქრდა დედა.

— როგორ არა გვაქვს! — კარი გამოვალე და ეზოში საბნისპირი დავანახე. — შეხედე, რამოდენა ნაჭერია, მთელ კლასს გამოგვივა ყელსაზევეები.

— მერე, საბანი აღარ გინდა? რა უნდა დაიხურო?

— არ მინდა საბანი! ყელსაზევი უფრო საჭიროა. ბებია იღიმებოდა და უსიტყვოდ შემოგვცქეროდა.

აქედან აღსანიშნავია ე. წ. კარბონული (დაახლოებით 300 მილიონი წლის წინანდელი) და იურული (150 მილიონი წლის წინანდელი) ეპოქები. იურული ასაკის საბადოებიდან აღსანიშნავია ტყვარჩელის, გელათის, აგრეთვე შუა აზიის, ურალის და აღმოსავლეთ ციმბირის საბადოები.

მაგმურ ქანებთან დაკავშირებული წიაღისეულიდან შეიძლება აღვნიშნოთ ბარიტის საბადოები, რომელთა უმრავლესობა საქართველოს ფარგლებშია მოთავსებული (ზემო რაჭა, სამხრეთ ოსეთი, მადნეული და სხვ.).

მეტამორფული ტიპის საბადოებიდან აღსანიშნავია მარმარილოები. ამ მხრივაც საქართველო ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკაა საბჭოთა კავშირში. მარმარილო თავისი შედგენილობით კირქვის შედგენილობის მსგავსია და კირქვის სახეცვლილ ვარიანტს წარმოადგენს. ასეთი სახეცვლილი ქანები ხშირად მთების წარმოშობის პროცესში ყალიბდება. მარმარილოს საბადოებიდან აღსანიშნავია ახმეტის, სალიეთის, სვანეთის, შროშის და სხვა საბადოები.

ლაბორატორიაში მიღებული და უხსოვარი დროიდან იქცევა ადამიანის ყურადღებას. ავიღოთ მაგალითად, მთის ბრილი. არ შეიძლება არ გაათვოს ადამიანი ამ მინერალის კრისტალების ჩინებულმა გეომეტრიულმა ფორმებმა იმის გარდა, რომ ლამაზია, მთის ბროლს უდიდესი პრაქტიკული გამოყენება აქვს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში: უიმისოდ წარმოუდგენელია თანამედროვე რადიოგადაცემები ღრიოდ სიტყვა გეოლოგიის საქმიანობაზეც.



კრძობდა ჩაღაცა ამბვი ხდებოდა. მაგრამ ყურთასმენა აკლდა და ჩვენი ლაპარაკისა არაფერი ესმოდა. ბედზე ჩემმა ძმამ შეძლია ბეზა. კომკავშირის უჯრედის მდივანი იყო. ჩვენი გასაჭირი ბებიას იმან გააგებინა. ბებია წამოდგა, დამაქცერდა და მითხრა:

— ნუ წუხნარ, შვილო. მე გამოვიჩინებ რამეს. — აფუსფუსდა ბებია. ამ დროს ძამაც მოვიდა, ისიც შემბირდა: — ახლა თბილისში მივდივარ და თუ ვიმოვე, ყელსახვევს უსათუოდ ამოვიტანო.

რაკი მამის დანაპირები სათუო იყო, თადარიგი მანაც დავიჭირეთ.

ბებია კაკლის კომოდის უკრა გამოაღო. უჯრიდან კომპის სუნი ამოვარდა. ბებია კომპს უჯრაში აწყობდა. კომპიც კარგად ინახება და თეთრეულსაც კარგი სუნი ასდისო — ამბობდა. უჯრიდან თეთრი, ძველებური არშიებიანი ქვედატანი ამოაძრო, მაგრად დაიჭინა და მაგიდაზე დააფინა. კოტემ და დედამ ქალაღის თარგი გამოჭრეს. ბებია ეს თარგი ქვედატანს დაადო და თვალისდახამხამებაში ორი კოხტა ხილაბანდი გამოჭრა.

— აჰ, ესეც თქვენი ყელსახვევი! ნაპირები ვადაუქცეთ და თქვენ თვითონ წმინდად ამოუხვიეთ, — გამოგვიწოდა ბებია.

— თეთრი? თეთრი რად, გვინდა! — უკან მივდექით მე და მარიკა.

— მაშ რა ფერი, შვილო?

— წითელი, ბები, ყელსახვევი წითელი უნდა იყოს. მუშათა და გლეხთა სისხლით შეღებილი.

— რას ამბობთ, შვილო, — შეიცხადა ბებია.

კოტემ ბებიას ხელი მოჰხვია და ლამაზად განუმარტა ყელსახვევის ფერის შინაარსი.

— რაკი ეგრეა, შვილებო, შეგიღებავთ! — აიღო ხილაბანდები ბებია და სამზარეულოში გავიდა. მინდოდა უკან გავყოლოდი, მაგრამ დედამ თვალით მანიშნა, დაეხსენიო, ბებიას არ უყვარდა საქმეში რომ ვინმე ჩაეროდა.

სხვა რა გზა გვქონდა! მარიკა შინ წავიდა, მე კი ჩამოვგეჭი და მოთმინებით დავუწყე ბებიას ლოდინი.

მაღე ხახვის ფურცლის ნახარშის სუნი დადგა. ისიც

დავიჩინებ. ენდროს დაგრეხილი ფესკები როგორ ასუფთავა ბებია. მიუხედი, იმით უნდა შეეღებო ყელსახვევები.

მაღე ბებია ივიანზე ორი წითელი ყელსახვევი გაფინა. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მაშინვე ჩვენი ხორთუმიანი უთო გამოვინახე. ნახშირი ჩავყარე და გავახურე. კი არ გავაუთოვე, პირდაპირ გავატკიცინე! ბებოს მადლობის ნიშნად შუბლზე ვაკოცე და მარიკასთან გავიქეცი.

დადგა კვირა დღე. მთელი ღამე ოცნებაში გავატარე. განთიადზე ჩამეძინა. ნათელი სიზმარი ვნახე: უამრავი ხალხი გამოსულიყო ქუჩებში, ყველას წითელი ყელსახვევები ეჭირა ხელში. ყელსახვევები ხან ცეცხლის ალივით იკლავებოდნენ, ხან ყვავილებივით შრიალებდნენ. ამ დროს ვილაღამ ხელი მკრა — მარიკა დამდგომოდა თავზე. ცისფერი თვალები უცინოდა, ოქროსფერი ნაწნავები ლამაზად ეწყო მხრებზე. ხელში კი მაგრა ეჭირა რვეულის ფურცელში გამოხვეული ყელსახვევი.

თვალისდახამხამებაში გავემზადე. რვეულიდან მეც ამოვიხეი ფურცელი და ჩემი ყელსახვევიც სათუთად შევახვიე. მართალია, რომ ვაშრა, ცოტა გაბაცდა, მაგრამ სულ არაარობას. მაინც მერჩივნა. მე და მარიკამ კიბე ჩავიბრინეთ და ის იყო ქუჩა უნდა გადაგვეჭრა. რომ ჩვენ წინ მანქანა ვაჩერდა. მამა გადმოვიდა. ჯიბიდან რაღაცა ამოიღო და მომაწოდა.

წითელი ყელსახვევი! ხახხასა, აბრეშუმისა, სწორედ ისეთი. როგორზედაც ვოცნებობდი, მაგრამ...

— ეს ერთია, მამა? მეორე?

მამა შეწუხდა: არ ვიცოდი თუ ორი იყო საჭიროო.

— მაშინ ესეც შენ წაიღე. მამა! — უკან გავუწოდე ყელსახვევი და ნაბიჯი ავაჩქარეთ.

— ამ ორ დღეში ისევე წავალ თბილისში, მარიკასაც ამოვუტან. — მოგვაცხადა მამამ.

პიონერთა კლუბში მე და მარიკა სულ პირველები მივედით.

გეოლოგის სამოღვაწეო ასპარეზი ბუნებაა. ის აქ აგროვებს თავისთვის საჭირო მასალას, ზოგ საკითხს იქვე, ადგილზევე არკვევს, ხოლო უფრო ღრმად, გულდასმით შესასწავლად თან მიაქვს ნიმუშები. ბუნებაში ყოფნა, ან როგორც გეოლოგები ამბობენ, ველზე ყოფნა, ერთ-ერთი საინტერესო მომენტია მათს ცხოვრებაში. სწორედ აქ ხდება ადამიანის ძვირფასი თვისებების ჩამოყალიბება: მეგობრობა, ურთიერთპატივისცემა და სიყვარული. ველზე ყოფნის დროს გეოლოგი საფუძვლიანად ეცნობა თავისი ქვეყნის წარსულსა და აწმყოს. ვერც ერთი ქართველი ბუნების მკვლევარი ვერ დარჩება. გულგრილი ჩვენი სამშობლოს წარსულის ძეგლების მიმართ: ისინი ხომ ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. ამიტომაც გეოლოგები თავიანთი ქვეყნის, თავიანთი მხარის კარგ მცოდნეებადაც ითვლებიან.

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდან დავინახეთ, ძალზე გრძელი და რთულია ჩვენი დედამიწის მიერ განვლილი გზა, მის წიაღში მიმდინარე გეოლოგიური პროცესები.

ცხადია, ამ პატარა წერილში ვერ შევუხებოდით თქვენთვის საინტერესო ყველა საკითხს გეოლოგიის შესახებ. თუ ამ წერილის წაკითხვის შემდეგ გაგიჩნდებათ სურვილი უფრო მეტის გაგებისა, გირჩევთ წაიკითხოთ სხვადასხვა პოპულარული ლიტერატურა, რომელთა შორის აღსანიშნავია აკად. ა. ე. ფერსმანის ცნობილი წიგნები.



აქვე მინდა გირჩიოთ ერთი მეტად სასარგებლო და საჭირო საქმე: ექსკურსიებისა და ზაფხულის არდადეგების დროს შეაგროვეთ ქანების და მინერალების კოლექციები, შეისწავლეთ ისინი. ეს გააფართოებს თქვენი ცოდნის ჰორიზონტს, თქვენთვის უფრო ახლობელი გახდება დედამიწა, რომელთანაც არის დაკავშირებული ჩვენი ცხოვრებისა და საქმიანობის ყოველი წუთი. უტყვი ქვის ნატეხებს ბევრი საინტერესო რამ აქვთ სათქმელი. თუ მათ გულისყურით მოუსმინთ, ისინი ალაპარაკდებიან.


თინათინი მგალიაშვილი,
ინჟინერ-გეოლოგი.



მხატვარი
დიმიტრი
ზარაფიშვილი

გოთხროვა

კ
ა
ფ
ე
მ
ნ
ა
მ



ბილიკს, რომელიც პაპანაქებისა-
გან გადამხმარ ყანებშია მიიკლაკნე-
ბა, მადრიდისაგან მიჰყვებიან ხუანი-
ტო და მადრონიო — ორი განუყ-
რელი მეგობარი, ორი უსახლკარო
არსება; ბედუქუდმართობამ დააახ-
ლოვა და იძულებული გახადა ისი-

ნი — მინდვრად, ტყესა და ქუჩაში
წანწალით გალიონ წუთისოფელი.
უთვისტომონი საკუთარ ბედს მიენ-
დევნენ.

ლატაკნი, განწირულნი, მიუსაფარ-
ნი — მიდიან, საითაც თვალი მიუწ-
ვდებათ; რაც ხელთ მოუხვდებათ,

რასაც წააწყდებიან, იმისთვის
ან. ზაფხულობით ცის ქვეშ, მწიანე
მდელაზე ათევენ ღამეს, სუსხიან
ზამთარში კი სადმე ბნელ გამოქვა-
ბულს ეკედლებიან, ამშორებულ
ფოთლებზე მიეგდებიან და, იქნებ
როგორმე გავთბეთო, მაგრად ეხუტე-
ბიან ერთმანეთს. სიცხეში ხის
ჩრდილს აფარებენ თავს, წვიმის
ღრთს კი — კლდეს.

აი, — ყველა ის სიკეთე, რომელიც
ავგისტო კაშკაშა მშით გავარაგრე-
ბული ბილიკებით მოხეტიალე მე-
გობრებს არაგუნა ბედმა.

მთელი დღე იარეს ხუანიტომ და
მადრონიომ მცხუნვარე მზეზე. ძლივს
სუნთქავდნენ, პირი სილით ავსებო-
დათ, ირგვლივ წვეთი წყალი არ მო-
იძებნებოდა, წყურვილი რომ მოეკ-
ლათ, მუხლში ძალაგამოლეულებს
წუთით არ შეუსვენიათ. ო, რა განცხ-
რომით მოასვენებდნენ თავიანთ გა-
ტანჯულ სხეულს, რა ნეტარებით
ისუნთქებდნენ ღამით მონაბერ გრილ
ნიავეს!

მაგრამ ხუანიტოს ეჩქარება:
აუცილებლად უნდა გადასცეს წერი-
ლი მადრიდელ გადამწერს. მადრო-
ნიო კი, ჩვეულებისამებრ მოწყენი-
ლი და თვინიერი, ხუანიტოს ფენ-
დაფეს მიჩანჩალებს.

ასე მისდევენ ისინი ერთმანეთს
თავჩაქინდრულნი, გახვითქულნი,
მშვიერ-მწყურვალნი. ძლივს მიათრე-
ვენ დადლილ ფეხებს. მათს სულსა
და გულს სულ არ ეკარება მწუხრის
მომხიბლაობა, ვერც იმ დიდებულ
ღრუბლებს ამჩნევენ, ოქროსფორიან
სუდარასავით რომ გადაფარებია ჩა-
მაველ მზეს. არ ესმით მიწისა და
ჰნათობის სევდიანი ჩურჩული გან-
ზორებისას, არც ჩიტების გამოსა-
თხოვარი ქივივი...

არ სცალიათ ამისათვის მეგობ-
რებს. მათი ყურადღება მიუპყრია
შორს გადაჭიმულ ვეება ქალაქს,
რომლის მაღალი სამრეკლოები მკა-
ფიოდ მოჩანს რუხი ცის ტატნოზე,
მის ხმაურიან ქუჩებს, ფარნების ყვი-
თელ შუქს. იქ არის მათი გზის ნა-
ნატრი დასასრული — საკევი და
თავშესაფარი. მერე რა ეუყოთ, რომ
საქმელი უგემური იქნება, საწოლი
კი — მაგარი, ოღონდ შიმშილი მო-
იკლან, ოღონდ მუხლებიდან ქარი
ამოიღონ!

ხუანიტოს იმედი აქვს, რომ გადამ-
წერი მათთვის ერთ ლუკმას და ერთ
იღლია ჩალა-ბუღას არ დაინანებს.
მეგობრებისათვის ესეც დიდი წყა-
ლობაა, ამაზე მეტს არც არიან დაჩ-
ვეულები. ცხოვრებას არ გაუნებო-
რებია არც ერთი და არც მეორე. იმ
დღიდან, რა დღიდანაც ხუანიტომ



მადრონიოსთან დაიწყო თამაში და მეგობრობა, ძლივსძლივობით ააბობდებოდა ხოლმე ზურგზე, მოაჯღებოდა, ყურებს მოქაჩავდა და აჩუს ძახილით დაარბენინებდა მინდორში. მადრონიო, რაღა სიტყვა გავაგრძელოთ, ერთი ბებერი, უძლური და გალეული სახედარი გახლდათ. ისეთი გაძვლტყავებული, გეგონებოდათ. მუცელი პირდაპირ ხერხემალზე აქუსო აკრული. ყურები გრძელი, კული — მოკლე, ფეხები კი სულ ძურწით ჰქონდა სავსე. ბოშებმა სადღაც მოიბარეს ეს ბებერი სახედარი და დაიტოვეს. სულ მალე მას ხუანიტო დაუმეგობრდა — რვა წლის შავტუხა, თეთრკბილება, ხუჭუჭთმიანი ბოშა ბიჭუნა.

ხუანიტოს დედა მოუკვდა. მამა ციხეში იჯდა. რა ექნა? ადგა და მადრიდში გაემგზავრა. ჩქარობდა, რაც შეიძლება მალე უნდა მიეტანა მამის წერილი გადამწერისათვის და მერე ცოტას შევისვენებოთ, ფიქრობდა. რა მოჰყვებოდა ამას? რა მოხდებოდა ხვალ?.. ეშმაკმა იცის ეს კია, რომ, თვით ღმერთამაც თუ გასწირა, ხუანიტო მაინც არ უნდა მიეტყოს ნალევებს; ის და მადრონიო კვლავ გაუღებდნენ გზას. როგორც სჩვევიათ, — ინეტიალებენ აქეთ-იქით, არც ხვალნდელი დღის იმედი ექნებათ, არც ის ემახსოვრებათ. როგორ ჩაიბრა გუშინდელმა დღემ...

გულს როგორ გაიტეხს. მადრონიო კარგი მეგობარი გამოადგა, — ალერსიანი, დამჯერი, თვინიერი, „ენახოთ რას იტყვის გადამწერი, მერე მე ვიცი, რასაც ვიზამ...“ — ფიქრობს ბიჭუნა. მაგრამ რა უნდა ჰქნას? არც ისე იოლია ამის პასუხი. ფიქრებში გართულ ხუანიტოს უცებ შიში იპყრობს, დაფეთებული მიუბრუნდება სახედარს და დასწყვილებს:

— არიქა, არიქა! ვიჩქაროთ!

ყოველთვის, როცა ხუანიტო მომავალზე ფიქრობს, სევდა შეიპყრობს ხოლმე. აგონდება თავისი გუშინდელი ლალი ბავშვობა, აგონდება შავგვრემანი, ჭრელჭრულეში გამოწყობილი ქალი, რომელსაც მისთვის მუდამ სასუსნავი ჰქონდა შემონახული და ხშირად ჩაჰკოცნიდა ხოლმე. აგონდება მალალი, წარმოსადგვი, პირქუში კაცი, მუდამ მკაც-

რად რომ ელაპარაკებოდა და ყურიც რომ ხშირად აუწევია: თუმცა მამას უქმური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ როცა დედა და ხუანიტო მადრონიოზე ისხდნენ, მუდამ ფეხით მოსდევდა ხოლმე სახედარს, პირიდან ლუქმას იღებდა შვილისთვის და ქვეყანას დაეპყვედა, ხუანიტო ვინმეს რომ დაეჩაგრა. ახლა იმ დროს რაღა დააბრუნებს! დედა სამარეშია, მამა — ციხეში, თვითონ კი მადრონიოსთან ერთად მადრიდისაკენ მიჩაქჩაქებს.

მეგობრები ქალაქს მიუახლოვდნენ. გადამწერი სადღაც ახლოს ცხოვრობს, ქალაქის გარეუბანში, — ოციოდე წუთის სავალზე.

ხუანიტომდე უკვე აღწევდა ქალაქის მძლავრი სუნთქვა, მისი მჩქეფარე, სისხლსავსე ცხოვრება: გზატკეცილზე ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ მუშები, მიდიოდნენ ოთხთვალა ეტლები, რომლებსაც სქლად დასდებოდა მტვერი და ჭუჭყი. ბაზრიდან მოდიოდნენ აბრეშუმის თავსაფრიანი, შალმოსხმული ქალებიც და შეუჩერებლად ქაქანებდნენ.

სახედარი წამდაუწუმ ფეხს ითრევდა და მერე სულაც გაჩერდა.

— წამოდი, წამოდი, მადრონიო! — შეუძახა ბიჭმა და ჯოხი მოუღერა, მაგრამ მადრონიო პატრონის მკაცრ ბრძანებას არ ემორჩილებოდა, ფეხს არ იცვლიდა. მთელი სხეული უთრთოდა, აძაგდაგებდა, ყბა გვერდზე მოქცეოდა და ჩაყვითლებული კბილები ორმწკრივად მოუჩანდა. მადრონიო შეეცადა ნაბიჯი გადაედგა, მაგრამ მთვრალივით დაბარბაცდა და ისევ გაშეშდა: საწყალმა ყურები ჩამოყარა, ზურგი ამოიხნიქა და მუხლები მოეკვეთა.

— წავიდეთ, მადრონიო! — შეევედრა ბიჭუნა. — წავიდეთ, მიჩქარება.

სახედარმა ნაბიჯი გადადგა. მერე თავი ასწია, ფრუტუნით შეისუნთქა საღამოს გრილი ჰაერი და მიწაზე გაიშოტა.

— ადექი! — დაუყვირა ხუანიტომ.

ირგვლივ უკვე უსაქმურთა ბრბო შემოხვეოდათ და უფასო სანახაობით ერთობოდნენ.

— ადექი, მადრონიო! შენ გეუბნები, ადექი-მეთქი! — ჩასჩინებდა

ბიჭი, ჯოხიც შემოჰკრა, მაგრამ ოღ.

მადრონიო თვალბდაშრეტილი მისჩერებოდა ხუანიტოს. ადგეს? შეუძლია კი ადგომა? და განა ძალას არ იკრებდა? სახედარი ერთხელ კიდევ შეეცადა წამოდგომას, ცოტაზე წამოიწია კიდევ, მაგრამ ღონე არ ეყო და ისევ მიწას დაენარცხა.

— მოეშვი, ყმაწვილო! — უთხრა ვილაც მალალმა კაცმა ხუანიტოს. — ვერ ხედავ, კვდება შენი სახედარი!

— როგორ თუ კვდება?!

— შენ რა, ბრმა ხომ არა ხარ?

სიბერისაგან, უღონობისა და შიმშილისაგან გადაღრძნეულ, მომაკვდავ მადრონიოს საცოდავ გამომეტყველებაზე სიცილით იხოცებოდნენ შემოკრებილი უსაქმურები.

— რა იშვიათი სარჩული გამოვიდოდა მაგის ტყავისაგან ჩემი ზანდუკისათვის! — ჩაილაპარაკა ერთმა გამვლელმა ქალმა.

— მღვდელი მოუყვანეთ ანდერძის ასაგებად, მღვდელი! — იენამახვილა ვილაც აყვიამ.

თვალბგაფართოებული და მჭიდრებშეკრული ხუანიტო მღუმარედ დასცქეროდა მადრონიოს. სახედარი უკანასკნელად დაიძაბა, თავი ოდნავ წამოსწია, პირი დაალო, საცოდავად ამოიკვნესა, ყურები გააპარტყუნა და ფეხები გაფშკია.

— უფალმა მიიღო სული მისი! — იხუმრა ვილაცამ.

ხუანიტო გაფითრდა, მადრონიოს წინ მუხლებზე დაეცა, კისერზე მოეხვია და გულამომჭდარი აქვითინდა.

— კმარა, ბიჭუნა! ადექი! რა თავს იკლავ ამ მიხრწნილი პირუტყვისათვის! — უთხრა ისევ იმ მალალმა კაცმა.

— ო, სინიო! — ზლუქუნით მიუთხო ბიჭმა. — როგორ არ ვიტყვო? ეს იყო ჩემი ერთადერთი გულითადი მეგობარი. სულ მარტო დავრჩი. რაღა მეშველება?

ხალხი დაიშალა. ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივიც ჩაესვენა. ბიჭუნა კი ისევ ტიროდა...

რა, არა ჰქონდა სატირელი? ძნელია ნამდვილი მეგობრის დაკარგვა, თუნდაც ის უბრალო სახედარი იყოს.

თარგმანი მილიცა ჯაფარბეგო.



განთავსების ფუნქციონირების რეჟიმის ხიზამბარელი

სალა ხიზამბარელის ვიზაობისა და სა-
სპარეზო მოღვაწეობის შესახებაც.

ხიზამბარელი განთქმული მოჭიდავის
ნამდვილი გვარია. მისი წინაპრები ჯა-
ვასეთის სოფელ ხიზაბავრიდან გადმო-
სახლებულან შუა ქართლში, გიორგი სა-
აკაძის სამშობლო დაბა ნოსტეში. თავი-
ანთი ძველი საცხოვრისის — ხიზაბავ-
რის პატივსაცემად გვარად ხიზამბარე-
ლებად დაწერილან.

დავით ხიზამბარელი სოფელ ნოსტეში
დაბადებულია 1849 წელს. წარმოშობით
გლეხი იყო. — მეტივეობას ეწეოდა.

ხიზამბარელი, მაშინდელი ქართული
ადათ-წესით, მხოლოდ სახალხო დღე-
ობებზე ჭიდაობდა. ერთ ასეთ ჭიდაობას
1867 წელს, გასაფხულზე დაესწრო ან-
ტონ ფურცელაძე, რომელიც მოგვითხ-
რობს: „მე ამ დღეებში ვნახე, სხვათა-
შორის, თვრამეტ-ცხრამეტი წლის მოჭი-
დავე არ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ
მისი სისხარტი ჭიდაობაში. რამდენაი-
რი ხერხი და ოსტატობა აქვს გამსაღე-
ბული თავისი მოწინააღმდეგეების წა-
საქცევად. რამდენჯერ დაიპყრეს ის თა-
ვისმა მოწინააღმდეგეებმა ხელში და
ყველას ეგონა ეს არის წააქციესო, მაგ-
რამ გველივით გამოუძვრებოდა ხოლმე
ხელიდან და ლაჯებიდან. რამდენიც წა-
აქცია ამ ყმაწვილმა ბიჭმა, იმდენი სულ
ყირამალა გადაატარა. მარტო ეს ბიჭი
არ არის ამისთანა და კიდევ უკეთესე-
ბიჭ ბევრი არიან. ერთი სიტყვით, ვისაც
ხიზამბარელის ჭიდაობა უნახავს, ადვი-
ლად შეუძლია წარმოიდგინოს სადამდის
განვითარებული ჩვენში ჭიდაობა“.

მეტად საინტერესო მოგონებაც არსე-
ბობს ვინმე „ძველი მოჭიდავისა“. მტ-
ყობა, მას პირადადაც სცნობია ეს სა-
ხელგანთქმული ფალავანი. ამდენად, მი-
სი გადმოცემა ხიზამბარელის ფალავნო-
ბაზე უტყუარი წყაროა ეს მოგონება
გამოქვეყნებულია, 1888 - წელს გაზეთ
„ივერიაში“.

აი, რას მოგვითხრობს ეს „ძველი მო-
ჭიდავე“: საქართველოში ბევრი გამო-
ჩენილი მოჭიდავე ყოფილა, მაგრამ ხი-
ზამბარელივით კი სახელი არავის
გაუთქვამს, ის თითქმის სახალხო გმი-
რად გადაიქცა. ხელობით მეტივე იყო,
მოკლე ხელ-მკლავებიანი, ცოტათი მოხ-
რილი და დათვურად ნაკეთიანი. ტანზე,
სადაც უნდა ხელი მოგველოთ, იტყოდით,
ხე თუ არისო, ანუ ქვა და არა ხორცი.
გამოდიოდა სათემოდ, დადიოდა დღე-

ობებზე და ვინც გამოითხოვდა მის
იყო შეემოდა: თანაც ასევე ხოლოდ
თი ან ორი მეტივე, რომ ვინიცო-
ბაა, მარცხი მოსვლოდა ჭიდაობაში,
იმათ ეპატრონებინათ, სხვა ქომაგი,
დამხმარე არავინა ჰყავდა და არც ეძებ-
და. ჭიდაობაში ფულს არ იღებდა.
„დღეობაში ხალხი რითაც შეგიძლიან,
უნდა შეიქციო და თვალის სერი ურ-
ვენო“ — იტყოდა ხოლმე. თავმდაბა-
ლი იყო. ზეზე კისრული იყო და რა-
ლაკი წამოიღებდა, იტყოდა ხოლმე: „ახ-
ლა, თუ გინდათ ხარ-კახეჩიც მოუბით,
ვედარ შეიმაგრებთ, გადავიტანო“.

ახალგაზრდა მოჭიდავეს თუ შეატყობ-
და ხერხს, განგებ დიდხანს ათამაშებდა
ხოლმე, თითქოს უნდა გაათამაშოს და
ასწავლოს ხერხით. ერთი ახალგაზრდა
უნდა დაჭიდებოდა ერთხელ, მაგრამ ტა-
ხივით გამოვარდნილი ხიზამბარელი
რომ დაინახა, შეშინდა... აღარ ვეჭიდე-
ბით. „შე ლაჩარო, ვინ ქართველი და
შიშით“ — მიიძახა. „ადე, დამეჭიდე,
თორემ მოგკლავო“. წამოაყენა და
შეიბნენ. დიდხანს იდავეს. ორჯერ მო-
უნდომა კისრული ხიზამბარელს, მაგრამ
ვერ გადაიტანა. ბოლოს ხიზამბარელმა
დაიძახა გაგავშველეთო და გააშველეს.
„კაი ბიჭი ყოფილხარ, ცოდოა შენი გა-
ლახავო“ (წაქცევა) წასჩურჩულა ხი-
ზამბარელმა და გადაკოცნა.

ერთხელ ერთი მოჭიდავე ჩამოვიდა
ირანიდან, საოცრება რამ იყო. მარილის
ვეება ქვებს ხელით იღებდა და ბურთი-
ვით ათამაშებდა. ქალაქის დიდკაცობა
შეაწუხა: „ან დამაჭიდეთ ვინმე და ან
საჩუქრით გამისტუმრეთ ჩემი ქვეყნისა-
კენათო“. თავადიშვილებმა ჩამოიყვანეს
ხიზამბარელი. თათარმა შეხედა და გა-
იციხა, აითვალწუნა და უთხრა: „ილო-
ცე, გურჯოო“. ხიზამბარელს ეწყინა, ეძ-
გერა, მოიგდო ზურგზე და რუმბივით
გაავტორა. „ეს როგორ იქნებოთ, ვან
ეს ჭიდაობაა, მე მხოლოდ მივესალმე და
სალამი არ გამეთავებინა, ისე შეძე-
რათო“, — თავი გაიმართლა სპარსმა.
დასჭიდეს მეორედ. მეორედაც როცა მო-
იგდო ეს გოლიათი წასაქცევად, მოუბ-
რუნდა თავადებსა და მოახსენა: „ბატო-
ნებო, ჰკითხეთ ამ ვაჟაკს, სალამი გა-
ათავა თუ არაო?“ სპარსს პირი გაუ-
შავდა და ხმა ვედარ ამოიღო. „ახლა კი
დროა დავაფისო (დავაკრა) ჩვენ მიწა-
ზედაო“, — თქვა ხიზამბარელმა და და-
ახეთქა.

ერთხელ კიდევ ერთი ერეგელი მო-
ჭიდავე დაეჭიდა. გავიდა თუ არა, მუშ-
ტი გაართყა თავ-პირში ხიზამბარელს
და სარმაც გამოჰკრა. ხიზამბარელი ოდ-
ნავადაც არ შერხეულა. „ბიჭო, კრივში

სამამულო ასპარეზობათა ისტორიას
ბევრი სახელი როდი შემორჩა. ხალხმა
გადმოცემებსა და სიტყვიერებაში მხო-
ლოდ რჩეულთა შორის რჩეულნი შემოგ-
ვინახა. მათ შორის ერთ-ერთი პირველ-
თაგანი იყო XIX საუკუნის მოჭიდავე-
ფალავანი, ლეგენდად ქცეული დავით
ხიზამბარელი.

სამწუხაროდ, გადმოცემებში მთელ
საუკუნეს გამოტარებული ეს სახელი
ფალავანისა, უკანასკნელ დრომდე სრუ-
ლი ბურუსით იყო მოცული.

მხოლოდ უკანასკნელ დროს, ქართულ
სიძველეთა გულდასმით შესწავლისა და
განსაკუთრებით ახლახან მიკვლეული,
ცნობილი მწერლის ანტონ ფურცელაძის
წერილიდან შესაძლებელი გახდა ხიზამ-
ბარელის დაბადების თარიღის დადგენა.
მონახულ იქნა ზოგიერთი ცნობა და მა-

ხომ არ გამოვსულვარ, რომ იცემე-
ბიო?" — უთხრა და ზურგზე მოიგდო.
წაიღო მხარზე გადებული და დაეჭა-
ბა: „აბა, ასლა კი უნდა დაგაფისო ამ
ქვებზეო“. მაგრამ დახეთ იმის სულგრ-
ძელობას, განზე დააგდო გულშემოყრი-
ლი მეტოქე და თავის ამხანაგს უთხრა:
„გოგითა, ერთი თავზე წყალი დაასხი,
მოაბრუნეო“.


ერთხელ ხმა გამოვიდა, ხიზამბარელი
ათოლა გლდანელს წაუქცევიაო. ხალხი
ძალიან გაკვირდა, არა სჯეროდათ. მარ-
თლაც ტყუილი გამოდგა. მე თვითონ
დამსწრე ვარ იმ ჭიდაობისა. ათოლამ
ხიზამბარელს მოულოდნელად სარმა გა-
მოჰკრა და ჩააჩოქა. მაშინ ხიზამბარელ-
მა მოიღო ზურგზე და, შენს მტერს, იმას
დღეს დააყენებდა, რომ მომხრეები არ
გამოსჩინოდა! გედევანიშვილები მისც-
ვიდნენ და, რომ ვეღარ გამოჰკლდივს
ხელიდან ათოლა, ხიზამბარელს ცემა
დაუწყეს, ძალიან დაეფუეს... გალახული
ხიზამბარელი წავიდა გრიგოლ ორბე-
ლიანთან (მაშინ პოეტი-სარდალი კავ-
კასიის მთავარმართებლის მოვალეობას
ასრულებდა — ვ. ს.) და სთხოვა: „გა-
ლახვამ თქვენი ჭირი წაიღო, იმას არ
ვჩივი, მაგრამ უსამართლოდ სახელის
გატეხა მიმძიმსო. ათოლა დამჭიდეთო,
უნდა დავანახო ქვეყანას, რა ფალავანიც
არისო“.

გრიგოლ ორბელიანმა თხოვნა შეუს-
რულა.

მთაწმინდაზე გამართეს ჭიდაობა,
დიდძალი ხალხი მიაწყდა. გრიგოლ ორ-
ბელიანიც დაესწრო. გაცხარებული ხი-
ზამბარელი მართლაც რომ საუცხოო სა-
ნახავი იყო. განთქმულ ათოლა გლდა-
ნელს აღარა გაუვიდა რა გმირთან და
ქედი მთიდრიკა ხიზამბარელის წინაშე.
ასეთია ზოგიერთი გადმოცემა ხიზამ-
ბარელზე, რომელმაც საჭიდაო ასპარეზ-
ზე სულ რაღაც ხუთი-ექვსი წელიწადი
დაჰყო, მაგრამ მისი მსგავსი ფალავანი
იმ დროს საქართველოსა და მთელ კავ-
კასიაში სხვა არავინ მოიძებნებოდა.
ამიტომაც მან ხალხში დიდი სახელი
დაიგდო. ხიზამბარელი ხალხმა თავის
გმირად აღიარა. როცა კარგი მოჭიდავე
ფალავანი გამოჩნდებოდა, ხალხი ამბობ-
და: „ეგ არის და ხიზამბარელიო“.

სახელგანთქმული ფალავანი დავით
ხიზამბარელი 1873 წელს გარდაიცვალა
24 წლის ასაკში, დაკრძალულია მშობ-
ლიურ სოფელ ნოსტეში.

სულ ახლახან მივაკვლიეთ უცნობი
მხატვრის მიერ დახატულ სურათს, რო-
მელზეც ხიზამბარელისა და თათრების
ფალავან აღლარას ჭიდაობაა აღბეჭდი-
ლი. ეტყობა მხატვარი თვითმხილველი
ყოფილა ამ ორი ძლიერი ფალავანის
შერკინებისა და ის თავის სურათში გა-
მოუხატავს. სურათი დაცული აღმოჩნდა
პატარა წიგნში, რომლის სათაურია



„ჩანგური ანუ სალხინო მეჯლისი თბი-
ლისის ძველი და ბოლო დროის სიმღე-
რებისა“ (ავტორი დავით ლაზარა-
შვილი).

ხიზამბარელის სურათს რომ უყურებთ,
არ შეიძლება არ მოგაგონდეთ მისი გა-
რეგნობა. მკვრივი ჭაბუკი მართლაც
რომ მძიმედ დგას მიწაზე. თავზე თუშუ-
რი ქუდი ხურავს. სურათს მიწერილი
აქვს: „ჭიდაობის სცენები ჩვენი ძველი

ფალავანის ხიზამბარელის ცხოვრებიდან,
ბატონყუმობის დროს“.

ამ წიგნშიც არის შემოთმოყვანილი
„ძველი მოჭიდავის“ მოგონება დაბეჭ-
დილი, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს
მის სინამდვილეს.

მახტანა ნილაშონიძე.

მხატვარი ემ. ანზორაძე.



გერმანული ნაგაზი

აღზარე მეგობარი

...ეს ამბავი უამირ მიწებზე მოხდა. ერთმა ტრაქტორისტმა, შორეულ რაიონში რომ მიემგზავრებოდა, თან არ წაიყვანა თავის სახლში გაზრდილი ნაგაზი ფიტკა, იგი მან დედასთან დატოვა. მაგრამ რაოდენ გაოცდა ეს ტრაქტორისტი, როცა ადგილზე მისულს ფიტკაც გვერდით აეტრუსა. მას თურმე სამ დღე-ღამეში სამასი კილომეტრი გაურბენია და მტვერში ამოსვრილი, დაღლილ-დაქანცული, მაგრამ, როგორც ყოველთვის, მხიარული მიეახლა თავის პატრონს.

რაღა უნდა ექნა ტრაქტორისტს, უკან ხომ ვერ გააბრუნებდა? იძულებული გახდა, ისევ თავისთან დაეტოვებინა. ფიტკა პატრონს ერთი ნაბიჯითაც არ სცილდებოდა, თავს დასატრიალებდა მის ტრაქტორს, ღამღამობით ყუფით აფრთხოდა ტრამალის მკვლებს. ერთხელ, ჭეჭა-ჭუხილის დროს, ტრაქტორს მეხი დაეცა და ტრაქტორისტი დააყრუა. საზრიანი ძაღლი არც მაშინ დაბნეულა: როგორც კი მიხვდა, რომ პატრონს შველა სჭირდებოდა, მყისვე საველე ბანაკში გაქანდა და იქიდან ხალხი წამოიყვანა, რომელმაც დაშავებული ტრაქტორისტი გადაარჩინა.

ფიტკამ ამის შემდეგაც ბევრი სარგებლობა მოუტანა თავის პატრონს. ყოველივე ეს ძაღზე ტიპობრივია ძაღლისათვის.

ტყუილად როდი ამბობენ, ძაღლი ადამიანის პირველი მეგობარიაო. მართლაცდა, განა არის ამ ქვეყნად სხვა არსება, რომელიც ძაღლზე უფრო ერთგული, გამგები, სამსახურის გამწევი და, რაც მთავარია, ადამიანისათვის იმდენი სიკეთის მომტანი იყოს?

შეგვიძლია მოვიყვანოთ უამრავი მგალითი ძაღლის ჭეშმარიტად უსაზღვრო სიყვარულის და ერთგულებისა.

როცა შესანიშნავი რუსი მოგზაური ვიორჯი სედოვი ჩრდილოეთ პოლუსის ექსპედიციის დროს გარდაიცვალა და მისი გვამი კუნძულ რუდოლფზე ყინულებში დამარხეს, სედოვის საყვარელი ძაღლი ფრამი,

მარხილში შეტემულ თანამოძმეთა წინამძღოლი, სარაფრის გულისთვის არ გაშეშა თან სხვებს. იგი პატრონის სამარესთან დარჩა, რითაც ცოცხლად დამარხა თავი თოვლის უდაბნოში.

ძაღლები დაეხმარნენ ამუნდსენს სამხრეთ პოლუსის აღმოჩენაში. მამაც პოლარულ-პაპანინელთა ოთხეულთან ერთად, შინაურ ცხოველთა შორის პირველმა, ლაიკა ვესიოლიმ დაადგა ფეხი ჩრდილოეთ პოლუსის უინულს. სწორედ ძაღლი, და არა სხვა ცხოველი, ჩასვეს საბჭოთა მეცნიერების მიერ შექმნილ დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრში და ჩვენი პლანეტის მკვიდრთაგან იგი პირველი გაემგზავრა კოსმოსში.

ძაღლები ეხმარებიან მონადირეებს ტყეში ნადირის პოვნაში და ძვირფასი სიმდიდრის — ბეწვეულის მოპოვებაში. ძაღლები მხარში უდგანან მეცხვარეებს ცხვრის მომწყემსვისას. დარწმუნებული იყავით: იქ, სადაც კარგი ოთხფეხა მწყემსები არიან, მგელი ფარეხში ცხვირსაც ვერ შეჭყოფს. ძაღლებს იყენებენ ჩვენი მესაზღვრეები საბჭოთა ქვეყნის საზღვრების დასაცავად.

ფასდაუღებელი სამსახური გაუწიეს ძაღლებმა საბჭოთა ადამიანებს დიდი სამამულო ომის წლებში ბრძოლის ველზე: აფეთქებდნენ ფაშისტურ ტანკებს, პოულობდნენ მტრის მიერ ჩადებულ ნაღმებს, ტყვიისა და ყუმბარების წვიმაში გამოჰყავდათ ცეცხლის ხაზიდან ათასობით და ათათ-

სობით დაჭრილი ჯარისკაცები უფრო ცერი. რა თქმა უნდა, ძაღლებს უკეთესი არ უსწავლიათ ყოველივე ამის გაკეთება, მათ ასწავლიდნენ ძაღლთმცოდნეები, რომელთაც წვრთნის ყველაზე სრულყოფილი, ყველაზე რთული ხერხები იციან. იმისათვის, რომ ცხოველი აიძულო ის აკეთოს, რაც შენ გსურს, ცოტა ჯაფის გადატანა როდია საჭირო.

ერთი სიტყვით, მეძაღლეობა სასარგებლო საქმიანობაა, მაგრამ ყველამ როდი იცის, როგორ მიუდგეს ამ საქმეს, რა ფაქტობს, ანდა — რომელი ძაღლია უკეთ აღსაზრდელი.

რით უნდა დაიწყოთ

ძაღლის ჯიში ბევრია და ერთი ჯიშის ძაღლი დიდად განსხვავდება მეორე ჯიშის წარმომადგენლისაგან. არიან ისეთი პაწაწინები, ჩაის ჭიქაში თავისუფლად რომ მოთავსდებიან, მაგრამ არიან ვეება, კარგა მოზრდილი ხმოს ოდენანიც. ძაღლებს, მათი გამოყენებისდა მიხედვით, სამ ჯგუფად ჰყოფენ: მონადირე, სასამსახურო და ოთახის (ანუ დეკორატიულ) ძაღლებად.

ოთახის ძაღლებია: ბოლონიური, შპიცო, მოპსი, პეკინური, იაპონური ფინია, ტიბეტური ტერიერი, ტოიტერიერი, ჯუჯა პინჩესი და ა. შ. ოთახის ძაღლი ნაზი, ერთგული ქმნილებაა, იგი სახლს კარგად სდარაჯობს და თავისზე გაცილებით ძლიერ მტერსაც კი შეებმის ხოლმე. ოთახის, ანუ დეკორატიულ ძაღლებს ხშირად ნახავთ ცირკში, სადაც ისინი ყველაზე თავსატეხ ტრიუკებს ასრულებენ.

ამჟამად სწრაფად მიიწევს წინ დეკორატიული ძაღლების მოშენება, რადგან ოთახის პირობებში უფრო მოსახერხებელია ფინიის ყოლა, თუმცა მეტი პრაქტიკული სარგებლობა მონადირე და სასამსახურო ძაღლებს მოაქვთ.

მონადირე ძაღლებს ეკუთვნიან: სეტერი, პოინტერი, ფოქსტიერი,



სენბერნარი



ლოპი



ტაქსა, სპანიელი, ლაიკა და სხვა მრავალი.

სასამსახურო ძაღლებად ითვლებიან: ჩრდილოეთის მესაზიდრე, ნაგაზი, დობერმან-პინჩერი, ელდერტერიერი, ბოქსიორი, დოგი, სენბერნარი, რიუნენაუციერი, როტვეილერი... სასამსახურო ძაღლები უფრო დიდი ტანისანი და ღონიერები არიან.

რომელი ჯიშის ძაღლი უნდა ავირჩიოთ?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე იოლია, რადგან თითოეულ ჯიშს თავისი ღირსება მოეპოვება. მაგალითად, ლაიკას, ბუნების მიერ თბილი ქურქით შემოსილს, სრულებით არ ეშინია სიცივისა (ჩრდილოეთში პირდაპირ თოვლზე სძინავს ხოლმე, სითბოში კი ცუდად გრძნობს თავს); დობერმან-პინჩერს საოცარი უნდა აქვს და ისე დახტის, რომ თუნდაც ცირკში გამოიყვანს ელდერტერიერი მშვიდი ხასიათით გამოირჩევა, თუმცა მხალისი სულაც არ გახლავთ.

ჩვენში, განსაკუთრებით ქალაქებში, ძალიან არის გავრცელებული აღმოსავლეთევროპული ნაგაზი. იგი დიდი ტანის ძაღლია, მგელს ჩამოგავს, ლამაზი და ღონიერი, ყოველნაირ შავს ეგუება, თანაც სრულიად სხვადასხვა საქმისთვის გამოიყენება. მისი პოპულარობაც სწორედ ამით აიხსნება.

უდავოა, რომ ეს ნაგაზი მეტად ჭკვიანი და მუშა ძაღლია, მაგრამ მას არც სხვა ჯიშის ძაღლები ჩამოუვარდებიან. თითოეული ჯიში თავისებურად კარგია. თუ საკუთარი ევოკარი გაქვთ, ნაგაზი ან ლაიკა იყოლიეთ, ისინი პირობებში კი — ელდერტერიერი ან დობერმან-პინჩერი სჯობს. დობერმანი გლუვბეწვიანია: ერდელი, საერთოდ, არ იქუცება — მას წელიწადში ორჯერ ამოწიწკნიან ხოლმე კვდომარეებზე ბეწვებს. ისე კი, ჯიშის შერჩევა გემოვნების საქმეა; თორემ სათანადო მოვლით, რომელიც გნებავთ, იმ ჯიშის ძაღლს შეინახავთ. ბოლოსდაბოლოს, უბრალო ქოფაკის ყოლაც შეიძლება, ისიც

ბევრ სიხარულს მოგანიჭებთ.

ლეკვის ამორჩევაში დაგეხმარებათ ძაღლების მოყვარული, რომელმაც იცის მათი ავ-კარგი. აქობებს კი, თუ მონადირეთა საზოგადოებას მიმართავთ. აუცილებელი არ არის მაინც და მაინც ყველაზე მსუქანი ლეკვი შეიარჩიოთ, მთავარია ლეკვი ენერგიული, ცქვიტი იყოს და საქმელს ხარბად მივარდებოდეს.

ლეკვის მოვლა

აი, უკვე შინ მოიყვანე შენი მომავალი მეგობარი. იგი ჯერ კიდევ პატარა და უმწეოა, სულ რაღაც ერთი თვისაა. მას მზრუნველი ხელი და უურაღდება სჭირდება. შენზე, მხოლოდ შენზეა დამოკიდებული, პირველივე დღიდან შეგეტვისება თუ არა შენი აღსაზრდელი.

მოეფერე პაწიას, ასეი ოდნავ შემთბარი რძე, აჭამე მანანის ფაფა, წვრილად დაჭრილი მოხარშული ხორცი. ლეკვი სიამოვნებით შეეჭყევა ჭყინტი ყველის ნაჭერსაც, რაც დიდად მარგებელია მისთვის. კარგია ხორცის ფარში, რომელსაც ორგანიზმი იოლად ითვისებს. ოღონდ თავიდანვე ნუ გაანებივრებ, თუ კიდევ მოგთხოვა საქმელი, ნურც ტბილელობით აუყირებ გულს.

პირველ ხანებში ექვსჯერ აჭამე დღე-ღამეში, ექვსი თვისას კი მხოლოდ სამჯერ. ერთი წლისა რომ გახდება და მის მერეც, დღეში ორჯერ აჭამე.

ლეკვის ულუფაში თანდათან უფრო მრავალფეროვანი საკვები უნდა შევიდეს: ბურღულიხა და ბოსტნეულის სუპი, შავი პური, ძვლები, ძვლები პირდაპირ მისწრება იმ დროს, როცა ლეკვს კბილების სწრაფი ზრდა ეწყება და ყველაფერს ეტანება საღრღნელად. ამ პერიოდში ძვალი მისთვის მარტო საკვები კი არა, გასართობიც არის: იგი უკვე ნაკლებად დაინტერესდება სხვა საგნებით — საწოლქვეშ შეურილი ფეხ-

საცმელებით, ძირს ჩამოშვებულ გიდის გადასაფარებლით... მაშინვე, ნაკლებად შეაწუხებს შინაურებს. ოღონდ ძვალი არასოდეს არ მისცე უშმოზე, თანაც — მაგარი, გამოხარული, ზედ ხორცის ნატამალიც რომ არა აქვს. ასეთი ძვალი მხოლოდ დაუნაგვიანებს კუჭს.

ძაღლი ხალისით მიირთმევს შესქელებულ, მაწიერ წვნიანს. კარგი იქნება, თუ შვრიის ფაფას მოუხარშავ რძესა და ხორცის ნახარშიში. მიაჩვიე ლეკვი ნედლი სტაფილოს ღრღნას. საერთოდ, უმი საქმელი ძალიან არ ვეებს შენს აღსაზრდელს. ძაღლი ხორცისმჭამელი ცხოველია და, თუმცა იგი ადამიანის გვერდით დიდი ხნის მანძილზე ცხოვრებისას ყოველგვარ საქმელს მიეჩვია, ხორცი მაინც აუცილებლად უნდა იყოს მის მენიუში. ცოტ-ცოტა თევზის ქონიც უნდა ასევე. რომ ლეკვს რაჭიტი ააშორო, რაჭიტიანი ლეკვი შეიძლება ძლიერ მა-




კომონდორი ნაგაზი


ხინჯი გაიზარდოს. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ნედლი ბოსტნეულის ჭმევასაც. ერთი სიტყვით, ძაღლი რომ ჩანმრთელი გაიზარდოს, ნაირნაირი საქმლით უნდა კვებო.

ლეკვს ყოველდღიური ჭამისათვის თავისი ჯამი უნდა გამოუყოფე ყველას ალუმინის ჯამი სჯობს. მეორე ჯამი წყლის დასაღვება დასჭირდება. ამ ჯამში დღე და ღამ უნდა იდგეს წყალი, რომ, როცა უნდა, მოიკლას წყურვილი. წყალი ჯამში ყოველთვის ახალი და სუფთა უნდა იდგეს. ჭამას რომ მორჩება, ჯამი უნდა აიღოს, მაშინაც კი — თუ ლეკვმა საქმელს რატომღაც პირი არ დააკარა (ჩვეულებრივ, ეს მისი მოწმობს, რომ ლეკვი უკვე გამოძლარია, ან, შეიძლება, თავს კარგად ვერა გრძნობს. დააკვირდი).

შინ მოყვანისთანავე ლეკვს საღმე კუთხეში თავისი საცხოვრებელი ალაგი მიუჩინე, დაუბე აქ საგებელი და სიტყვებით: „ადაგოლზე, ადგილზე!“ — ზედ დახვი. რამდენჯერმე ასე რომ გაუმეორებ. მას უკვე მშვენიერ-



მეფეპარი



შოტლანდიური ნაგაზი



ირლანდიური სმბარი

რად ეცოდინება თავისი მუდმივსამყოფელი.

ოღონდ ერთი რამ არის: ნუ აიძულე, სულ მუდამ კუთხეში იჯდეს, მიეცი მოძრაობის, ხტუნაობის თავისუფლება, თორემ ძაბუნი ვაიზრდება. ნურც დაბმულს იუოლიებ ოთახში, რომ შენი სახლი მისთვის ციხედ არ გადაიქცეს.

ლეკვს სათამაშოებიც სჭირდება: ხის საგორავები, ძველი ბურთი და ა. შ. ამ სათამაშოებით ზედიზედ რამდენიმე საათს შეიქცევეს თავს და ნაკლებად გაგებლანდებათ ფეხებში შენ და შენაინებს, ნაკლებ შეუფხვს ცხვირს უველგან.

მიაჩვიე ლეკვი სისუფთავეს. როგორც კი შენიშნავ, რომ ერთ ადგილზე ტრიალებს, იატაკს უნსავს და შიგადაშიგ ჩაქდება ხოლმე, მაშინვე გარეთ გაიყვანე. თავისი ალავის დასველებაც რომ მოასწროს, მაინც გაიყვანე. თანაც დატუქე — მსუბუქად სილა შემოაჭარი, არკი სცემო. ოთხი თვისა უკვე მიეჩვევა წესრიგს და არ დასვრის ბინას.

ცოტა წამოიზრდება თუ არა, ყოველდღე გაასეირნე. ოღონდ მანამდე აუცილებლად შეაჩვიე საბელსა და საყელურს, რომ ქუჩაში არ ახტეს დახტეს და არ გაიგუდოს. შეაბი საყელური, მერე შეხსენი, ისევ შეაბი და ა. შ. რომ მიეჩვევა, მერე ყურადღებასაც არ მიაქცევს. შინ რომ მიიყვან, საყელური მოაშორე — კისერი არ გაქუცოს.

დღეში რამდენჯერმე უნდა გაასეირნო. რაც უფრო ბევრჯერ გაასეირნებ, მით უკეთესია. გაიქეცი ხოლმე მასთან ერთად, გასწრებაზე — ლეკვი მაშინვე ჩაებმება თამაშში, ირბენს შენს ირგვლივ, იყეფებს და ბოლოს, შინ რომ ძლივს მილასლასდება, მაშინვე ძილი მოუნდება. ასეთი ვარჯიშის მერე ყოველთვის კარგი მადა ექნება, უფრო ჩქარა, უფრო ჰარმონიულად გაიზრდება.

დილით, ადგომისთანავე, წაიყვანე სასეირნოდ. ნუ დაგეზარება, ნუ აიძულე დაბრუნების შემდეგაც. სკოლიდან დაბრუნების შემდეგაც. დაძინების წინაც აუცილებლად გაასეირნე. ნუ გაუშვებ ქუჩაში მარტოკას:

შეიძლება მაწანწალა ძაღლების დამპყრნი წააწყდნენ და მაშინ მზვიდობით, ერთგულთა მეგობარო!.. დიდ ქალაქში, გარდა ამისა, ვაითუ უბედური შემთხვევის მსხვერპლიც გახდეს: ან ავტომობილმა გაიტანოს, ან ტრამვაიმ...

ლეკვის გასეირნებას ნუ მიანდობ მეზობელს, ამხანაგს. გახსოვდეს — გასეირნება მხოლოდ მისი ჩანმრთელობისათვის როდია აუცილებელი. გასეირნებიდან გასეირნებამდე თქვენი მეგობრობა უფრო და უფრო მყარდება. საერთოდ, ძაღლს ერთი პატრონი უნდა ჰყავდეს. ძაღლი ოჯახში უველას ცნობს, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი მისთვის უველაზე მთავარი პიროვნებაა. ეს მთავარი პიროვნება, რომელსაც ძაღლი თავის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დაიცავს, შენ უნდა იყო — მისი პატრონი. მბრძანებელი.


გასეირნებისას ნუ მისცემ იმის საშუალებას, რომ უცხო ძაღლები დასუნოს, რადგან შეიძლება ამ დროს რაიმე გადამდები სნეულება შეეყაროს.

შენი აღსაზრდელი სუფთად უნდა გაყავდეს. მეჩხერი სავარცხლით ყოველთვის დავარცხნე (ეს კანისათვის საჭირო პროცედურაა). დროდადრო თბილი წყლითა და საპნით დაბანე. ოღონდ საჭიროებისდა მიხედვით: თუ დაისვარა — დაბანე, თუ არა და, ნუ დაბან, ზედმეტი დაბანვის შედეგად ბეწვი სითბოს ცულად ინახავს. ბზინვარებას კარგავს. ზაფხულობით, ცხელ ამინდში, კარგია თუ აბანავებ. ბანაობა ერთდროულად ჰიგიენაც არის და ფიზიკური ვარჯიშიც.

რწყილებს ადვილად მოაშორებ, თუ წყალში ჩაუმატებ კრეოლინს ან ლიზოლს (აფთიაქში იყიდება) და იმით დაბან, კარგი საშუალებაა დუსტიც — ბალდინჯოს წამალი. დააყარე იგი ბალანზე, მერე შენთან ერთად არბენინე, რომ რწყილები გადმოიბერტყოს.

სუფთა ცხოველი თვალგასახარად ბზინავს, ბეწვი ისეა გაწყობილი, რომ ვერსად ნახავ აბურძგნულ ადგილს. სუფთა და ჩანმრთელ ძაღლს ქეცი არ ემართება.

(დასასრული იხილავ)



ვოქსბარიერი



პაპა და შვილიშვილი

— აბა, რამდენი იქნება, ერთს რომ ორი მიეუმატოთ? — ჰკითხა პაპამ შვილიშვილს.

— სამი. — მიუგო სწრაფად პატარამ.

— ყოჩაღ, სწორია! — წამოიძახა სიხარულით პაპამ. — ამისათვის სამ კანფეტს მიიღებ.

— ეგ რომ მცოდნოდა, ხომ ზუთს ვიტყვოდი! — ჩაიბურღლუნა უკმაყოფილოდ ბიჭუნამ.

გამოფენაზე

ორი ამხანაგი ცნობილი მხატვრის სურათების გამოფენას ათვალეობდა. მხატვრის ავტოპორტრეტის წინ რომ შეჩერდნენ, ერთი დაეჭვდა: აბა ამას თვითონ როგორ დახატავდა, ხელები ჯიბეებში უწყვიათ.

პრემიერბაშლი მოთხრობა

ნიუ-იორკის ერთმა გაზეთმა კონკურსი გამოაცხადა თანამედროვე თემის ამსახველ ყველაზე მინიატურულ მოთხრობაზე. პრემია შემდეგ მოთხრობას მიენიჭა: „ავტობუსში ჭაბუკმა ადგილი დაუთმო მოხუც ქალს. ქალი უჩვეულო გრძობამ ისე ააღელვა, რომ გული შეუღონდა. როდესაც მოსულეობდა, ჭაბუკს მადლობა გადაუხადა და კვლავ გონება დააქარა“.

ახსნა-ბანმარტბა

— გუშინ პირველად ვიყავი მუსიკ-პოლში. — უთხრა ერნამ ამხანაგს.

— რა არის მუსიკ-პოლი? — ჰკითხა ამხანაგმა.

— ფრიად საოცარი რამ. — მიუგო ერნამ. — არც ერთმა სიმღერა არ იცის და ყველა მღერის.


როგორც ატლასში

— ახლახანს დაბრუნდი იტალიიდან? — ჰკითხა ოტომ ამხანაგს.

— ჰო, რაო მერე?

— მითხარი, გეთყვა, იტალიის მართლა ჩექმის ფორმა აქვს, როგორც ატლასშია?

გერმანულიდან თარგმნა
შ. ამირანაშვილმა.



ქართული მოყვარულები

თბილისში, პლახანოვის პროსპექტზე არის ერთი სახლი, რომლის ოთახებშიც დიდიდან საღამომდე არ წუდება ბავშვების ურჩაბული. ეს ამერიკავასიის რკინიგზის პიონერთა სახლია. ვეებერთელა დარბაზში ქართულ ცეკვას სწავლობენ: მეორე ოთახში კი ჩანაფიქრის ქალაქდღუზე გადატანას ცდილობენ ნორჩი მხატვრები. ხელგარჯილობის წრესაც ბევრი წევრი ჰყავს.

სახლის მეორე სართულის ერთი ოთახიდან ჩამიჩუმიც არ ისმის, თუმცა ოთახი უოველოვის სავსეა ბავშვებით. მაგიდებს შემომსხდარი პიონერები გაფართოებულ თვალეებით დასცქერიან ქადრაკის ფიგურებს.

ქადრაკის ეს წრე ოცდაოთხ წელს ითვლის. სწორედ ამ წრეში გაიარა ქადრაკის უველა დაწუებითი საფეხური პირველმა ქაროველმა დიდოსტატმა ბუხუტი გურგენიძემ.

ამ წრეში აღიზარდნენ ოსტატობის კანდიდატები ზ. მიქაძე, მ. აივაზაშვილი, ა. წერეთელი, ნ. ჩახოიანი და სხვები.

უფროსი მწვრთნელი მ. შიშოვი, მწვრთნელები: გ. რუხაძე და ს. ცერცვაძე ხშირად აწუობენ შეჯიბრებებს, როგორც წრეში გაერთიანებულ მოქადრაკეებს შორის, ასევე სხვა ქალაქებისა და რაიონების მოსწავლე მოქადრაკეთა შორისაც.

ხშირ შეჯიბრებებს. ეტიუდებისა და ამოცანების ამოხსნას. მწვრთნელების მიერ საინტერესო პარტიების გარჩევას დაოსტატების გზაზე მიჰყავს პიონერები, რომლებიც სასახლის წრეში ქადრაკის სიუვარულმა მოიყვანა.

რ. შირაძე.





ბს წლამდე მინც ცოცხლობენ



მოსწავლის ჩანთა XX საუკუნის გოგოს

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოიგონეს მოსწავლის ჩანთა, რომელიც XX საუკუნის მიწურულისათვის არის გათვალისწინებული. იმ დროს მთელ მსოფლიოში აურაცხელი ავტომობილი იქროლებს.

მოსწავლის ეს ჩანთა ძალზე კაშკაშა ფერით არის შედგენილი, საკეტს კი სპეციალური, შუქის ამრეკლავი ნივთიერება აქვს წასმული. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ამ ახალი ჩანთის წყალობით ნაკლები საფრთხე შეექმნებათ მოსწავლეებს სკოლაში წასვლისა და შინ დაბრუნებისას.

ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა დიფმა ამას წინათ ეკვადორში აღმოაჩინა სოფელი ვილკამბო, რომლის ყველა მცხოვრები, სულ ცოტა, ას წლამდე მინც ცოცხლობს. მართალია, ბევრი ადამიანი აქ ბავშვობაშივე კვდება, მაგრამ ვინც ცოცხალი რჩება, ის დიდხანს ცოცხლობს.

ვილკამბოში, ჩინებული მთის ჰავაა; თანაც ეს სოფელი ცივილიზაციის ყოველგვარ სიკეთეს მოწყვეტილია. ადგილობრივი საკვები ძირითადად შაქრის ლერწმის, ღობიოსა და ხილისაგან შედგება. სწორედ ამის გამოც არის, რომ ვილკამბოს საშუალო ასაკის მკვიდრის სისხლი ორჯერ უფრო მაღია, უკეთესია, ვიდრე იმავე ასაკის ამერიკელისა.

ვილკამბოს უხუცესი მცხოვრები ხოსე დ. ტოლედო 144 წლისაა. მისი დაბადების თარიღი გუგუშობდნენ გამოკვლევით დადგინდა. ტოლედო ახლაც კი წუთს არ ჰკარავს უქმად; ყოველდღე, დიდიდან საღამომდე, თავის თამბაქოს ნაკეთში მუშაობს.

შესტამის სპეციალისტი

ლონდონის ერთ-ერთი ფირმის მრჩეველი უორენ ლემბი უკვე ოც წელზე მეტია შესტებს სწავლობს. გამოკვლევებისა და დაკვირვებების შედეგად მან უცხტები სამ ძირითად ტიპად დაყო. მისი აზრით მორიზონტალური უცხტები დამახასიათებელია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც გარემოსთან

ადვილად ამაყრებენ კონტაქტს ჩინის უსსკ ლაპარაკის დროს წინ და უკან ირრრრრრ, ეგრეთ წოდებული საქმიანი ხალხია; ვერტიკალური უცხტები, როგორც უორენი ირრრრრრრრრრ, ფიცხ ადამიანებს ახასიათებ.

დაბნინებული გადაწყვეტილება

ამ ცოტა ხნის წინათ ბრიტანეთის პარლამენტმა გადაწყვიტა, გააუქმოს 1887 წელს მიღებული კანონი. ამ კანონის თანახმად, მკაცრად, თვით კოცონზე დაწვითაც კი ისჯებოდა ყველა, ვინც ამინდის წინასწარმეტყველებას შეეცდებოდა. ამერიკიდან ინგლისელ მეტეოროლოგებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ.



ბაზალტის ქალაქი



უკრაინის ტერიტორიაზე ოდესღაც ბევრი მოქმედი ვულკანი იყო. გეოლოგებმა აღმოაჩინეს მათი კვალი — ბაზალტის საბადოები.



სკორბი
დაუმაჯავთ დილის
გამამსნავებელ
პარჯუნს...



ურიგო არ იქნება, თუ დილის გამამხნევებელ ვარჯიშს დაუმაჯავთ რამდენიმე საგანგებო მოძრაობას, რომლებიც ძალზე უწყობს ხელს ცურვაში დაოსტატებას.

I. საწყისი მდგომარეობა — ძირითადი დგომი. თვლაზე „ერთი“ — აიწიე თითის წვერებზე, გამართული მარცხენა მკლავი გასწიე განზე და

ზევით, ხელისგულით წინ. თვლაზე „ორი“ — გააკეთე იგივე მოძრაობა, ოღონდ ახლა მარჯვენა ხელით. ასწიე ისე, რომ ცერები ერთმანეთს შეახლო და ჩაისუნთქე. თვლაზე „სამი-ოთხი“ დაუშვი მარცხენა მკლავი, შემდეგ — მარჯვენა. დაუბრუნდი საწყის მდგომარეობას და ამოისუნთქე. გაიმეორე 6-8-ჯერ.

II. საწყისი მდგომარეობა — ძირითადი დგომი. თვლაზე „ერთი-ორი-სამი-ოთხი“ გააკეთე ერთდროულად წრიული მოძრაობა უკან გამართული მკლავით. თვლაზე „ხუთი-ექვსი-შვიდი-რვა“ — იგივე მოძრაობა, ოღონდ ახლა წინ.

ამ ვარჯიშების შესრულებისას წინ უნდა იცვი-

რო და მკლავები რაც შეიძლება დიდი ამპლიტუდით ამოძრაო.

III. საწყისი მდგომარეობა — ტანი წინ დახარე, მარცხენა ხელი მაღლა, ხელისგული წინ მარჯვენა ხელი — წელზე. ხელები რიგრიგობით წრიულად ამოძრავე, ისე, როგორც ამას ცურვის დროს აკეთებენ. თვალზე „ერთი-ორი-სამი-ოთხი“ თავი ასწიე და წინ გაიხედე. ჩაისუნთქე. თვლაზე „ხუთი-ექვსი-შვიდი-რვა“ თავი დახარე და ამოისუნთქე. გაიმეორე 4-6-ჯერ.

IV. საწყისი მდგომარეობა — ზიხარე. იატაკს იდაყვებით ეურდნობი. გაჭიმულ ფეხებს მაკრატელივით ამოძრავებ ზევით-ქვევით. ტერფებს

თურმე თევზაზიცი უხადლობანი...

ჩვეულებრივ, ბაზალტი მშენებლობისათვის გამოიყენება. კივტილმა სპეციალისტებმა კი მისი სხვა საქმეში გამოყენების შესახებ მოაგნეს. ბაზალტის ლოდს ელექტროდუმელოში ადნობენ, გამდნარ მასას მერე უწყვირდეს ნახვრეტებში უშვებენ. მიიღება მყარი, თანაც ელასტიკური ბოქო, რისგანაც ტექნიკური ქაღალდის ფურცლებს აკეთებენ. ეს ქაღალდი არ ღებება, მას წყალი ვერაფერს აკლებს და 800 გრადუსამდე სიცხეს უძლებს.

ზარის ნაცვლად — ფლეიტა

ამერიკის შერატებულ შტატებში იყიდება ტელეფონის აპარატები, რომლებიც (კონსტრუქტორთა მტკიცებით) უნდა გაუფრთხილდნენ ადამიანის ნერვებს. ჩვეულებრივი ზარის ნაცვლად, ამ აპარატიდან ან ბაჟყის ყიყინი ისმის, ან ბედურის უივივი. ზოგიერთი აპარატი კი ფლეიტის თუ კლარნეტის სასიამოვნო ხმას გამოსცემს.

პოლანდია ფართობდება

უახლოესი 50 წლის განმავლობაში პოლანდიის ტერიტორია ერთნახევარჯერ გაიზარდება. პოლანდიელებს განზრახული აქვთ მანათის კვადრატული კილომეტრი მიწა გამოსტაცონ ზღვას. ამ მიწის ერთ ნაწილზე ქალაქები აშენდება, ნაწილს კი სახანავსათესად და საძოვრებად გამოიყენებენ.

ცნობილი ანდაზა: თევზა თქვა, სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წულითა მაქვს სავსეო. ან კიდევ: თევზით მუნჯი-აო, იტყვიან ხოლმე. მართლაც მუნჯია თევზი?

ჩინეთის სანაპირო წყლებში ბინადრობს ქამბალას ნაირსახეობა — ცინონგლოსუსი, რომელიც ისეთ ბგერებს გამოსცემს, გეგონება ზარი რეკავსო. არის ზოგიერთი თევზი, რომელიც „დოლს უკრავს“, მათ მედოლე თევზებს ეძახიან. მათი მრავალხმიანი გუნდის გუგუნე შეგვიძლია მოვისმინოთ ზაფხულისა და შემოდგომის სადამოს შავი ზღვის სხვადასხვა ალაგას. დიდი უბედები არიან ზღვის მამლები, რომლებსაც შეუძლიათ დაუსტვიონ, იყუფონ, იგუგუნონ, იკაკონ...

ფანოშინი ცხვარი

ჩვენს ქვეყანაში თითოეულ ცხვარზე საშუალოდ სამ კილოგრამსა და 800 გრამ მატულს იღებენ წელიწადში. საქვშირო სასოფლო-სამეურნეო მიღწევათა გამოყენების სექცხვარეობის პავილიონში კი შეგიძლიათ ნახოთ ცხვარი, რომელიც ყოველ პარსვაზე 20 კილოგრამსა და 600 გრამ მატულს იძლევა, რისგანაც შვიდი მამაკაცის საკლტუმე ქსოვილი მოიქსოვება.

შეღებნილი ხეები

იმერკარპატებში რამდენიმე წელია, ხის მტრების საცდელ შეღებვას აწარმოებენ.

მდგრადი საღებავი პირდაპირ მერქანზე შექვავეთ ფესვებთან. ამის შემდეგ წაღება ვი თანაბარზომიერად ვრცელდება მთელ ხეში და მერქანს თავის ფერს აძლევს. საავჯო ფაბრიკაში მიტანილ ასეთ მერქანს მხოლოდ გაპრილებდა უნდა და მისგან პირველხარისხოვანი ავეჯი მზადდება.



ბავშვის სიცხის საზომი

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოიგონეს ბავშვის სიცხის საზომი, რომელიც მშობლებში ძალიან პოპულარულია. იგი პლასტმასისაგან არის გაკეთებული და ჩაის კოვზის ფორმა აქვს. შიგ მოთავსებულია თერმომეტრი. საქმარისია ბავშვმა ეს „კოვზი“ პირში ერთი წუთით გააჩეროს, რომ გავიგოთ ტემპერატურა. აბა რომელი ბავშვი იტყვის უარს ამ კოვზის პირში ჩადებაზე. მით უმეტეს, თუ მას რაიმე ტბილი ექნება წასმული?

შორის მანძილი 30-40 სანტიმეტრი უნდა იყოს,



სუნთქვა — თანაბარი. ივარჯიშე 10-15 წამს, გაიმეორე 1-6-ჯერ.

V. საწყისი მდგომარეობა — ზურგზე წევარი.



ხელები უკან გაქვს გაჭიმული. თვლაზე „ერთი-ორი“ ფეხებს მუხლებში მოხრი, ხელებსაც მოხრი

და მაგრად მიიჭერ მკერდზე, ერთდროულად თავსაც დახრი და ნიკაპს მკერდზე მიიჭერ. ამოისუნთქავ. თვლაზე „სამი-



ოთხი“ დაუბრუნდი საწყის მდგომარეობას და ჩაისუნთქე. გაიმეორე 5-6-ჯერ.




VI. საწყისი მდგომარეობა — ხელებზე დაყრდნობილი წევარი, მუხლებით იატაკს ეყრდნობი. თვლაზე „ერთი-ორი“ ხელებს ხრი და მკერდით

იატაკს ეხები. ჩაისუნთქავ. თვლაზე „სამი-ოთხი“ ხელებს გამართავ და ამოისუნთქავ. ვარჯიშის დროს თავი აწეული უნდა გქონდეს.

VII. საწყისი მდგომარეობა — ძირითადი დგომი. თვლაზე „ერთი-ორი“ თითის წვერებზე ჩაქევი, ხელები გვერდიდან მაღლა ასწიე, ხელისგულეები წინ გაიშვირე და ცერები ერთმანეთს მიაქირე. ამოისუნთქე. თვლაზე „სამი-ოთხი“ დაუბრუნდი საწყის მდგომარეობას, ჩაისუნთქე. ვარჯიშის დროს წინ იყურე.



VIII. ადგილზე ცერებაზე ბტომა. თვლაზე „ერთი“ აბტი და თავს ზემოთ ტაში შემოჭკარი და ჩაისუნთქე. თვლაზე





საბჭო

წიგნები ლენინმა
ბავშვებისა და
ახალბაზრდებისათვის

დიდი ბელადისა და მას-
წავლებლის ვ. ი. ლენინის
ცხოვრებაზე ბევრი წიგნი
დაწერილა. ამ წიგნებმა
უდიდესი როლი ითამაშეს
მოზარდი თაობის კომუნის-
ტური სულიკვეთებით აღ-
ზრდასა და ახალი, საბჭო-
თა ადამიანის ჩამოყალიბების
საქმეში. ლენინზე
დაწერილი ყველა წიგნი
მოზარდ თაობას უღვიძებს
ინტერესს, რომ ისწავლოს
და იმუშაოს ლენინურად,
უყვარდეს საბჭოთა სამშობ-
ლო, ისე როგორც ილიჩს
უყვარდა.

ამ წიგნში თქვენ გაეც-
ნობით ქართულ ენაზე გა-
მოქვეყნებულ ნაწარმოე-
ბებს ბავშვებისათვის, რომ-
ლებშიაც ასახულია დიდი
ბელადის ცხოვრება და მო-
ღვაწეობა.

ჯანსუღ ნიჰაბაძე

ბამსიარულდი ბუხარო

პოეტი ჯ. ნიჰაბაძე მკი-
თხელის წინაშე წარსდგა
კიდევ ერთი ახალი კრებუ-
ლით. ესაა წიგნი მეგობ-
რობაზე, ჩვენს ისტორიულ
წარსულზე, ბედნიერ აწმ-
ყოზე...

„პატარა საქართველოო,
მისთვის რისხვა
ხარ უწყალო,
რა იქნებოდი ნეტაფი
უამთებო და უწყალო!“
ასე გულწრფელად უმ-
ღერის პოეტი სამშობლოს.
მის მთა-ველსა და მის
ხალხს.

პივი მფვისაშვილი

ფურცლები ჟუთაისის წარსულიდან

ქალაქი ქუთაისი არა-
ერთ უცხოელ მოგზაურს,
მეცნიერს, მწერალსა და სა-
ხელმწიფო მოღვაწეს გა-
უცვნიდა და აღუწერია.

ამ წიგნში თავმოყრი-
ლია უცხოელი მოგზაურე-
ბისა და მწერლების ცნობა-
თა ნაწილი. ავტორი ქრო-
ნოლოგიურად გადმოგვცემს
ამა თუ იმ უცხოელი მოღ-

ვაწის დროინდელი ქუთა-
ისის პოლიტიკურ, ეკონო-
მიურ და კულტურულ
ცხოვრებას.

წიგნი ძალზე საინტერე-
სოდ იკითხება.

პასილ მელიქიშვილი

დამარცხებული სიკვდილი

გამომცემლობა „ნაკა-
დულმა“ მკითხველებს კი-
დევ ერთი წიგნი მიუძღ-
ვნა სერიიდან — „ქართ-
ველები დიდ სამამულო
ომში“.

ამ წიგნის ავტორი რი-
გითი ჯარისკაცი იყო. მან
თავის შურგზე გადაიტანა
ომის მთელი საშინელება.
ვ. მელიქიშვილი დოკუმენ-
ტური სიზუსტით აღ-
წერს იმ უმძიმეს დღეებს,
საბჭოთა ტყვეებს რომ და-
უდგათ გერმანელთა სა-
კონცენტრაციო ბანაკებში.
თქვენ ამაზე ბევრი წაგი-
კითხავთ, უფრო მეტი აღ-
ბათ ეკრანზეც გინახავთ,
მაგრამ ურიგო არ იქნება
კიდევ ერთხელ გაისვენოთ,
თუ რა დიდი მსხვერპლის
ფასად დაუჯდა ჩვენს სამ-
შობლოს გერმანელ ფაშის-
ტებზე გამარჯვება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საბჭო

30 ათასი

1896 წლის ივნისში პეტერბურგში
ერთი უცნაური შესახედაობის მოგზაური
შემოვიდა. ტანად მაღალი იყო, ხმელ-
ხმელი, ჭადარა წვერ-ულვაში მოეშვა,
ფეხზე შემოცვეთილი ჩექმები ეცვა და
შინაქსოვი შალის, მტფრისაგან ჩანაც-
რისფერებულ ტანისამოსზე ეტყობოდა,
რომ ერთი-ორი დღე არ უნდა ყოფილი-
ყო გზაში.

ბერიკაცი დინჯად მიაბიჯებდა დედა-
ქალაქის აჟრამულბულ ქუჩებში და
თან ქვაფენილზე მიაკაკუნებდა თავის
ხელჯოხს. გზადაგზა დიდხანს ჩერდებო-
და ძველებურ სახლებთან, ძველებთან,
პროსპექტებისა და მოედნების სახელ-
წოდებებს ინიშნავდა.

გზაჯვარედინზე ეს უცნაური მოგზაური
გოროდოვოიმ შეაჩერა და საბუთი მოს-
თხოვა.

მოგზაურმა საბუთი გაუწოდა, რომე-

ლიც იუწყებოდა: ტამბოვის გუბერნიის
გლეხი თევდორე მირონოვი.

— მე მოგზაური ვარ, — აუხსნა მან
წესრიგის მკაცრ დამცველს, — ვლადი-
ვოსტოკიდან მოვდივარ, საცაა სამი წე-
ლიწავდი გამიხდება, რაც ასე მოგზა-
ურობ.

გოროდოვოიმ უნდობლად გაიქნია
თავი და ფრიად გულწრფელად ურ-
ჩია — ჩემი პოსტისაგან მოშორებით
იმოგზაურეო, თან დასძინა: „ძმობილო,
მიფრთხილდი, თორემ იქ მიგაბრძანებ,
სადაც ჯერ არსო“.

მირონოვმა პოსტის გოროდოვოის
ჭემმარტი სიმართლე უთხრა, ის მართ-
ლაც ვლადივოსტოკიდან მოდიოდა, ზედ
ზღვა-ოკეანის ნაპირიდან და გზადაგზა
დიდი რუსეთის მიწა-წყალს ეცნობოდა.
გლეხის ბიჭს, თევდორე მირონოვს,
ყმაწვილობაშივე ჩაესახა გულში მოგზაუ-


რობის უსაზღვრო სურვილი. თავის პა-
ტარა ბიჭობაში ამ დაუოკებელ წყურ-
ვილს ელატომის მაზრაში წინ და უკან
სიარულით იკლავდა. ხან ჯოგს ჩამორ-
ჩენილ კვიცს ეძებდა, ხან მარილის სა-
ყიდლად მიდიოდა ქალაქს, ხან კი, ისე,
უმიზეზოდ დაადგებოდა ხოლმე გზას.

ზაფხულის ღამეებში, როცა ცხენებს
მწყემსავდა, თევდორე შორეულ და უც-
ნობ მხარეებზე ოცნებაში იყო გადავარ-
დნილი.

სიბნელე მკვრივი კედელივით ჰქონდა
შემოკრული კოცონს. ამ „კედლის“ იქით
ბორცვებიანი მდელი იწყებოდა, ამ მდე-
ლოს იქით კი — თვალუწვდენელი და
საოცნებო სივრცე.

ნიავე-ქარის ქროლვაზე ავიზგიზებული
ცეცხლის შუქი სიბნელეში გამოსხვეულ
ბუნდოვან ლერწმნარს ანათებდა. მწყემ-
სი თავის ბიჭურ ფანტაზიას შორს მიჰ-
ყავდა.

შორეული მოგზაურობის ხალისმა მი-
რონოვი ფლოტში მიიყვანა. თავისი მეზ-



ზეთოვანი საღებავებით შეღებილი კარ-ფანჯარა თუ გინდა კარგად გააპრი-
ალო, თბილ წყალში ნი-
შადურის სპირტი შეუ-
რიე (ლიტრ წყალში ერ-
თი ჩაის კოვზი) და იმით
გარეცხე. სოდა და საპო-
ნი საღებავს პეწს უკარ-
გავს, ნიშადურის სპირტი
— კი აპრიალეებს. თუ ნი-
შადურის სპირტი არა
გაქვს, ძმარში დასველე-
ბული ნახერხიც გამოდ-
გება.

ბაწარი ან ტომარა
აღარ დაღებება თუ მუხის
ნახარში დაასველებ. (ნა-
ხევარი კილო ქერქი, ერთ
ვედრო წყალზე).

თუ ფარდაგი ჭვარტ-
ლით დაისვარა, ლაქას მა-
რილი მოაყარე და შემ-
დეგ გაწმენდა აღარ გა-
ვიჭირდება.

თუ კასრს შმორის სუ-

ნი აუვიდა, აილე 2-3 კი-
ლოგრამი ჩაუქრობელი
კირი, დაასხი ცხელი წყა-
ლი და 2-3 საათის შემ-
დეგ კასრი ამ წყლით გა-
მორეცხე. მერმე სუფთა
წყლით გამოასახმარე და
სუნი გაუქრება.

გარდერობისა და ყუ-
თების კარები ადვილად
რომ იღებოდეს, მათი კი-
დეები გასაბნული ჩვრით
გაწმინდე.

ხუთი წუთი საკმარი-
სია, რათა ტურისტული
ლაშქრობის დროს ორმო
და პოლიეთილინის ნა-
ქერი პატარა აუზად გა-
დააქციო.

ქიკარტი და ლურსმა-
ნი იოლად შეცვლის სა-
განგებო ფართოთავიან
ლურსმანს.

წებოიან ტუბოს ხრახ-
ნიან ყელს ხუფი ხში-



რად ეწებება ხოლმე. თუ
შედ მანქანის ზეოს, ტა-
ოტს ან ვაზელინს წა-
უსვამ, წებო ხუფზე
პირს ველარ მოიკიდებს.

ჩაამაგრე პერილონის
ნაქერი ძაფის კოკის ნახ-
ვრეტში და ნემსის შესა-
ნახსს უკეთესს ველარც
ინატრებ.

სახურავზე მიდგმული
კიბე რომ არ დაგიცურ-
დეს, მეორე მხრიდან
ასეთი ფიცარი დაუტა-
ნე და ლურსმნით დაა-
მაგრე.

სარეცხის სამაგრი ფო-
ტომოყვარულს შეუძლია
ასე გამოიყენოს.

მესრის მიჭედებისას
არ დაგავიწყდეს — ჰო-
რიზონტალურ ლატანს
ზედა პირი დაქანებული
უნდა ჰქონდეს, რათა სი-
ნესტემ არ დააღპოს.



კურსი ფაჩით

ღვარობის დროს მან მრავალი ზღვა
და ოკეანე გადასცურა, ერთხელ მონაწი-
ლეობაც მიიღო დედამიწის გარშემო შე-
მოცურებაში. ხოლო როცა ხანდაზმულო-
ბის გამო მეზღვაურობას თავი გაანება,
ახლა ხმელეთზე განაგრძო თავისი საყ-
ვარელი საქმიანობა და ხელი მიჰყო ფე-
ხით მოგზაურობას. მარტო დადიოდა,
არ იცოდა რა იყო დაღლა და შიში.
ორი წლის მოგზაურობის მერე, თადარი-
გის მეზღვაური, პეტერბურგს მოადგა.

მირონოვმა დედაქალაქში ცოტახანს
დაჰყო. გულმა ისევ შარაგზებისაკენ გა-
უწია. ამჯერად მან სამხრეთისაკენ აიღო
გეზი. გადაიარა რუსეთის მთელი ევრო-
პული ნაწილი, მიდიოდა ორენბურგის
უწყლო ველის გზებით, ეწვია ტაშკენტს,
კოკანდს და პამირის გოლიათ მთაგრე-
ხილისაკენ იბრუნა პირი. იოლი არ იყო
ამ „მსოფლიოს სასურავის“ ბილიკებსა
და კლდის კორწოებზე სიარული, მაგ-
რამ მამაცმა მოგზაურმა თავისი ერთგუ-
ლი ხელჯოხით ერთმანეთზე მიყოლებით

გადალახა ხუთი თოვლიანი უღელტეხი-
ლი და ამუ-დარიასთან გამოვიდა.

არანაკლებ მძიმე და სახიფათო იყო
მოგზაურობა შუა აზიაში, აქ მისი მარშ-
რუტი ასეთი იყო: სარაი-ჩანჯოუ-ბუ-
ხარა. მოგზაურს სწირად ეძინა ცისქვეშ,
უდაბნოს ჯერ ისევ გაუნელებულ ქვიშა-
ზე, ან სხვადასხვა ჯურის მოქარავენ
ხალხით გამოჭედილ კარავში. სადაც კი
დაჰყო, გულმოდგინედ შეისწავლა რუსე-
თის ველებზე დასახლებული ხალხის
ყოფა-ცხოვრება, ადათ-წესები, ნახული
და გაგონილი დღიურში შეჰქონდა.

თვედორე მირონოვმა ეს მოგზაურო-
ბაც რომ მოათავა, მაშინვე ახალ გზას
დაადგა. ამჯერად მან თავის მშობლიურ
სოფელ მემუკოვიდან პორტარტურამდე
მოგზაურობა გადაწყვიტა. იქიდან მა-
შინ რკინიგზა გაჰყავდათ მანჯურიისა-
კენ.

მირონოვი პორტარტურიდან ზღვით
იაპონიაში გაემგზავრა, იქიდან კი კვლავ
შორეულ აღმოსავლეთში და ციმბირში

გადმოვიდა, — ტაიგის ამ ჯერ კიდევ
უცნობ მხარეში.

30 ათას ვერსზე მეტი გაიარა გულად-
მა მოგზაურმა გლეხმა მირონოვმა. მარ-
თალია, თავის დროზე ის უცნობი დარ-
ჩა, მაგრამ გამძლეობისა და ამტანიანო-
ბის ისეთი თავისებური რეკორდი დაამ-
ყარა, რომლის მსგავსი არ ახსოვს სპორ-
ტის ისტორიას.

ი. ზორისოვი.



თებერვალი

რომაული კალენდარით თებერვალი („ფებრუარიუს“) წლის უკანასკნელი თვე იყო. ამიტომ იგი „ცოდვილთა“ მონანიებასა და საქოველთაო „განწმენდის“ უამად ითვლებოდა. (თავდაპირველად „დიეს ფებრუარიუს“, ანუ, დღე განწმენდისა ერქვა. იმ დღეს, როცა იწყებოდა დიდი დღესასწაული) ეს დღესასწაული ლუპეკს-ველ-მინდვრის, ტყის, მწყემსთა და ცხოველთა მფარველი ღვთაების საპატივცემლოდ იმართებოდა, ამასთან, სრულდებოდა საგანგებო რიტუალიც, შემდგომ იმ დღის სახელწოდება თვემაც მიიღო.

ქურუმში ორ ჭაბუკს შუბლზე შიადებდა სამსხვერპლოს სისხლით განბანილ დანას, შემდგომ სისხლის ლაქებს რძეში დასველებული მატყლით მობანდნენ. მსხვერპლად შეწირულ ცხოველთა ტყავისაგან, ქურუმები იმწოთსვე თასმებს აჭქნიდნენ.

სალოცავის ირგვლივ დარბოდნენ მლოცველებს გამალებით სცემდნენ, ისინი კი, სიამოვნებით უშვერდნენ ზურგს.

მოგვიანებით, ოდნავი სახეშეცვლილი სახით ეს სიტყვა დამკვიდრდა უველა იმ ერის ლექსიკონში, რომლებიც იულიანურ, შემდგომ კი გრიგორიანულ კალენდარს იყენებდნენ.

თებერვალში ინტენსიურად იზრდებოდა დღის ხანგრძლივობა, შესამჩნევად თბება. გაიხსნეთ ქართული ხალხური თქმა. „თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო“. ბუნება ზამთრის ძილისაგან იღვიძებს.

საშუალო თვიური ტემპერატურა თბილისში პლუს 2,3 გრადუსია. მაქსიმალური — პლუს 20 (1901 წელს), მინიმალური — მინუს 14 (1928 წ.). ირკუტსკში: საშუალო — მინუს 35,8. მინიმალური — მინუს 64 (1891 წ.), მაქსიმალური — მინუს 8. (1932 წ.). აშხაბადში: საშუალო — პლუს 3,8. მაქსიმალური — პლუს 29 (1895 წ.), მინიმალური — მინუს 26 (1900 წ.).

ს ა კ ი ე ბ ე ლ ი

არაგვი — ხალხის სამსახურში (რეპორტაჟი ხუთწლედის მშენებლობიდან)	1
მერაბიშვილი ე. — მატარებლები დასავლეთისკენ მიდიან (მოთხრობა)	3
აბულაშვილი ა. — ისევ მოგვიხვალ (ლექსი)	10
ჩხიკვაძე ვ. — ტყე; ბებიანები (ლექსები)	10
ტოპრაკაშვილი ე. — ბუღაშის აღება (მოთხრობა)	11
მუჭამედჯან რაჰიმ — ჰომნი თავის უფლების არმიას (ლექსი, თარგმნა გ. კაკაბაძემ)	13
ტაბატაძე ა. — შეხვედრა (მოთხრობა)	14
პიონერული ცხოვრების მატრიანე	14
მგელიაშვილი თ. — ასეთია დედამიწის ქერქი (წერილი)	16

ვადაქორია დ. — ყელსახვევი (მოგონება)	18
ხიკინ დისენტა — მადრონიო (მოთხრობა, თარგმნა მილიცა ჭაფარიძემ)	20
სიღამონიძე ვ. — განთქმული ფალავანი დავით ხიზამბარელი (წერილი)	22
ალზარდე მეტობარი	24
უცხოური იუმორი (თარგმნა შ. ამირანაშვილმა)	26
ჭადრაკი	27
ჯადოსნური სარკე	28
სკორტი	28
საინტერესო თემავე	30
ახალი წიგნები	30
გამოცხადებები	31
ცხრატლიტული გარეჯ.	3

გარეკანის პირველ გვერდზე ნახატი თამაზ ხუციშვილისა.

მთავარი რედაქტორი ბაბუღია ზელია.
 სარედაქციო კოლეგია: ზოთა ბაბუღია, ნოდარ გუკაბანიძე, ზოთა დევიდარიანი, სერგო კლდიაშვილი, მუხრან ლეხანიძე, ზურაბ ლეშაშვილი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამხონაძე, ბაიოზ ზოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი:
 თბილისი, ლენინის ქ. № 14.
 ტელეფონები:
 რედაქტორის—83-97-05
 93-81-81
 პ/მგ. მდივნის
 93-97-08 93-53-05
 განყოფილებების—83-97-01
 93-97-01

საქ. კმ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი ლენინის ქ. № 14.
 «ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
 Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
 გადაეცა ასაწყობად 17/XII-71 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/1-72 წ. ქალაქის ფორმატი
 60X90/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19.
 შეჯ. № 4820. ტირ. 124.065. უფ. 01712.


ფასი
 20
 კაპიტი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
 თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.



თარაზულად: 2. ქართული ოპერა; 5. მხატვრული ფილმის „ოთხის დიდი“ ფილის ერთ-ერთი გმირი; 6. ერთ-ერთი ეროვნება; 7. სივრცის საზომი ერთეული; 9. ქართველი კინომსახიობი ქა-

რეული; 11. თირაკული პოეზიის ერთ-ერთი ავტორი; 13. მოუხარშავი, ანუ; 16. სუბტროპიკული მცენარე; 17. გაჩეხილი ტყე; 18. ყვავილი; 19. გაზეთი, რომელიც 1900 წელს გამოვიდა ლენინის ხელმძღვანელობით; 20. ქალაქი გერმანიაში; 22. დიდი ქართველი მწერლის სახელი; 26. გამორჩენილი ბულგარელი მომღერალი; 27. ტბა დუშეთის მახლობლად; 28. სახელმწიფო აზიაში; 29. ძველი საბერძნეთის უდიდესი მათემატიკოსი; 30. ქიმიური ელემენტი; 33. საკვირით მოვდანი; 35. ქალის სახელი; 37. სივრცის საზომი ერთეული ძველ საქართველოში; 39. მთავარი არტერია; 40.



ლი; 11. თირაკული პოეზიის ერთ-ერთი ავტორი; 13. მოუხარშავი, ანუ; 16. სუბტროპიკული მცენარე; 17. გაჩეხილი ტყე; 18. ყვავილი; 19. გაზეთი, რომელიც 1900 წელს გამოვიდა ლენინის ხელმძღვანელობით; 20. ქალაქი გერმანიაში; 22. დიდი ქართველი მწერლის სახელი; 26. გამორჩენილი ბულგარელი მომღერალი; 27. ტბა დუშეთის მახლობლად; 28. სახელმწიფო აზიაში; 29. ძველი საბერძნეთის უდიდესი მათემატიკოსი; 30. ქიმიური ელემენტი; 33. საკვირით მოვდანი; 35. ქალის სახელი; 37. სივრცის საზომი ერთეული ძველ საქართველოში; 39. მთავარი არტერია; 40.

ელემენტის უმცირესი ნაწილაკი; 41. მღინარე საქართველოში; 42. რიცხვი; 44. ეულის დამაავადებელი ერთ-ერთი ავადმყოფობა; 45. საბჭოთა მოქალაქე; 46. ნაწილაკი; 48. დრო, საუკუნე ანუ; 49. მღინარე საბჭოთა კავშირში; 50. მღინარე განგის მარცხენა შენაკადი ინდოეთში.

რე საქართველოში; 13. საოჯახო ნივთი; 14. სიმღერის კონკურსში გამარჯვებული, ანუ; 16. მღინარე პაკისტანში; 17. მუსიკალური საკრავი; 19. კუნძული ინდოეთის ოკეანეში; 21. ქალის სახელი; 23. ლითონი; 24. პლანეტა; 25. ყვავილი; 31. მუსიკალური საკრავი; 32. კუნძული ატლანტიკის ოკეანეში; 33. გამორჩენილი ქართველი ფეხბურთელი; 34. ქალაქი იტალიაში; 36. შეიარაღებული ძალა; 37. ცელქი ანუ; 38. კაცის სახელი; 43. სადგეპი; 45. წყლის ტრანსპორტი; 47. კონტინენტი; 51. ყვავილი.

კეთილმო თურმანშიძე.

საჩხერის ილია ქვეყანის სახ. საშ. სკოლის IX კლასის მოსწავლე.

15 განსხვავება

აკ მოთავსებული ერთი სუ- განსხვავდება. აბა, თუ მო- რათი მეორისაგან 15 ნიშნით მებნით ამ დეტალებს?





შარადა

იხვე უეფვნოდ დადის, თაგვების დიდი მტერი, თუ გამოიცან, ბარემ შევეცეე წინა ბგერით, შესამე მუსიკალურ ბგერას მიუწერ ბოლოს და შეგიძლია უკვე პასუხი მოაყოლო.

შ. ამირანაშვილი.

ფანქრის მოუცილებლად

დახატეთ ეს ფიგურები ისე, რომ ფანქარი ქალაქის არ მოაცილოთ და ერთი ხაზი ორჯერ არ გადაკვეთოთ



პასუხი № 1-ში მოთავსებულ „ცხრაკალიშულზე“

შარადა

ბატანი

კროსვორდი

დიაგონალურად: 1. არხენა; 2. არტერია; 3. ამპერი; 4. იფნურა; 5. ანალები; 6. იტალია;

თარაზულად: 9. ოსმეტი; 10. სნაიპერი; 11. იდეა; 13. დელი; 15. ასი; 17. სირია; 20. კიო; 21. ტელეგრაფი; 22. აბილინი; 23. ლეი; 24. არალი; 25. ორი; 27. ამაო; 28. კავი; 30. ისპანახი; 31. ამაღიესი;

შვპულად: 7. ლინჩი; 8. კიქსი; 12. ენა; 14. ენო; 16. ისტორი; 17. სიბთა; 18. რურუ; 19. არაბი; 24. კაირო; 23. ლია; 26. ინა; 27. არმია; 29. იონია.

ფ 3 2 / 47

საქართველოს
გეოლოგიური
სამსახური



ვულკანი კლუვივსკაია სოკვა

1966 წლის ამოფრქვევის დროს.

И Н Д Е К С 76